ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 30 აგვისტო, 2013 №205 (6206) ფასი: 30 თეთრი

30 აგვისტოდან!
„ახალი თაობა“
+
ალექსანდრე მაკედონელი
8 ლარი



ნანა კაკაბაძე: „ნაციონალური მოძრაობა მხარს გიორგი მარგველაშვილს უჭერს“

ძალიან გთხოვთ, მიაქციეთ ყურადღება, საქართველოში ნაციონალების დაბრუნების პროცესი დაწყებულია

გვ.2

თამარ ჩხეიძე: „ივანიშვილის მთავარი მამოძრავებელი რუსეთია“

გვ.5

ჭელაში მინარეთი საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგებამდე არ აღდგება

გვ.4

კახა კუკავა: „სოციოლოგიური გამოკითხვების არ მჯერა“

გვ.3

სალომე ზურაბიშვილი ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას ითხოვს

გვ.3

შრომის კოდექსი ეწინააღმდეგება კონკორდატს

გვ.7

სააკაშვილის განვრთნას ალბათ გარკვეული დრო დასჭირდება

გვ.2

სააკაშვილი: „ხალხის კეთილგანწყობა ზოოპარკის დირექტორს არ მოეწონა“

გვ.6

სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ ახალციხეში განვითარებული მოვლენები კანონის ფარგლებს არ გასცდება

გვ.3

ISSN 1987-9385

2 საქართველოსა და რუსეთს შორის დაძაბულობა იკლებს

5 წინასაარჩევნო ანგარიშში მუქარისა და ზეწოლის რამდენიმე ფაქტი მოხვდა

3 საბირ მეპტიევი — სომხები ქართულ მიწებს იტაცებენ და აქ მცხოვრებ აზერბაიჯანელებს აპატიმრებენ

5 ნაციონალური მოძრაობის ლიდერებისა და აქტივისტების მიმართ ტერორი გრძელდება

ნანა კაკაბაძე: „ნაციონალური მოძრაობა მხარს გიორგი მარგველაშვილს უჭერს“

ძალიან გთხოვთ, მიაქციეთ ყურადღება, საქართველოში ნაციონალების დაბრუნების პროცესი დაწყებულია

ნონა ცაბაძე

– ბევრი საუბრობს იმის თაობაზე, რომ რესპუბლიკურ-ნაციონალური უმრავლესობა შეიქმნება, თუმცა მე გეტყვით, რომ ასეთი უმრავლესობა დღეს უკვე არსებობს. ის, რაც დღეს ლენტეხის რაიონში ხდება, გამგებლის გათავისუფლებას ვგულისხმობ, ამისი ძალიან ნათელი მაგალითია. დღეს ლენტეხში მიმდინარეობს ძალიან საშიში და საინტერესო პროცესი, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში უფლებათადამცველი ნანა კაკაბაძე.

– ქალბატონო ნანა, მოდით, ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს გადავავლოთ თვალი. საზოგადოება ფიქრობს, რომ რაც უფრო იწურება სააკაშვილის პრეზიდენტობის ვადა, ის უფრო მეტ შიშს ამჟღავნებს და გაცილებით მეტს საუბრობს თავისი დაპატიმრების შესახებ. ის უკვე რეალურად ხედავს ამ საფრთხეს?

– მართალია, ის ზებრა არ არის, მაგრამ მხოლოდ ეს ერთი ადამიანი რომ არის განწირული მთელი ნაციონალური მოძრაობიდან, ცხადია. შეუიარაღებელი თვალითაც ძალიან კარგად ჩანს, რომ რაღაც სერიოზული გარიგებები არსებობს საზოგადოების მიღმა, სხვა სახელმწიფოებთან, სხვა ძალებთან, რომელიც, როგორც არ უნდა შეინიღბოს, ყველასთვის აშკარაა. ჩვენს საზოგადოებას უკვე იმდენი გამოცდილება აქვს პოლიტიკური ბატალიებისა, რომ საზოგადოება მაინც ხედავს და აკეთებს თავის დასკვნას. დღეს ისე იკვეთება, რომ მთელი ეს უბედურებები, რომელიც 9 წლის მანძილზე ამ ქვეყანაში იყო და ამას ვერავინ ვერ გაექცევა, ხალხის გამარჯვებაც ამ რეჟიმზე სწორედ იმიტომ მოხდა, რომ მათ ამისი ატანა და გაგრძელება აღარ შეეძლო, რასაც ნაციონალური მოძრაობა 9 წლის განმავლობაში აკეთებდა. ჩემი აზრით, ეს ყველაფერი დაყვანილი იქნება მხოლოდ და მხოლოდ სააკაშვილამდე.

– იმის თქმა გინდათ, რომ მხოლოდ ის გაიწირება?

– მხოლოდ ეს ერთი ადამიანი გაიწირება, მთელი ამ სიბინძურიდან, რომელიც ნაციონალური მოძრაობის დროს იყო. დანარჩენები ან მიზერულ სასჯელებს მიიღებენ, დაახლოებით ისეთს, გირგვლიანის მკვლელებმა რომ მიიღეს თავის დროზე. იმ დანაშაულის არაადეკვატური რაც მათ ჰქონდათ ჩადენილი და ბოლოს გაირკვა, თურმე ცოლები და საყვარლებიც შედიოდნენ და გარეთაც მშვენივრად გადიოდნენ. აი, ასეთ პირობებში იყვნენ იმ ორი-სამი წლის განმავლობაში რაც ციხეში ამყოფეს, დაახლოებით ამ მდგომარეობაში იქნება ის ერთი-ორი ადამიანი, ვინც ნაციონალური მოძრაობიდან არის დაპატიმრებული და რომელზეც დიდი ინტერესი არც ნაციონალურ მოძრაობას ექნება. ერთადერთი, ვინც ამ სიტუაციიდან გაიწირება, იქნება, როგორც ჩანს, მიხეილ სააკაშვილი და ყველა ის, ვინც ამ სისტემას ქმნიდა, დარჩება დაუსჯელი, როგორ 28 ათას ფაილზე როცა მიდის საუბარი, რომ 28 ათასი ფაილი აღმოაჩინა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელიც პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებით, წამებით, ღირსების შემლახავი მოპყრობითა და თვალთვალითა და მიყურადებით არის ეს კადრები შექმნილი. 9 წლის განმავლობაში რომ გადავამრავლოთ 365 დღეზე, დაახლოებით 9 ფაილი იქმნებოდა დღეში და ფაილში კიდევ რამდენი ფაქტი იქნება? და ამას მხოლოდ ეს ერთი ადამიანი ქმნიდა? ეს იყო სისტემური დანაშაული და მარტო სააკაშვილი ვერაფერს ვერ იზამდა, რომ ეს მთელი ხროვა, რომელიც მას ირგვლივ ჰყავდა, ამაში არ ყოფილიყო გარეული. გამოვა ისე, რომ ეს ყველაფერი დავა მხოლოდ სააკაშვილამდე. მე იმას კი არ ვამბობ, რომ სააკაშვილმა ამისთვის პასუხი არ უნდა აგოს, უბრალოდ, სამარცხვინოა, როდესაც მხოლოდ სააკაშვილამდე იქნება ეს ყველაფერი დაყვანილი და დანარჩენი ყველა აღმოჩნდება „რეჟიმის მსხვერპლი“. ეს სასაცილოა. ამ ყველაფერს გრძნობს სააკაშვილი, იმასაც კარგად ხვდება, რომ მარტო დატოვეს, გრძნობს იმასაც, რომ უკვე დასავლეთმაც თანხმობა მისცა მის მოშორებაზე ივანიშვილს და, რაც მთავარია, საკუთარმა გუნდმა. გუნდმა, რომელთან ერთადაც მთელ ამ დანაშაულებრივ სქემებს ქმნიდნენ და ამ ყველაფერში არანაკლები დანაშაული მიუძღვით, ეს ადამიანები ვითომც არაფერი... სააკაშვილით გავლენ ფონს... რა თქმა უნდა, უსამართლობაა ეს ყველაფერი.

– ამბობენ, რომ გაცილებით ძლიერი და საშიში ძალა იდგა სააკაშვილის ზურგს უკან.

– რა თქმა უნდა, გაცილებით საშიში ძალა იდგა მის უკან, ვიდრე თვითონ ცალკე აღებული სააკაშვილია. ცალკე აღებული სააკაშვილი საშიშროებას არც მაშინ წარმოადგენდა და არც ახლა არ წარმოადგენს. ის უბედურება, ის მონსტრი და ის ბნელი ძალა, რომელიც ფასადად იყენებდნენ სააკაშვილს და თვითონ ჩადიოდნენ იმ უბედურებას, აი, ეს ძალაა ყველაზე საინტერესო. 28 ათასი ფაილი არსებობს, დღემდე არის ცნობილი ვინ იდგა ამ ფაილების უკან?! ვინ უკვეთდა, ვინ იღებდა, რა სისტემა მუშაობდა, რა სტრუქტურები ახორციელებდნენ ამას, ეს ვინმეს აინტერესებს?! ვინმეს აინტერესებს თუნდაც ის ფონდები, რომელიც იყო შექმნილი შინაგან საქმეთა სამინისტროს განვითარებისა თუ პროკურატურის განვითარების, შავი ფულის ყულაბები რომ გახსნეს, სად მიდიოდა ეს ფული, რაში იხარჯებოდა, ვინ რეცხავდა, ვინმე დააინტერესდა ამით? გამოიძიეს?! ყველაფრის მიჩქმალვა და ყველა კვალის დაფარვა მიდის! დანაშაულის დაფარვა მიდის ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით!

– წავა სააკაშვილი, მაგრამ ნაციონალები ჯერჯერობით ხელისუფლებაშიც რჩებიან და საკმაოდ სერიოზულ ბერკეტებსაც ინარჩუნებენ.

– დიახ ასეა. საშიში სწორედ ის არის, რომ ვისაც ამ სიბინძურის გამოცდილება აქვს, ამ ძალადობის გამოცდილება აქვს, ის ადამიანები სტრუქტურებშიც რჩებიან, ხელისუფლებაშიც რჩებიან და, დარწმუნებული ვარ, ახალი ხელისუფლება ისევე ითანამშრომლებს მათთან, როგორც ძველი ხელისუფლება თანამშრომლობდა, იმიტომ რომ აქ არ ჩანს, რომ ახალმა ხელისუფლებამ ამ ყველაფერზე, ამ სიბინძურეზე უარი თქვა. ერთი გამოძიებული საქმე მითხარით, აბა?! ბაჩო ახალაია რომ ზის ვაშლის გათლაზე და წიწაკის სროლაზე და ვანო მერაბიშვილი მადლობას რომ უხდის ადმინისტრაციას, ეს არის ქვეყანა?! ამას რა ჰქვია? სწორედ ეს არის ღირსების შემლახავი დამოკიდებულება დღევანდელი ხელისუფლების საზოგადოებისადმი! ამას მისცა ხალხმა ხმა და ამისთვის იბრძოლა ხალხმა, რომ ეს მიეღო? ვაშლის არასწორად გამფცქვნელი ბაჩო ახალაია და ციხის ადმინისტრაციით კმაყოფილი ვანო მერაბიშვილი?! თურმე ეს ყოფილა ქართველი ხალხის ბრძოლა სამართლიანობისთვის!

– ქალბატონო ნანა, ერთი წელი იწურება, რაც ივანიშვილის გუნდი მოვიდა ხელისუფლებაში. შევაფასოთ განვლილი პერიოდი, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე. რა მივიღეთ ხელისუფლების ცვლილებით და რას ველოდებით?

– ხელისუფლების ცვლილებით კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ეს ქვეყანა შიგნიდან არ იმართება. ეს ქვეყანა იმართება გარედან. ჩვენი ქვეყნისთვის ერთნაირად იბრძვის ჩრდილოეთი და დასავლეთი და ამ დროს მსხვერპლად იწირება ეს ქვეყანა. ამ ხელისუფლების პირობებშიც მიმდინარეობს ამ ორი დაპირისპირებული ძალის – დასავლეთისა და ჩრდილოეთის ინტერესების შეჯახება, ხოლო ჩვენი ინტერესები ფეხქვეშ არის გათელილი. არ გამოჩნდა დღეს ისეთი ხელისუფლება ქვეყანაში, რომელიც შეძლებდა, ამ ორი მონსტრი ქვეყნის ინტერესები ისე დაებალანსებინა, რომ ჩვენი ქვეყნის ინტერესებიც ყოფილიყო რაღაცნაირად წინა პლანზე წამოწეული და დაცული. საოცრად დაუცველია დღეს ჩვენს ქვეყანაში საზოგადოება, ხალხი, არანაირი სამართლიანობის განცდა არ არსებობს. არაფერი ამ ქვეყანაში, რაც მოქალაქეს აგრძნობინებს, რომ მას სახელმწიფო იცავს, მსგავსი არაფერი არ არსებობს. ნახეთ, რა ხდება ქუჩებში, როგორ ექცევიან მოსახლეობას და ამ დროს როგორ ექცევიან იმ კრიმინალებს, რომლებიც იყვნენ ხელისუფლებაში. ერთადერთი, ვისი დაფასებაც ხდება დღეს, არიან ის ადამიანები, ვინც ხელისუფლებაში იყვნენ ან ხელისუფლებაში არიან, ხოლო დანარჩენი საზოგადოება, ვისითაც არის რეალური ძალაუფლება, ვისი მსახურიც უნდა იყოს ხელისუფლება, მსახური კი არა, საზოგადოებას საერთოდ იგნორირებას უკეთებენ და მხოლოდ ის ადამიანები ინაწილებენ ქვეყანას, ქვეყანაში არსებულ სიკეთეებს, ვინც ხელისუფლებაში იყო და ვინც ხელისუფლებაში არის! საზოგადოება კი რჩება სანაგვეზე გადაყრილი. აი, ეს არის დღევანდელი რეალობა! ისე შეხმატკბილებულად ინაწილებს სიმდიდრესა და ძალაუფლებას ეს ორი ძალა, რომ ვითომც აქ არაფერი. თუნდაც სასამართლოებში შეიხედეთ, რა დამოკიდებულებაა კრიმინალური ხელისუფლების მიმართ და რა დამოკიდებულებაა რიგითი მოქალაქეების მიმართ.

– თქვენ ამბობთ, რომ ამ ერთმა წელმა მხოლოდ იმედგაცრუება მოუტანა ჩვენს საზოგადოებას?

– სერიოზული იმედგაცრუება მოუტანა. სააკაშვილის დროს ხალხს თავს უჩეხდნენ, მიტინგებსა და მანიფესტაციებზე ხალხი იბრძოდა, იყო დევნილი, იყო ნაწამები, ყველაფერი გვჭირდა, მაგრამ იყო იმედი, რომ ეს ყველაფერი უნდა შეცვლილიყო, ხოლო ამ ერთმა წელმა თუ ათმა თვემ სწორედ ეს იმედი მოკლა და დაანახვა ხალხს, რომ ყველა ხელისუფლება ერთმანეთს ჰგავს. უბრალოდ, დღეს საზოგადოებას ძალა აღარ დარჩა იმისათვის, რომ იბრძოლოს. პირველი ოქტომბერი იყო უკანასკნელი ამოსუნთქვა. უკანასკნელი ენერგია ჩაიდო იმ ბრძოლაში, რასაც პირველი ოქტომბრის გამარჯვება ერქვა და ახლა ეს ძალაგამოცლილი საზოგადოება მიწაზეა გართხმული. თუმცა გამოსავალი კვლავ ერთადერთია, რომ საზოგადოებამ ისევე უნდა მოიკრიბოს ძალა, ისევ უნდა წამოდგეს ფეხზე და თავისი ადგილი მიუჩინოს ერთსაც და მეორე ხელისუფლებასაც. ვერც ერთმა და ვერც მეორემ ვერ დააფასა ის ნდობა და მხარდაჭერა, რომელიც მას ხალხმა გამოუცხადა. ერთმაც და მეორემაც ამას უზნეობითა და უსინდისობით უპასუხა.

– ქალბატონო ნანა, თქვენ ბრძანეთ, რომ ერთმანეთს ჰგავს ეს ორი ხელისუფლება და, ალბათ, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ერთი და იგივე სახეები ტრიალებენ ბოლო ოცი წელია ხელისუფლებაში...

– რა თქმა უნდა. მონოპოლიზებული აქვთ. დღეს პოლიტიკა რაღაცა გუნდის მიერ არის პრივატიზებული. ჯერ კანონმდებლობა ნახეთ, როგორია. ახალი პოლიტიკური ძალის გაჩენასა და ბაზარზე გამოსვლას კანონი გამორიცხავს. ხვალ მე და თქვენ რომ შევქმნათ პოლიტიკური პარტია, ნული გექნება შანსი იმისათვის, რომ შემოხვიდე პოლიტიკურ არენაზე და დაიწყო პოლიტიკური ბრძოლა. ყველაფერი ხელში აქვთ ჩაგდებული, ოკუპირებული აქვთ ძალაუფლება და ინაწილებენ ერთმანეთში.

– ქალბატონო ნანა, მოდით, საპრეზიდენტო კანდიდატების რეიტინგებსაც გადავხედოთ. ბოლო კვლევების მიხედვით, ლიდერობს მარგველაშვილი, მაგრამ, რაც ყველაზე მეტად მიუღებელი აღმოჩნდა საზოგადოებისთვის, ეს იყო ბაქრაძის მეორე ადგილი...

– რაც შეეხება ბაქრაძის მეორე ადგილს, ეს არის აბსოლუტური ტყუილი. როგორც არ უნდა გვიძახოს „ქართულმა ოცნებამ“, ბაქრაძე მეორე ადგილზეაო, ამას ვერც ერთი გაყალბების მანქანა, იგივე ვანო მერაბიშვილისა და სააკაშვილის მიერ შექმნილი, ხარატიშვილის კანტორის სახით, ვერ შეძლებს ამის გაყალბებას. ბაქრაძის მეორე ადგილზე გაყვანას იმხელა გაყალბება სჭირდება, რომ ამას ვერავინ შეძლებს! ეგ გამორიცხულია! მაგრამ არსებობს მეორე, ამ ბოლო პერიოდში მკაფიოდ გამოკვეთილი პოზიცია, რომელიც ძალიან ხშირად მესმის, რომ ნაციონალური მოძრაობა აპირებს, მხარი დაუჭიროს გიორგი მარგველაშვილს. მხარი დაუჭირონ იმიტომ, რომ ძალიან კარგად იციან, მათი გამარჯვება აბსურდია, ეს არაფერს არ ეფუძნება და ისინი ვერასოდეს ვეღარ გაიმარჯვებენ არჩევნებში, ყოველ შემთხვევაში, მანამ, სანამ ხალხის მეხსიერებაში ნაციონალური მოძრაობა არსებობს. ესენი ვეღარ დაბრუნდებიან. ამიტომ ცდილობენ მხარი დაუჭირონ უკვე კოაბიტირებულ ხელისუფლებას, რომელთანაც უკვე გამონახული აქვთ საერთო ენა. ერთადერთ შიშის ფაქტორს დღეს მათთვის წარმოადგენს ნინო ბურჯანაძე. კარგად იციან, რომ მისი ხელახლა ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში აუცილებლად ამ ადამიანების მიმართ გაატარებს კანონით დადგენილ ნორმებს და ისინი კანონის წინაშე აუცილებლად წარდგებიან. თუმცა მე თვითონ უკვე აღარ ვარ დარწმუნებული, რომ ეს ასე მოხდება, რადგან ასე მეგონა, ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის მერეც რომ სამართლიანობა აღდგებოდა და ხალხი სამართალს იპოვიდა, თუმცა ხალხის ერთადერთი იმედი, ვინც ამ ყველაფერს სამართლიანობის ჩარჩოში მოაქცევს, საზოგადოების აზრით, ნინო ბურჯანაძეა. ამ შემთხვევაში ნაციონალურ მოძრაობასთან კოაბიტაცია აღარ იქნება.

– თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ორივე ძალისთვის, ოცნებისთვისაც და ნაციონალებისთვისაც, ბურჯანაძის კანდიდატურა მიუღებელია.

– რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ ამ ორ ძალას უკვე გადანაწილებული აქვს ქონებაც, ძალაუფლებაც, საკადრო პოლიტიკაც. ეს სისტემა არავის დაუშლია.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

სააკაშვილის გაწვრთნას ალბათ გარკვეული დრო დასჭირდება

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გაწვრთნას ალბათ გარკვეული დრო დასჭირდება.

ამგვარად, კახა კალაძე დღეს დმანისში, მიხეილ სააკაშვილის მიერ გუშინ გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა.

მისი თქმით, პრეზიდენტი საკუთარ თავს ხან ზებრას უწოდებს, ხან კიდევ სხვა რამეს.

„მე მას ვარწმუნებ, რომ ბატონ ბიძინას არც ერთი ცხოველი გალიაში არ ჰყავს. თუ სურვილი აქვს, მიხეილს პრემიერთან ვუშუამდგომლებ და იყოს იმ ცხოველებთან ერთად, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ წესიერად იქნება და მოთვინიერდება. გაწვრთნას ალბათ გარკვეული დრო დაჭირდება „, – განაცხადა კალაძემ.

კალაძემ პრეზიდენტის იმ განცხადებასაც უპასუხა, რომლის თანახმადაც, საქართველოში ელექტროენერგია ხშირად ითიშება.

„დენი მხოლოდ დღეს და გუშინ არ ჩამქრალა საქართველოში, ეს პრობლემა ქვეყანაში იმიტომ არსებობს, რომ ელექტროქსელები მწყობრიდან არის გამოსული, ზოგიერთ სოფელში ელექტროსადენებს უჭირავს ელექტრობოძები“-აცხადებს კალაძე.

მისი თქმით, ელექტროენერგიის ორ შემთხვევაში ითიშება, როდესაც ქსელების რეაბილიტაცია ხდება და როდესაც უამინდობაა.

„პრეზიდენტი ენერგეტიკაში ვერ ერკვევა და აცხადებს, რომ ზაფხულში ქვეყანა ელექტროენერგიის შესყიდვას არ ახორციელებს. სააკაშვილი ცდება, ვინაიდან, ზაფხულში, როგორც წესი, ელექტროენერგიის შესყიდვა არ ხორციელდება, ეს მხოლოდ ზამთარში ხდება. ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ზამთარში ქვეყანაში ელექტროენერგიის პრობლემა არ იყოს“– განაცხადა კალაძემ.

მედიანიუსი

საქართველოსა და რუსეთს შორის დაძაბულობა იკლებს

რუსეთის საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრის მონაცემების თანახმად, რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობებში დაძაბულობა იკლებს.

კვლევის თანახმად, რომელიც რუსეთის საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრმა ჩაატარა რუსების 22 პროცენტს მიაჩნია, რომ ქართულ-რუსული ურთიერთობები დაძაბულია, მაშინ როდესაც შვიდი წლის წინ რუსების 39 პროცენტი თვლიდა, რომ საქართველოსა და რუსეთს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ.

თუმცა კვლევის თანახმად ჩანს, რომ რუსების რიცხვი, რომლებიც საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს ძალიან დადებითად აფასებს, კვლავ დაბალია და ის 2 პროცენტს შეადგეს. სწორედ გამოკითხულთა 2 პროცენტი მიიჩნევს, რომ საქართველოსა და რუსეთს მეგობრული ურთიერთობა აქვთ, 4 პროცენტს კი მიაჩნია, რომ მეზობელ ქვეყნებს კეთილმეზობლური ურთიერთობა აქვთ. გამოკითხვა ივლისის ბოლოს, რუსეთის 130 დასახლებულ პუნქტში ჩატარდა. სულ გამოიკითხა 1,6 ათასი ადამიანი.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სალომე ზურაბიშვილი ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას ითხოვს

შორენა გონგლაძე

რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტობის ერთ-ერთმა მსურველმა სალომე ზურაბიშვილმა პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს ღია წერილით მიმართა, სადაც ზურაბიშვილი საკუთარ გადაწყვეტილებაზე, საპრეზიდენტო არჩევნებში ჩართვაზე საუბრობს. ზურაბიშვილი მიუთითებს, რომ ამ პოლიტიკურ ბრძოლაში ჩართვა არ არის პირადად მისი ადგილის ძიებისთვის გადადგმული ნაბიჯი, არამედ მას ქვეყანაში არსებულ სიტუაციამ უბიძგა, რომ საზოგადოებაში დღითიდღე ძლიერდებიან არადემოკრატიული, დასავლეთის წინააღმდეგ მიმართული ძალები. საფრთხე ექმნება საქართველოს არჩეულ მიმართულებას, რომ ამ მოცემულობაში დამოუკიდებელი, დემოკრატიული და ეროვნული ღირებულებების მატარებელი პრეზიდენტის აუცილებლობა კიდევ უფრო იზრდება.

თქვენთვის ცნობილია, რომ ყოფილი ხელისუფლების ცენტრალური საარჩევნო კომისიის აწ უკვე ყოფილმა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ჩემი კანდიდატურის მიმართ არსებობს გარკვეული „სამართლებრივი სირთულეები“, რასაც მოჰყვა არასამთავრობო ორგანიზაციების შეშფოთება, საერთაშორისო წრეების პოლიტიკური დაინტერესება. ჩემს წარმომადგენელთან, ბატონ თეიმურაზ მურვანიძესთან, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილთან შეხვედრისას მან ღიად გამოხატა დიდი სურვილი და ნება, რომ მომიზეზებული სამართლებრივი შეუთანხმებლობა არ გამხდარიყო ხელოვნური პოლიტიკური დაბრკოლება. თქვენს საჯარო განცხადებებშიც იგივე დამოკიდებულება იქნა გამოხატული. კიდევ ერთხელ გამოვხატავ პატივისცემას თქვენ მიმართ და მინდა, სანამ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შევიტანდე განაცხადს, შეგხვდეთ და პირადად ჩაგაყენოთ საქმის კურსში, რომ არავითარი სამართლებრივი დაბრკოლება ჩემი კანდიდატის რეგისტრაციისთვის არ არსებობს; რადგან ქვეყანაში თავისუფალი და გამჭვირვალე არჩევნების ჩატარებაზე, უპირველესად ყოვლისა, პასუხისმგებლობა ეკისრება იმ ხელისუფლებას, რომელიც ოქტომბრის არჩევნების შედეგად შემოვიდა სახელმწიფოს სათავეში და რომელსაც ასე უპირობოდ ვუჭერდი მხარს, – ამბობს სალომე ზურაბიშვილი. იმავე დღესვე ზურაბიშვილის „ფეისბუქის“ გვერდზე ჩნდება განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ის ნიუორკს ემშვიდობება და 29 აგვისტოს საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებისთვის რეგისტრაციის გასავლელად ჩამოდის.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი სალომე ზურაბიშვილის მიმართვას ღია წერილით პასუხობს. ბიძინა ივანიშვილი 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში სალომე ზურაბიშვილის მონაწილეობასთან დაკავშირებით საკუთარ დამოკიდებულებაზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ დემოკრატიის უპრეცედენტოდ მაღალი სტანდარტებით, მოქმედი კანონმდებლობის დაცვით არჩევნების ჩატარება უმნიშვნელოვანესია ქვეყნისთვის და დიდი გამოწვევაა ხელისუფლებისთვის.

– კონკურენტულობა არჩევნების დემოკრატიულობის ერთ-ერთი წინაპირობაა და ამიტომ დაინტერესებული ვართ, რაც შეიძლება მეტი ღირსეული კანდიდატი ვიხილოთ საპრეზიდენტო ბრძოლაში ჩაბმული. თქვენ, ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ ერთ-ერთი ასეთი ღირსეული პიროვნება ბრძანდებით და პირადად მე მოხარული ვიქნებოდი, თუ თქვენს გვარსაც ვიხილავდი საარჩევნო ბიულეტენში. ამასთანავე, ჩვენ ერთად ვიბრძოდით ამ ქვეყანაში კანონიერების დასამკვიდრებლად და ერთი კაცის დიქტატის, ერთი კაცის ნების მიხედვით ავტორიტარული მმართველობის დასამთავრებლად. თქვენ, როგორც ამ ქვეყნის გამორჩეულ მოქალაქეს, როგორც საფრანგეთის ემიგრაციის ღირსეულ შთამომავალს, ევროპული კულტურისა და დემოკრატიული ღირებულებების წიაღში აღზრდილს, კარგად მოგეხსენებათ, რომ ერთი პირი, რაგინდ რა თანამდებობისა და ავტორიტეტისა არ უნდა იყოს იგი, ვერ უნდა წყვეტდეს ვინმესთვის, თუნდაც განსაკუთრებით პატივსაცემი პიროვნებისთვის, გამონაკლისის დაშვებას. ამ საკითხს ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში კანონი და კონსტიტუცია განსაზღვრავს. ასევე დაუშვებელია მთავრობის ან პარლამენტის მიერ სასამართლოს ან საარჩევნო კომისიების კომპეტენციაში შემავალ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება.

მესმის თქვენი შეშფოთება იმის გამო, რომ გავრცელებული არაოფიციალური შეფასებებისა და ცესკო-სა და სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით არსებობს სამართლებრივი ხასიათის კითხვები არჩევნებში თქვენი მონაწილეობის შესაძლებლობის თაობაზე. მაგრამ მე ვერ და არ ვიქნები სამართლის უმაღლესი ინსტანციაჩვენს სახელმწიფოში. ეს პირობა მივეცი ჩვენს ხალხს და მას არავითარ შემთხვევაში არ დავარღვევ.

ამიტომ ვაკეთებ მხოლოდ იმას, რაც შემიძლია და კიდევ ერთხელ მივმართავ და მოვუწოდებ ყველა სახელმწიფო ორგანოსა და თანამდებობის პირს, რათა მოქალაქეების, მათ შორის, თქვენი პოლიტიკური უფლებების თაობაზე გადაწყვეტილებების მიღების დროს იხელმძღვანელონ მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუციით, კანონებითა და საკუთარი შინაგანი რწმენით.

თქვენ კი გირჩევთ, ჩვეული შემართებითა და პრინციპულობით შეეცადოთ სათანადო სახელმწიფო დაწესებულებებში თქვენი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას – მერწმუნეთ, დღევანდელ საქართველოში აღარავინ დაიჩაგრება, თუკი სიმართლე და კონსტიტუცია მის მხარეს აღმოჩნდება, – აღნიშნავს პრემიერ-მინისტრი.

კახა კუკავა: „სოციოლოგიური გამოკითხვების არ მჯერა“

შორენა გონგლაძე

„საპრეზიდენტო კანდიდატები, რომლებიც არასაპარლამენტო ოპოზიციის პრაიმერიში მონაწილეობაზე უარს ამბობენ პოლიტიკურ დაკვეთისთვის იბრძვიან – ამის შესახებ „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერმა კახა კუკავამ „პრაიმ ტაიმის“ პრესკლუბში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. კუკავას თქმით, პრაიმერის გარეშე არასაპარლამენტო ოპოზიციის კანდიდატებს მოგების შანსი არ აქვთ.

„ლიდერი კანდიდატების ყოველთვის დაინტერესებული იყვნენ პრაიმერის ჩატარებით. თუ გვინდა არჩევნების მოგება, პრაიმერი გარდაუვალია. ისინი აქეთ უნდა იხვეწებოდნენ პრაიმერის ჩატარებისთვის. წარმოიდგინეთ, ყველა კანდიდატის რეიტინგი, ერთად აღებული, როგორ კონკურენციას გაუწევს მმართველი გუნდის კანდიდატს, – განაცხადა კახა კუკავამ.

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერმა არასაპარლამენტო ოპოზიციის საპრეზიდენტო კანდიდატებს პრაიმერის ჩატარების თხოვნით რამდენიმე კვირის წინ მიმართა, თუმცა კანდიდატებმა კუკავას შეთავაზებაზე უარი თქვეს.

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა არც წინასაარჩევნოდ ჩატარებულ იმ სოციოლოგიურ კვლევებს ენდობა, სადაც მმართველი გუნდის საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი ლიდერობს.

როგორც კუკავა აცხადებს, მარგველაშვილისთვის მაღალი რეიტინგის მინიჭება კონკურენტებზე ფსიქოლოგიური ზეწოლის მოსახდენად ხდება.

– მომიწია რეგიონებში ჩასვლა და არ დამრჩა შთაბეჭდილება, რომ გიორგი მარგველაშვილია ლიდერი. იმის შთაბეჭდილებაც კი არ დამრჩა, რომ ის მეორე ადგილზე გავა. ამ სოციოლოგიური გამოკითხვების მე არ მჯერა. დროა, ქართველმა საზოგადოებამ და სოციოლოგებმა გამოკითხვა ღიად ჩაატარონ. ამ ეტაპზე მარგველაშვილის მთავარი კონკურენტი არის ნინო ბურჯანაძე, ასევე იზრდება ნათელაშვილის რეიტინგიც, – განაცხადა კახა კუკავამ.

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი ადიგენის რაიონში მინარეთის ტაძრის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებსაც გამოეხმაურა. კუკავა ადგილზე განვითარებულ მოვლენებს ფინანსთა სამინისტროს „ზღვარგადასულ კრეტინიზმად აფასებს“.

– მინარეთში განვითარებული მოვლენები შეიძლება შეფასდეს, როგორც ფინანსთა სამინისტროს ზღვარგადასული კრეტინიზმი. მუსლიმანებს ლოცვის მომენტში მოუხსნეს გუმბათი ტაძარზე და უთხრეს, რომ ასაწონად მიჰქონდათ. ეს ლოგიკა მიუთითებს იმაზე, რომ კრეტინიზმის გარდა, ამ საქმეს შესაძლოა პოლიტიკური პროვოკაციის სუნი ასდიოდეს, რადგანაც მუსლიმანების წინააღმდეგ პროვოკაციებმა სისტემატური სახე მიიღო, – აცხადებს კუკავა და დასძენს, რომ ეს ანალოგიაა იმ მოვლენების, რაც თავის დროზე მოხდა ფერიას მთაზე, ამ საკითხზე საკაჟვილის პროტესტი კი კომიკურია, – აცხადებს კუკავა.

საქართველოსთან დაკავშირებით რუსი ხალხის დამოკიდებულება იცვლება

რუსეთში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, მოსახლეობის მხოლოდ 22% მიიჩნევს, რომ რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობა დაძაბულია. შვიდი წლის წინ, აღნიშნული მაჩვენებელი 39%-ს შეადგენდა, – ნათქვამია სრულიად რუსეთის საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრის მიერ, დღეს გამოქვეყნებული გამოკითხვის შედეგებში.

მიუხედავად ამისა, მოსახლეობის რაოდენობა, რომლებიც რუსეთსა და საქართველოს ურთიერთობას დადებითად აფასებს, კვლავ მცირეა. რესპოდენტების 2% მას „მეგობრულს“ უწოდებს, 4% კი თვლის, რომ ურთიერთობა „კეთილმეზობლურია“.

ამასთან, რესპონდენტები აცხადებენ, რომ 2008 წელს, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რესპუბლიკის გარშემო განვითარებული მოვლენების შედეგად, რუსეთის მდგომარეობა უფრო გაუმჯობესდა (21%), ვიდრე გაუარესდა (15%).

გამოკითხვა ივლისის ბოლოს, რუსეთის 130 დასახლებულ პუნქტში, 1,6 ათას რესპონდენტს შორის ჩატარდა.

კვლევის სტატისტიკური ცდომილება 3,4%-ს არ აღემატება.

ნიუსპრესი

საბირ მეჰტიევი – სომხები ქართულ მიწებს იტაცებენ და აქ მცხოვრებ აზერბაიჯანელებს აპატიმრებენ

საქართველოში მოქმედი აზერბაიჯანული ორგანიზაცია „სადახლოს აღორძინების კავშირის“ თავმჯდომარემ საბირ მეჰტიევმა, საქართველოს ხელისუფლებას, სომხეთთან საზღვრის დელიმიტაციის და დემარკაციის სამუშაოების დაჩქარების თხოვნით მიმართა. ინფორმაციას ამის შესახებ ავრცელებს.

მეჰტიევის განცხადებით, სომეხი მესაზღვრეები საქართველოს ტერიტორიასაც იტაცებენ. „სოფელი აგკორპუ, საქართველო-სომხეთის საზღვართან ახლოს, სადახლოდან 10-15 კილომეტრშია. ცოტა ხნის წინ შემატყობინეს, რომ ამ სოფლის წარმომადგენელმა მარნეულის ხელისუფლებას მიმართეს, რომ 2011 წელს სომხეთმა მათი კუთვნილი 30 ჰექტარი მიწა მიისაკუთრა. მიმართვას ძველი რუკაც ერთვის თან. რაიონის ხელმძღვანელობამ კი მათ არ დაუჯერა. ამაზე ვმუშაობთ და საკითხის წამოწევას ვაპირებთ, თუ რის საფუძველზე გვადანაშაულებს ხოლმე სომხური მხარე საზღვრის დარღვევაში. სად იყურებიან ჩვენი ქართველი მესაზღვრეები? ოთხი ადამიანი უგზო-უკვლოდ დაგვეკარგა, ასამდე ადამიანი სომხების მიერაა დაკავებული, ათასობით სული პირუტყვი გაქრა. რა, ქართველი მესაზღვრეები ამ ყველაფერს ვერ ხედავენ?

მუდმივ შიშში ვცხოვრობთ. ორი დღის წინ სომეხმა მესაზღვრეებმა სოფელ ბურმის მცხოვრები კიამალ გუსეიმოვი და კიდევ ორი ადამიანი დააკავეს. ამის შესახებ აზერბაიჯანის საელჩოსაც ვაცნობეთ. ისინი მხოლოდ მარნეულის პოლიციის სამმართველოს ჩარევის შემდეგ გაათავისუფლეს. როდემდე შეიძლება ეს გაგრძელდეს? იმის გამო, რომ გაუგებარია, კონკრეტულად სად გადის საზღვარი, სომეხი მესაზღვრეები მუდმივად პროვოკაციებს აწყობენ და ეს ყველაფერი, კარგად არ დასრულდება“ – განაცხადა მეხტიევმა.

ნიუსპრესი

მოსკოვის პოლიციამ ქართველი ე.წ. „დომუშნიკების“ დაჯგუფება დააკავა

მოსკოველმა პოლიციელებმა, ქართველებისგან შემდგარი ორგანიზებული დაჯგუფების ნეიტრალიზება მოახდინეს, რომელიც ბინების ძარცვაზე იყო სპეციალიზირებული.

ინფორმაციას ამის შესახებ რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

ინფორმაციის თანახმად, დაჯგუფებამ, რუსეთის დედაქალაქში 30-მდე ბინა გაძარცვა. ამ დროისთვის დაკავებულია ჯგუფის ორი წევრი. ორივე საქართველოს მოქალაქეა. ისინი ანალოგიური დანაშაულისთვის ადრეც იყვნენ გასამართლებულები. ეჭვმიტანილები უშუალოდ ძარცვის პროცესის დროს დააკავეს. ამოღებულია ნაძარცვი ფული და საიუველირო ნაკეთობები, ასევე საკეტის გასაღები ინსტრუმენტები. დაკავებულების ბინის ჩხრეკისას კი, სხვა ძვირფასეულობა და საათები იქნა ამოღებული. დაკავებული ქართველების ვინაობა ჯერჯერობით არ სახელდება. ორივე მათგანის მიმართ, სისხლის სამართლის საქმე, რამდენიმე მუხლითაა აღძრული.

ნიუსპრესი

სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ ახალციხეში განვითარებული მოვლენები კანონის ფარგლებს არ გასცდება

სახალხო დამცველის აპარატი, ახალციხეში მართლმადიდებელი მრევლის მიერ გამართულ, მინარეთის ჭელაში დაბრუნების საწინააღმდეგო აქციას ეხმაურება.

ომბუდსმენის განცხადებით, საქართველოში რელიგიის თავისუფლება კონსტიტუციით არის განარტირებული და საჯაროდ რიტუალების შესრულების უფლება, ნებისმიერი რელიგიის წარმომადგენელს აქვს.

„სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში გახშირდა შემთხვევები, როდესაც მართლმადიდებელი მოსახლეობა მუსლიმ მოსახლეობას უპირისპირდება და მათი მხრიდან რელიგიური თავისუფლების განხორციელებაზე პროტესტს აცხადებს.

სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლება საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით გარანტირებული, ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა. რელიგიის თავისუფლება იცავს ინდივიდის უფლებას, იცხოვროს, იმოქმედოს და თავისი საქმიანობა რელიგიის წეს-ჩვეულებათა და საკუთარი შინაგანი რწმენის შესაბამისად წარმართოს. რელიგიის თავისუფლება მოიცავს ადამიანის უფლებას, როგორც მარტომ, ისე სხვებთან ერთად, საჯაროდ ან კერძოდ, გააცხადოს თავისი რელიგია ან რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, რიტუალების შესრულებითა და დაცვით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რელიგიის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და ექვემდებარე მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისთვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის, ზნეობის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისთვის.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა დაიცვას მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ყველა პირის როგორც რელიგიის, ასევე შეკრებისა და მანიფესტაციის და გამოხატვის თავისუფლება. საქართველოს სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ განსხვავებით სოფელ ნიგვზიანსა და სამთაწყაროში განვითარებული მოვლენებისა, ახალციხეში დღეს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები კანონის განუხრელი დაცვით შეასრულებენ მათ მოვალეობას და ყველა პირის მიერ, მათი უფლებების რეალიზების შესაძლებლობას დაიცავენ.

ამასთან, სახალხო დამცველი დაუშვებლად მიიჩნევს ახალციხის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა საპროტესტო აქციაში ჩართვას და მოუწოდებს მათ დაიცვან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები, რომელიც საჯარო სამსახურის საერო ხასიათში გამოიხატება“ – ნათქვამია განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ ახალციხისა და ადიგენის მართლმადიდებელი მოსახლეობა საპროტესტო აქციას მართავს. აქციის მონაწილეები გზის გადაკეტვით, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭელაში მინარეთის მიტანის ხელისშეშლას გეგმავენ. არსებული ინფორმაციით, საპროტესტო აქციას, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც შეუერთდნენ.

ნიუსპრესი

2013, 30 აგვისტო, №205

ჭელაში მინარეთი საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგებამდე არ აღდგება

მერი ნამორაძე

მავანის მცდელობა, ახალი „ცხელი წერტილი“ გაჩენილიყო საქართველოში, ღამის შესრულებულია. ადიგენის რაიონის სოფელ ჭელაში მინარეთთან დაკავშირებით გუშინ ახალი პრობლემა გაჩნდა. ამჯერად ახალციხელი მართლმადიდებლები აცხადებენ, რომ მინარეთის სოფელში შეტანას არ დაუშვებენ და მანქანას მათზე გადავლა მოუწევს. გუშინ მათ ახალციხე-თბილისის ცენტრალური მაგისტრალი გადაკეტეს და ვალესა და ადიგენის მიმართულებით მოძრაობა შეაფერხეს. ისინი მიიჩნევენ, რომ საქართველოში რელიგიურ უმცირესობათა უფლებები უფრო უკეთ არის დაცული, ვიდრე მართლმადიდებლების და მთავრობას რეფერენდუმის ჩატარებისკენ მოუწოდებენ.

ბათუმში, ილია ჭავჭავაძის ძეგლთან კი, ჭელიდან, წალკიდან და ხულოდან ჩასული მუსლიმები საპროტესტო აქციას მართავდნენ, სოფელ ჭელაში მინარეთის დემონტაჟს აპროტესტებდნენ და მინარეთის დაბრუნებას მოითხოვდნენ.

პოლიტიკოსთა თუ არასამთავრობოთა ნაწილი ჭელაში განვითარებული მოვლენების უკან ნაციონალების ხელს ხედავს. განვითარებული მოვლენები საპატრიარქომ რელიგიურ ნიადაგზე შუღლის გაღვივების მცდელობად შეაფასა და საქართველოში მცხოვრებ მუსლიმთა სულიერ ლიდერებს მიმართა, ხელი კი არ შეეწყოთ, არამედ შეწინააღმდეგებოდნენ პროვოკაციულ ქმედებებს როგორც ადიგენში, ასევე საქართველოს ნებისმიერ კუთხეში. საპატრიარქოში მიიჩნევენ, რომ აუცილებელია ვითარების გამწვავების ხელშემწყობი პირების გამოვლენა და ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომ ყველამ იცოდეს საკუთარი ქმედებების ზღვარი, რათა არ მოხდეს რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირება.

გუშინ სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა განაცხადა, რომ სოფელ ჭელაში მინარეთის დემონტაჟი არასწორი ფორმით განხორციელდა და ამით საქართველოს მოსახლეობის მუსლიმი თემის შეურაცხყოფა მოხდა, – განაცხადა უჩა ნანუაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

– აღნიშნულთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატის დეტალური დასკვნა რამდენიმე დღეში იქნება, მაგრამ მანამდე შემიძლია ვთქვა, რომ ამ ფორმით არ უნდა მომხდარიყო რელიგიური სიწმინდის ხელყოფა. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა სამართლებრივი არგუმენტები, იყო გარკვეული მტკიცებულებები და შეიძლება ითქვას, რომ გამოძიებას და იგივე საბაჟო სამსახურს ჰქონდა იურიდიულად აღნიშნულის უფლება, სამწუხაროდ, ასეთი ფაქიზი თემისადმი დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო განსხვავებული, რისი გათვალისწინებაც ხელისუფლების მხრიდან არ მომხდარა. მათ ვერ გაითვალისწინეს, რომ რელიგიური სიწმინდის ასეთ უხეშ ხელყოფას ასეთი პროტესტი მოყვებოდა. მთელი მოსახლეობის გარკვეული ნაწილის რეაქცია ბუნებრივი იყო, რადგან ამით საქართველოს მოსახლეობის მუსლიმი თემის შეურაცხყოფა მოხდა, – განაცხადა უჩა ნანუაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

როგორც ჩანს, მავანს სურდა ისეთი სურათი შეექმნა, თითქოს საქართველოში სხვა რელიგიური კონფესიები იჩაგრებიან, სახელმწიფო სტრუქტურები კი უმოქმედონი არიან. დაძაბულობის შექმნის მცდელობა, როგორც ყოველთვის, ისევ არჩევნებს დაემთხვა.

გუშინ საპატრიარქოში კათოლიკოს პატრიარქი და მღვდელმთავრები მუსლიმთა რელიგიურ ლიდერებს შეხვდნენ. შეხვედრის დასრულების შემდეგ, დეკანოზმა დავით შარაშენიძემ ერთობლივი განცხადება წაიკითხა. მისი თქმით, საპატრიარქო მართლმადიდებელი მრევლის სამართლიან პროტესტს მინარეთის აღდგენასთან დაკავშირებით, ეთანხმება, ამასთან, მისივე თქმით, ითვალისწინებს მუსლიმი მოსახლეობის განწყობას და მუსლიმთა სამმართველოსთან შეთანხმებით ერთობლივ განცხადებაზე შეჯერდნენ.

შეთანხმების მიხედვით, მინარეთი დასაწყობდება სოფელ ჭელაში, ნეიტრალურ ადგილზე, დაიღუქება და დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ. არ აღდგება მანამდე, სანამ არ მოწესრიგდება საკანონმდებლო ბაზა და არ შედგება მოლაპარაკებები საპატრიარქოსა და მუსლიმთა სამმართველოს შორის. ასევე ეთხოვა ხელისუფლებას, დაიწყოს მუშაობა, რათა კანონით განისაზღვროს რელიგიური ნაგებობების მიზანშეწონილობა და მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხი.

ახალციხეში მცხოვრებმა მართლმადიდებლებმა ახალციხე-თბილისის ცენტრალური მაგისტრალი გადაკეტეს და აცხადებენ, რომ ჭელაში მინარეთის შეტანას არ დაუშვებენ.

სააკაშვილმა აგვისტოს ომში დაღუპულის ოჯახი მოინახულა

საქართველოს პრეზიდენტმა ბობოყვათში, ოჯახთან ერთად, 2008 წლის აგვისტოს ომში გმირულად დაღუპული ლერი ლაგურაშვილის დედა და მისი შვილი, რვა წლის ანანო ლაგურაშვილი მოინახულა.

ოფიციალური ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილმა დალი ბარამიძეს კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა გმირი შვილის გაზრდისთვის. ქვეყნის პირველმა პირმა ომში დაღუპული ბიჭების გმირობის მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა: „მათ რომ არ შეეჩერებინათ მტერი, საქართველო მიწასთან გასწორებული კოლონია იქნებოდა“.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, გმირი დედის წოდება, რომ არსებობდეს მას ქალბატონ დალის და იმ დედებს მიანიჭებდა, რომლებმაც სამშობლოს თავდადებული გმირები აღუზარდეს. მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ისინი უნდა გაიცნოს საზოგადოებამ და მომავალი თაობები ამ გმირების ისტორიაზე გაიზარდონ.

მედიანიუსი

ადიგენის გამგებელი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდა

ადიგენის რაიონულმა სასამართლომ რაიონის გამგებელი სიმონ პარუნაშვილი 3000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

პროკურორი რევაზ მამადაშვილი ბრალდებულისთვის გირაოს სახით 12 000 ლარის დაკისრებას ითხოვდა. მოსამართლე გიორგი ლონდარიძემ მისი შუამდგომლობა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და გამგებელს გირაოს სახით 3 ათასი ლარის გადახდა დააკისრა.

ინფორმაციას ,,სამხრეთის კარიბჭე“ ავრცელებს.

ბრალდებულის ადვოკატმა ირაკლი ბარძიმაძემ სასამართლო პროცესზე კიდევ ერთხელ განმარტა, რომ სიმონ პარუნაშვილი არის უკანონო პატიმარი, რადგან ის სასამართლო განჩინების გარეშეა დაპატიმრებული. ადვოკატმა პარუნაშვილის სასამართლო პროცესიდან დაუყოვნებლივ, აღკვეთის ღონისძიების გარეშე გათავისუფლება მოითხოვა.

ადვოკატი მიიჩნევს, რომ სასამართლომ უკანონო გადაწყვეტილება მიიღო.

„სასამართლომ მიიღო უკანონო გადაწყვეტილება, მართალია, ნაწილობრივ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა 12 ათასის ნაცვლად 3 ათასი შეუფარდა, მაგრამ ჩვენ აუცილებლად გავასაჩივრებთ სააპელაციო სასამართლოში. იმედია ამ ქვეყანაში სადღაც მაინც იქნება კანონი“,– ამბობს ბარძიმაძე. შეგახსენებთ,რომ ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებელი 27 აგვისტოს დაიკავებს. პარუნაშვილი თავს დამნაშავედ არ ცნობს, იგი აცხადებს, რომ მისი დაკავება პოლიტიკური ნიშნით მოხდა.

მედიანიუსი

არასამთავრობო ორგანიზაციები განცხადებას ავრცელებენ

არასამთავრობო ორგანიზაციები „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, ეთნოსთაშორის თანამშრომლობისა და კონსულტაციების ანალიტიკური ცენტრი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მედიის განვითარების ფონდი, ფონდი ALPE, „მრავალეროვანი საქართველო“ და ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი სოფელ ჭელაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებენ.

მასში ნათქვამია, რომ საბაჟო დეპარტამენტის მიერ მეჩეთის მინარეთის მოშლითა და ძალოვნების მიერ მუსლიმი მოსახლეობის ფიზიკური შეურაცხყოფით უხეშად დაირღვა მუსლიმთა უფლებები.

არასამთავრობოების შეშფოთებას იწვევს მინარეთის მოშლასთან დაკავშირებით იუსტიციიის მინისტრის პოზიცია და რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადებები, რომლებიც ამბობენ, რომ მუსლიმებს მინარეთების გარეშეც შეუძლიათ ილოცონ და რომ პრობლემის ძირითადი არსი პოლიტიკურ ძალთა შორის დაპირისპირებაა.

„ჭელაში მომხდარი ინციდენტი რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ყველაზე მწვავე შემთხვევად იქცა“, – აცხადებენ არასამთავრობოები და მიიჩნევენ, რომ 26 აგვისტოს საბაჟო სამსახურის მიერ განხორციელებული ღონისძიებისას იკვეთება დანაშაულის ნიშნები, რაც აუცილებლად უნდა გამოიძოს პროკურატურამ და პასუხისგებაში მიეცნენ ინციდენტში მონაწილე მოხელეები.

არასამთავრობოები უჩვეულოდ და დამაფიქრებლად მიიჩნევენ ჩატარებული ოპერაციის მასშტაბებს და რესურსებს.

„ადგილობრივების განცხადებით, ოპერაციაში მონაწილეობდა მინიმუმ ერთი ვერტმფრენი, 45-მდე მაღალი გამავლობის ავტომობილი, სატვირთო ტრაილერი, ამწე, 200-მდე სამართალდამცავი, მათ შორის სპეციალური დანიშნულების რაზმი, რომელიც სამი საათის განმავლობაში აკონტროლებდა სოფელს, სადაც მხოლოდ 50-მდე ოჯახი ცხოვრობს. ამ დროის განმავლობაში გადაკეტილი იყო სოფლისკენ მიმავალი ყველა გზა. მოსახლეობა და მედიის წარმომადგენლები მეჩეთთან მისვლას ვერ ახერხებდნენ. მოძრაობა მინარეთის სოფლიდან გატანის შემდეგ აღდგა. დემონტაჟის პროცესში მოსახლეობის ნაწილს, რომელიც სალოცავთან ახლოს მისვლას ცდილობდა, პოლიციამ სცემა, ხოლო ნაწილი წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით დააკავა. მოქალაქეთა მიერ მობილური ტელეფონით გადაღებულ მასალაში ჩანს, რომ პოლიციამ მოსახლეობის დასაშინებლად რამდენჯერმე გამოიყენა გამაფრთხილებელი გასროლაც. საბოლოოდ, წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით, პოლიციამ 9 პირი დააკავა. მათგან ახალციხის რაიონულმა სასამართლომ ექვსს 400 ლარიანი ჯარიმა დააკისრა. სამ დაკავებულ პირს კი ბრალი წაეყენათ სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მეორე ნაწილით და აღმკვეთ ღონისძიებად გირაოს სახით 2-2 ათასი ლარის გადახდა დააკისრა.

არასამთავრობოები მინარეთის განბაჟების პროცედურის საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობას ეჭვქვეშ არ აყენებენ და განმარტავენ, რომ თურქეთის რესპუბლიკასთან 2007 წლიდან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების საფუძველზე წარმოებული საქონელი არ ექვემდებარება იმპორტის გადასახადით დაბეგვრას. შესაბამისად, რა წონისა და კლასიფიკაციისაც არ უნდა ყოფილიყო აღნიშნული საქონელი, ის იმპორტის გადაასახადისაგან გათავისუფლებული იყო. რაც შეეხება დამატებული ღირებულების გადასახადს, გადახდილი იყო საბაჟო ღირებულების დადგენის პირველი მეთოდის გამოყენებით.

საბაჟო დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ქმედება აშკარად გასცდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. მინარეთი, რომელიც უკვე დამონტაჟებული იყო, არ წარმოადგენდა საქონელს, არამედ ის იყო უკვე არსებული სხვა უძრავი ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი. ამავდროულად შემოწმებისას მოხდა არა დეკლარანტის (ან სხვა ვალდებული პირის), არამედ სხვა მესამე პირის (დავით ჩოგაძე) საკუთრებაში შეჭრა. ბუნებრივია სამართალდამცავ ორგანოებს ამის უფლებამოსილება არ გააჩნდათ. შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ღონისძიება ატარებდა უკანონო ხასიათს, იყო დაუსაბუთებელი და დაარღვია როგორც დავით ჩოგაძის საკუთრების უფლება, ასევე ხელყო მუსლიმი მოსახლეობის რწმენის თავისუფლება. მიუხედავად იმისა, რომ მინარეთის განბაჟების პროცესში სახელმწიფოს არ განუცდია არანაირი ფინანსური დანაკლისი, ჩატარებული ოპერაციის მასშტაბები და მოცულობა, კანონმდებლობით დადგენილი პროცედურებისა და ვადების უგულვებელყოფა და სახელმწიფო ორგანოთა მიერ საკუთარი უფლებამოსილების გადამეტება გვიქმნის საფუძვლიან ეჭვს მივიჩნიოთ, რომ აღნიშნული ღონისძიების მიზანს არ წარმოადგენდა გადასახადის შესაძლო დანაკლისის დადგენა და ბიუჯეტში მიმართვა“, – აღნიშნულია განცხადებაში.

არასამთავრობოები მიიჩნევენ, რომ ჭელაში მომხდარი ინციდენტი სცილდება შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის უკანონო მოქმედებას და რელიგიური უმცირესობებისადმი მთავრობის დისკრიმინაციული პოლიტიკის უკიდურესად შემაშფოთებელ სიმპტომად გვევლინება.

მედიანიუსი

ნანა კაკაბაძე: „ნაციონალური მოძრაობა მხარს გიორგი მარგველაშვილს უჭერს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

დღეს გაჰყვირიან, რომ განადგურდეს კადრები, მაგრამ ვინმემ ნახა, რომ მოსასმენი აპარატებისა და ამ ტექნიკის განადგურება მოხდა, ეს ვინმემ ნახა?! ეს ყველაფერი ძალაშია, შენარჩუნებულია და კიდევ უფრო უარესი მასშტაბით აგრძელებს არსებობას. ეს მონსტრი, ეს უკანონოდ შექმნილი სისტემა არავის გაუუქმებია, დატოვეს და აგრძელებენ ამ საქმიანობას. მართალია, ციხეებში ცოცხებით აღარ დარბიან და ამისთვის მადლობელი ვართ, ბატონო, მაგრამ ერთი და ორი შემთხვევაა პოლიციის მიერ თავგაჩეხილი და ნაცემი ადამიანების?! ჯერჯერობით რაიმე კარგი პერსპექტივები ნამდვილად არა ჩანს. არ ჩანს მთავარი, სამართლიანობის აღდგენის არანაირი სურვილი არა ჩანს დღევანდელი ხელისუფლებისგან. მე სამართლიანობის აღდგენაში ადამიანების ციხეში გაშვებას კი არ ვგულისხმობ მხოლოდ და მხოლოდ. არა, სამართლიანობის აღდგენა ნიშნავს, რომ უარი უნდა ეთქვა ახალ ხელისუფლებას იმ სიბინძურეებზე, რასაც ნაციონალური მოძრაობა აკეთებდა. მე ეს ჯერ არსად მინახავს.

– ქალბატონო ნანა, ამბობენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ მარგველაშვილი გახდა პრეზიდენტი, პარლამენტში მოხდება ნაციონალებისა და ოცნების ერთი ფრთისგან ახალი უმრავლესობის შექმნა... სწორედ ამიტომ აწყობთ ნაციონალებს მარგველაშვილი პრეზიდენტად, რომ არ იყოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები.

– რა თქმა უნდა, არის ამის სიმპტომები, თუმცა ის ინფორმაციაც არის, რომ უკვე ასეთი უმრავლესობა არსებობს – რესპუბლიკურ-ნაციონალური და მე მინდა გითხრათ, რომ სწორედ ლენტეხის გამგებლის გათავისუფლებაა ამის ძალიან ნათელი მაგალითი. დღეს ლენტეხში მიმდინარეობს ძალიან საშიში და საინტერესო პროცესი. ერთმა ადამიანმა, ერთმა რესპუბლიკელმა, მოახერხა „ქართული ოცნების“ კანდიდატის, ლენტეხის გამგებლის აბსოლუტურად უკანონოდ მოშორება. უკანონო რომ იყო ეს ყველაფერი, ეს კიდევ ცალკე თემაა, მაგრამ აქ მთავარია, როგორ ხდება ნაციონალების დაბრუნება იგივე კოალიციის წევრი პარტიების მხრიდან. ძალიან გთხოვთ, იმას, რაც დღეს ლენტეხში ხდება, ყურადღება მიაქციეთ. ეს სიმპტომატურია. დღეს ეს პროცესი დაწყებულია მთელ საქართველოში, ნაციონალების დაბრუნების პროცესი. ეს მიზანმიმართულია, გარიგებულია თუ რა არის, მე არ ვიცი. სწორედ ეს განაპირობებს იმას, რომ დღეს საზოგადოებას უჭირდება ერთადერთი რამის განცდა, რომ ამ უბედურების აცილება შეუძლია მხოლოდ ბურჯანაძეს. აი, ეს აქვს ხალხს ტვინში გამჯდარი.

– ქალბატონო ნანა, დღეს უკვე ბევრი საუბრობს იმაზე, რომ ნელ-ნელა დაწყებულია ნაციონალების ხელისუფლებაში დაბრუნების პროცესი. ასე რომ მოხდებოდა, თქვენ ამას ადრეც აცხადებდით.

– სამწუხაროდ, პირველივე დღეებიდან უკვე კოჭებში ეტყობოდა ამ ხელისუფლებას, რისი გამკეთებელიც იყო. მოვიდნენ თუ არა ხელისუფლებაში, იმაზე დაიწყეს ლაპარაკი, როგორ გავათავისუფლოთ თანამდებობებიდან ეს გამოცდილი კადრებიო. საუბარი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროზე, პროკურატურასა და მოსამართლეებზე. ეს მოსამართლეები მოსამართლეები არიან?! რომელ გამოცდილებას ეშურება ასე ძალიან „ქართული ოცნება“? პროკურორი რომ ფოსტალიონი იყო, იმას?! რასაც დაუკვეთდა ადეიშვილი, ის რომ მიჰქონდა მსხვერპლამდე?! რა გამოცდილება ჰქონდათ, გამოცდილება არსებობდა, მტკიცებულებები არსებობდა თუ რა? მხოლოდ და მხოლოდ შეთითხნილი საქმეები, რომლებიც ერთმანეთისგან ტყუპისცალებივით არ განსხვავდებოდნენ. ამ გამოცდილებას ეშურებიან?! რომელ სასამართლოზეა საუბარი, სად არსებობდა სასამართლო?! რასაც იტყოდა პროკურატურა, ნოტარიულად ამოწმებდა იმას სასამართლო და დღეს ეს დამნაშავე, კრიმინალი მოსამართლეები ისევ იმავე გადაწყვეტილებებს იღებენ. ახლა ამ პოლიტიკური ჭრილიდან ნაციონალური მოძრაობის კრიმინალებს ათას და ორი ათას ლარიანი გირაოთი უშვებენ და ჩვეულებრივ მოქალაქეს ან ციხე და ან ასი ათასები. და დღეს ეს მოსამართლეები არიან ხელშეუხებლები! ამ უკანონო და პოლიტპატიმრებზე რომ ვლაპარაკობთ, ეს 190 კაცი ვიღაცამ არ გაუშვა ციხეებში?! თავისით გამოგლინჯეს ციხის კარები და შეცვივდნენ?! ამ პარლამენტმა თუ ცნო ეს ხალხი პოლიტპატიმრებად, ვინ მიიღო ამ ადამიანებზე გადაწყვეტილებები? ვინ გამოიძია ეს საქმეები? რომელმა პროკურორებმა მოითხოვეს მათი დასჯა? ან ვინ არიან ის მოსამართლეები, რომელმაც ეს გადაწყვეტილება გამოიტანა? ესენი ისევ ხალხს უნდა ასამართლებდნენ? ისევ ხალხს უნდა იჭერდნენ?! ერთი დასჯილი მაინც მანახვეთ ამდენი უკანონო პატიმრის საქმეზე, ან რომელი მოსამართლე დაასახელეს დამნაშავედ და გაათავისუფლეს?! ჩემია რომ ჩემიაა, ისიც იმავე პირობებშია. არანაირი საქმის აღძვრა ამ ადამიანებზე არ ხდება. არ ხდება იმიტომ, რომ ეს კონტექსტიდან ამოგლეჯილი იქნება და დასავლეთი უსაყვედურებს. ამიტომ რეჟიმი უნდა გაასამართლონ, რეჟიმი! უნდა თქვან, რომ ეს იყო სისტემა, სადაც სასამართლო გამოყენებული იყო პოლიტიკური მიზნებისთვის! სწორედ ეს შეფასებები უნდა დაიდოს! ამას არ აკეთებენ. ეს რომ გააკეთონ, მერე მათ წინააღმდეგ შეგროვებულ კადრებს რაღა უქნან, რომელიც ნაციონალური მოძრაობის ჯიბეშია?!

თამარ ჩხეიძე: „ივანიშვილის მთავარი მამოძრავებელი რუსეთია“

თამარ ნინიძე

ინტერვიუ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების თავმჯდომარე თამარ ჩხეიძესთან

– სოფელ ჭელაში მიმდინარე პროცესზე მინდა გკითხოთ, მინარეთის თემაზე. როგორ შეაფასებთ ამ მოვლენებს?

– დეტალები არ ვიცი, მაგრამ ზოგადად ვიცი, რომ იგივე მოვლენაა, რაც იყო საქართველოს სხვა სოფლებში და მიმაჩნია, რომ ეს არის სუფთა რუსული პროვოკაცია. ეს არის რელიგიურ ნიადაგზე ადამიანების შევიწროება. სრულიად მიუღებელია საქართველოს სახელმწიფო ინტერესებისთვის, არასამართლიანია, ხელოვნურად არის გამოწვეული და, ვისაც სჯერა, რომ ასე ქრისტიანულ ინტერესებს იცავენ, ეს ასე არ არის. ეწინააღმდეგება ზოგადსაკაცობრიო ინტერესებს რელიგიური შემწყარებლობის თვალსაზრისით, ასევე უკუშედეგს იძლევა ქრისტიანობის გაძლიერების თვალსაზრისითაც. სამთაწყაროშიც არ აძლევდნენ ლოცვის უფლებას, ეს აბსოლუტურად მიუღებელია და არ მოდის ზედმეტი ქრისტიანული მორწმუნეობიდან, არამედ, პირიქით, ანტიქართული მოსაზრებებიდან.

– წინა ხელისუფლების პერიოდში მსგავსი ინციდენტები არ ხდებოდა. როგორ ფიქრობთ, მაშინ არ იყო ეს პრობლემები?

– საქმე ის არის, რომ ეს არის ხელოვნური მოვლენა, საქართველო ქვეყანაა, სადაც მაჰმადიანებიც ცხოვრობენ, სხვა აღმსარებლობის ადამიანებიც. საქართველოს არასოდეს ახასიათებდა ასეთი მოვლენა. ეს მაშინ იჩენს თავს, როცა სპეციალურად არის დაგეგმილი და ხდება ხალხის პროვოცირება.

– ახლანდელი გამოუცდელი პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, თქვენ კარგად იცნობთ საბჭოთა სუკის ქმედებების სქემას. საინტერესოა, პანკისის ხეობაშიც იყო დაძაბული მდგომარეობა. ამაზე რას იტყვით?

– ესეც რუსული ინტერესების შედეგია. ამის უკან დგას რუსეთის სპეცსამსახურები, რომელსაც არაფერი გამოუვიდოდა, რომ არა ქართველების რაღაც ნაწილი, რომელიც სიამოვნებით ახორციელებდა რუსული სპეცსამსახურების ინტერესებს. გლობალურად როგორ წარიმართება პოლიტიკური პროცესები, ამაზეა დამოკიდებული ბევრი რამ, რამდენად ძლიერად შეძლებს რუსეთი თავისი ინტერესების განხორციელებას საქართველოში. თუ რუსეთმა გაიძლიერა პოზიციები საქართველოში, მაშინ ყველაფერია მოსალოდნელი.

– ხარატიშვილის გადადგომა და მის მიერ ახალი პოლიტიკური ცენტრის ჩამოყალიბება ინტერესს იწვევს. თქვენ რა აზრის ხართ ამ პროცესებზე?

– ჯერჯერობით კომენტარისგან თავს შევიკავებ, რადგან ჯერ გამოკვეთილი არ არის, საბოლოოდ ეს რა სახეს მიიღებს. რაც მოვისმინე, ჯერჯერობით პრორუსული პოზიციებია დაფიქსირებული. ჯერ შეფასების გაკეთება ნაადრევია, რამდენად იქნება რეალურად პროდასავლური ეს ცენტრი.

– ივანიშვილმა უცხოურ პრესასთან ინტერვიუში არაერთხელ განაცხადა, რომ საკაშვილის დაპატიმრებას არ გამორიცხავს. როგორია თქვენი აზრი ამაზე?

– ზოგადად, ამ ხელისუფლების აგრესიულობა წინა ხელისუფლებასთან მიმართებით აშკარაა. აპრიორი ვერც ერთ ადამიანზე ვერ ვიტყვი, რომ მას ჩაუდენია დანაშაული ან არა. როცა ივანიშვილი სიძულვილით აღსავსე აგრესიულ განცხადებებს აკეთებს, როცა ამის იურიდიული საფუძველი არ არის, ეს საქართველოს ინტერესებს არ ემსახურება. თუ ფაქტი დამტკიცდა, რომ მკვლელობაში ან სხვა დანაშაულში გარეულია რომელიმე სახელმწიფო მოხელე, მაშინ სხვაგვარად დგება საკითხი, მაგრამ, როცა მიზანმიმართულად მიდის დევნა იმ პიროვნების მიმართ, მიუხედავად იმისა, მას ვემხრობოდი თუ არა, ეს სხვა საკითხია. ამჟამად რაც ხდება, ეს არის მიზანმიმართული დევნა. საგანელიძის განცხადება იყო, არ მიმიყვანონ იქამდე, რომ ბრძანება გავცე და გადაადგილების თავისუფლება შევუზღუდო პრეზიდენტსო. ეს არის კანონსაწინააღმდეგო მოქმედება. ადამიანის უფლებები დაცული უნდა იყოს, მათ შორის, პრეზიდენტისაც. იყო სურვილი, მიეწერათ პრეზიდენტისათვის ისეთი ბრალდება, რომელიც მოდიოდა რუსეთიდან, მაგალითად, აგვისტოს ომთან დაკავშირებით. ეს არის პირდაპირი შეკვეთილი ბრალდება რუსეთიდან.

– ზურაბ ჟვანიასთან დაკავშირებულ მოარულ ხმებს რაც შეეხება, გარკვეული ადამიანები ამბობენ, რომ ამაში სააკაშვილის ბრალეულობა შეიძლება იყოს.

– ზუსტად ეს ვიგულისხმე, როცა იურიდიული მტკიცებულება არის, რომ საქმე ეხება მკვლელობას, ეს სხვაა, მაგრამ წინასწარ ამის განცხადება არ შეიძლება. მართლმსაჯულების სახეს არ იღებს, როცა არასამართლებრივ სახელმწიფოში ასამართლებ წინახელისუფლების წარმომადგენლებს. ეს რეპრესიებს უფრო ჰგავს და ეს არ შეიძლება, ადამიანმა გაამართლოს.

– შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ივანიშვილს უფრო პირადი შურისძიება ამოძრავებდეს?

– ალბათ, ესეც არის, მაგრამ მთავარი მის მოქმედებებში ის გახლავთ, რომ ივანიშვილი არ არის დამოუკიდებლად მოქმედი ადამიანი და მისი მთავარი მამოძრავებელია რუსეთი და მისი შეკვეთები. ივანიშვილზე უფრო დიდი პრორუსული საფრთხე არსებობს ბურჯანაძის სახით.

– ედუარდ შევარდნაძის მიმართ შეიძლებოდა ბრალდებების დაყენება ტერიტორიების დაკარგვასთან დაკავშირებით და სხვა ქმედებებზე, მაგრამ ის მშვიდად ცხოვრობს თავის სახლში და მას არავინ ეხება.

– რა თქმა უნდა, ასეა. სწორედ ეს არის მაგალითი, გულწრფელი არ არის საუბარი სამართლიანობის აღდგენაზე, როცა ეს მხოლოდ საკაშვილს ეხება და არა შევარდნაძეს. სამართლიანობის აღდგენა და რეჟიმის გასამართლება – ასეთი ტერმინებიც კი შემოიტანეს. ამ ხალხს არც კომუნისტური რეჟიმის გასამართლების საკითხი მოსვლია აზრად და არც შევარდნაძის პასუხისმგებლობის საკითხი, რომელმაც მთავარი როლი ითამაშა საქართველოში პოლიტიკური პროცესების გაუკუღმართებაში. ამიტომ, მგონია, რომ ეს არის პოლიტიკური შეკვეთა გარედან და კავშირი ამას არა აქვს სამართლიანობასთან. სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნაზე უნდა იყოს საუბარი და არა სამართლიანობის აღდგენაზე.

– ნაკლებად გვესმის საუბარი იმაზე, რომ საქართველო უნდა გახდეს ნატოს წევრი. მომძლავრდა აზრი ნეიტრალიტეტზე, მაგალითად, აკაკი ასათიანმა განაცხადა ინტერვიუში, რომ ნეიტრალიტეტი კარგია. როგორ ფიქრობთ, ეს თემა აქტუალურია საქართველოსთვის?

– მე არ მივეკუთვნები იმათ რიცხვს, ვისაც აკვიატებული აქვს ნატო, ნეიტრალიტეტი. მიმაჩნია, რომ ნატოში შესვლა ან სხვა გადაწყვეტილება კავშირში უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფოს კონკრეტულ ინტერესთან, დაიბრუნოს დაკარგული ტერიტორიები. ჩვენი მთავარი ამოცანა დოკუპაცია უნდა იყოს და ამისთვის რაც იქნება აუცილებელი, ის უნდა გაკეთდეს.

– რამდენად მყარია კოალიცია „ქართული ოცნება“? სანდრო ბრეგაძის ინფორმაციით, ჯორჯ სოროსი ისევ აპირებს, დააფინანსოს ზოგიერთი პოლიტიკური პარტია და მოიყვანოს ხელისუფლებაში, საუბარია რესპუბლიკელებისა და ნაციონალური მოძრაობის ალიანსზე?

– არ გამოვრიცხავ ამ ვარიანტს, ამას სოროსი აკეთებს თუ სხვა, რომ იყოს ასეთი განზრახვა კოალიციის სუბიექტებში. რესპუბლიკელები პროდასავლურ პარტიად არ მიმაჩნია. ადრეც განმიცხადებია, რომ აფხაზეთის საკითხში მათ აბსოლუტურად მიუღებელი პოზიცია აქვთ და რუსულ პოლიტიკურ ინტერესებს ატარებენ. უფრო მცდელობა არის, ივანიშვილი იყოს გარდამავალი ეტაპი კიდევ უფრო უარესი პრორუსული ძალის მოსაყვანად ხელისუფლებაში, მაგალითად, ბურჯანაძის. ორი ვარიანტი შეიძლება გათამაშდეს.

– ამ შემთხვევაში რამდენად მნიშვნელოვანია ელექტორატის როლი არჩევნებზე?

– მთლიანად ელექტორატის როლის გამორიცხვა არ შეიძლება. სამწუხაროდ, საქართველოში ამომრჩეველი გადამწყვეტ როლს ვერ თამაშობს, მისი მართვა ხდება სხვადასხვა პოლიტიკური ტექნოლოგიებით. რუსეთმა სცადა ბურჯანაძის ხელისუფლებაში მოყვანა აქციების გზით, მაგრამ ამ გზამ ვერ გაამართლა, ხალხი ამას არ აჰყვა. არის ამჯერად მაინც მცდელობა მისი გაძლიერებისა არჩევნების გზით. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ამ შემთხვევაში ამან გაამართლოს.

– მზარდია უკმაყოფილება ახალი ხელისუფლების მართვის სისტემის მიმართ, ეკონომიკაში კრიზისია, კრიმინალმა იმატა, ამას ხელს უწყობენ ნაცმოძრაობის წევრებიც, რომლებიც ამ ინფორმაციებს ავრცელებენ, მაგრამ ამის ნიშნები მაინც არის. შეიძლება, ხალხი ქუჩაში გამოიყვანოს ამ პრობლემებმა?

– ზოგადად ქუჩა საშიშია იმიტომ, რომ საქართველოში ძალიან სუსტია სამოქალაქო საზოგადოება, ქუჩას იყენებს უცხო ძალა საქართველოში. იყო მომენტები, როცა ქუჩა დადებით როლს ასრულებდა, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ეს ასე არ არის ხოლმე. ქუჩა უნდა იყოს ერთ-ერთი მეთოდი ხელისუფლებაზე ზეწოლისთვის, თუმცა ამა თუ იმ ხელისუფლების მოსაყვანად ან გასაგდებად არაარჩევნების გზით ქუჩა გამოიყენება.

– თქვენ აღნიშნეთ, რომ სამოქალაქო საზოგადოება სუსტია საქართველოში. ამ დროს ივანიშვილი აცხადებს, რომ ის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებასა და გაძლიერებას.

– სასაცილოდ გამოიყურება მისგან ეს, მის პიროვნებასა და პოლიტიკურ აზროვნებაში არ აისახება ის, რომ მას სურს, გაათავისუფლოს სამოქალაქო საზოგადოება საბჭოური გავლენისგან. მას თავად უნდა ჰქონდეს საზოგადოებრივი აზროვნება და პატრიოტული თვითშეგნება. ამ დროს ის, პირიქით, აგრესიისა და სიძულვილის გაღვივებას უწყობს ხელს საზოგადოებაში და ანტისახელმწიფოებრივ გზაზე აყენებს ქვეყანას. არა მგონია, მას დადებითი როლის შესრულება შეეძლოს ამ შემთხვევაში.

წინასაარჩევნო ანგარიშში მუქარისა და ზეწოლის რამდენიმე ფაქტი მოხვდა

სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ სპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის მესამე შეუალედური ანგარიში მედიას გააცნო.

ანგარიშში, სხვა შესაძლო დარღვევებთან ერთად მუქარისა და ზეწოლის რამდენიმე ფაქტია მოყვანილი.

2 აგვისტოს „სამართლიანი არჩევნებისთვის“ ცნობილი გახდა, რომ ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებელის მიერ გამართულ თათბირზე გამგებელმა ლევან ცაბაძემ სოფლის რწმუნებულებს და მათ თანაშემწეებს პირადი განცხადების საფუძველზე თანამდებობების დატოვება მოსთხოვა.

„სამართლიან არჩევნებთან“ საუბარში ასპინძის გამგებელმა, ლევან ცაბაძემ უარყო მუქარის ფაქტი, თუმცა დაადასტურა, რომ რწმუნებულებს თანამდებობის დატოვების თაობაზე განცხადების დაწერა და დროებით მოვალეობის შემსრულებლად დარჩენა მოსთხოვა. თანამდებობა რწმუნებულების და მათი თანაშემწეების უმრავლესობამ საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა, 19 აგვისტოს კი ცნობილი გახდა, რომ გამგებელმა ლევან ცაბაძემ ტერიტორიულ ერთეულებში გათავისუფლებულ პირთა ნაცვლად ახალი რწმუნებულები დანიშნა.

„მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ რწმუნებულების მიმართ წაყენებული მოთხოვნა, საკუთარი ნებით დაწერონ განცხადებები სამსახურიდან გათავისუფლების მოთხოვნით, უკანონოა და ეწინააღმდეგება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონს. ამასთან, გამგებლის ქმედებაში – იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები. კერძოდ, 2013 წლის 6 მარტს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, პირის იძულება, დაწეროს განცხადება საკუთარი ინიციატივით სამუშაოდან განთავისუფლების თაობაზე, წარმოადგენს დანაშაულს“, – ნათქვამია ანგარიშში.

„სამართლიანმა არჩევნებმა“ ზეწოლის ფაქტი კასპის საკრებულოშიც გამოავლინა, სადაც 2013 წლის 19-20 აგვისოს კასპის საკრებულოს 20-მდე დეპუტატი სახელმწიფო უშიშროების სამსახურის რეგიონულ განყოფილებაში დაიბარეს და საკრებულოს თავმჯდომარის, ავთანდილ გოგნიაშვილის არჩევასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის დაფიქსირება მოსთხოვეს. აღნიშნული ფაქტი დაადასტურა კასპის გამგებელმაც, რომელიც ფაქტების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდებას პრემიერ-მინისტრისთვის გეგმავს.

„სამართლიანი არჩევნების“ შეფასებით, სახელმწიფო უშიშროების სამსახურის რეგიონული განყოფილების მიერ განხორციელებული ფაქტი შესაძლებელია შეფასდეს საკრებულოს წევრებზე ზეწოლად, რაც უკანონოა და არღვევს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ზეწოლის ფაქტი დაფიქსირდა ახმეტაშიც, სადაც 22 აგვისტოს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 12 დეპუტატმა განცხადებით მიმართა საკრებულოს და მოითხოვა საკრებულოს თავმჯდომარის იმპიჩმენტის საკითხის განხილვა მომდევნო დღეს დანიშნულ სხდომაზე. ბიუროს სხდომაზე დამსწრე 7 დეპუტატიდან აღნიშნული საკითხის განხილვას მხარი ორმა დეპუტატმა დაუჭირა.

მომდევნო დღეს საკრებულოს სხდომის დასრულებისთანავე 14 დეპუტატმა კვლავ შეიტანა განცხადება და მოითხოვა საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების საკითხზე კენჭისყრის ჩატარება განხილვის გარეშე. იგივე მოთხოვნით საკრებულოში 26 აგვისტოს განცხადება კოალიცია „ქართული ოცნების“ ახმეტის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა წარადგინა, თუმცა აღნიშნული განცხადება დეპუტატებმა უკან გამოითხოვეს.

საკრებულოს სხდომის შემდეგ 12 დეპუტატის ხელმოწერით ახალი განცხადება დარეგისტრირდა. დეპუტატებმა ამჯერად საკრებულოს თავმჯდომარის გადაყენება, ახალი თავმჯდომარის არჩევა და რიგგარეშე სხდომის 2 სექტემბერს მოწვევა მოითხოვეს.

„სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორის ინფორმაციით, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ საკრებულოს წევრებზე ზეწოლა ხორციელდება. მუნიციპალიტეტში გავრცელებული ინფორმაციით, საკრებულოს დეპუტატები შეხვედრაზე დაიბარა მაჟორიტარმა დეპუტატმა, ზურაბ ზვიადაურმა. შეხვედრაზე, ასევე, იმყოფებოდა გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ბექა ბაიდაური. აღსანიშნავია ის, რომ ღია დაპირისპირება საკრებულოსა და გამგეობას შორის მას შემდეგ დაიწყო, რაც საკრებულომ კონკურსში გამარჯვების მიუხედავად, გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ბექა ბაიდაური არ დაამტკიცა გამგებლად, ვინაიდან ბექა ბაიდაურის სახელზე გაცემული ყალბი პირადობის მოწმობის დამზადება – გამოყენების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

„სამართლიანი არჩევნები“ უარყოფითად აფასებს საკრებულოს წევრებზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტებს და მოუწოდებს შესაბამის პირებს თავი შეიკავონ მსგავსი სახის ქმედებებისგან.

მედიანიუსი

ნაციონალური მოძრაობის ლიდერებისა და აქტივისტების მიმართ ტერორი გრძელდება

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ქართული ოცნების მხრიდან, მათ შორის თავად პრემიერ-მინისტრის, საპრეზიდენტო კანდიდატის არაერთი საჯარო განცხადებისა, რომ საარჩევნო კამპანია, კანონიერ, ღია და გამჭვირვალე გარემოში გაიმართება, ფაქტები სხვა რამეზე მეტყველებს: გრძელდება პირდაპირი ტერორი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერებისა და აქტივისტების მიმართ, იმ პირობებში, როცა პარტიის გენერალური მდივანი დაჭერილია, რაიონებში პარტიის თავმჯდომარეებსა და ლიდერებს აკავებენ, იბარებენ სამართალდამცავ ორგანოებში და აიძულებენ დატოვონ მოქმედი თანამდებობები და გათავისუფლების პირობად პარტიულ აქტივობაზე უარის თქმას უყენებენ (ქობულეთის, ადიგენის და ვანის გამგებლები, ქობულეთის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე).

„ცალკე აღსანიშნავია, რომ ყველა კონკრეტულ ფაქტზე წერილობით იქნა ინფორმირებული საარჩევნო უწყებათაშორისი კომისია, რომლის მხრიდანაც რეალური რეაგირება ჯერ-ჯერობით ნამდვილად არ ხდება.

ზეწოლა, უკვე პარტიის აქტივისტებზე გადავიდა: ფოთში, დღეს 16.00 სთ-ზე პროკურატურაში დაიბარეს მალთაყვის №5 უბნის კოორდინატორი ნუგზარ გოგუა №7 უბნის კოორდინატორი გრიგოლ ღვანია და №34 უბნის კოორდინატორი ლუიზა ჯოლოხავა. მათ დაუკავშირდა უბნის ინსპექტორი ვინმე შენგელია და პროკურატურაში გამომძიებელ წულაიასთან დაიბარა.

მივმართავთ საარჩევნო უწყებათაშორის კომისიას და არასამთავრობო სექტორს სასწრაფო რეაგირება მოახდინოს აღნიშნულ ფაქტზე და მოახდინოს პრევენცია პარტიის აქტივისტებზე ზეწოლის მომავალ ფაქტებზე, რათა ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ შეძლოს სრულფასოვანი საარჩევნო კამპანიის ჩატარება“, – ნათქვამია ნაციონალური მოძრაობის მიერ დღეს გავრცელებულ განცხადებაში.

მედიანიუსი

შსს-მ „ტრამადოლის“ შემცველი 72 აბი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის 1-ლი მთავარი სამმართველოს მე-2 სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად, ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, თბილისში, 1976 წელს დაბადებული ვაჰით გ.დააკავეს. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დაკავებულის კუთვნილი ავტომანქანის ჩხრეკისას ნარკოტიკულ ნივთიერება „ტრამადოლ“-ის შემცველი 72 აბი ამოიღეს. ნარკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, ვაჰით გ.-ს „ოპიუმი“-ს, „მეტადონი“-ს, „ჰეროინი“-ს და „ტრამადოლი“-ს მოხმარების ფაქტი დაუდგინა. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, სსსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

სააკაშვილი: „ხალხის კეთილგანწყობა ზოოპარკის დირექტორს არ მოეწონა“

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პიაცაზე მომხდარ ინციდენტს გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ბათუმში მის მიმართ ხალხის კეთილგანწყობა „ზოოპარკის დირექტორს“ არ მოეწონა და მასთან „ერთ-ერთი გალიიდან თავისი ჩაცუცქული ელემენტები გაუშვა“.

„ასეთი კეთილგანწყობა, რაც მე მხვდება ბათუმში ბოლო დღეებში – ეს ნახა ერთმა კაცმა, ზოოპარკის დირექტორმა ტელევიზორში და ეტყობა არ მოეწონა. გამოუშვა ერთერთი გალიიდან თავისი ჩაცუცქული ელემენტები. ჩამოვიდა გუშინ მთელი ბრიგადა, გადაუხადეს სასტუმროს ფული, სამივლინებო ხარჯები, სასამართლო ხარჯები“, – განაცხადა ხელვაჩაურში მყოფმა სააკაშვილმა და დასძინა, რომ პრეზიდენტის შეურაცხყოფა ასი ლარი ღირს, რუსი დეპუტატის – ათასი ლარი. რუსი დეპუტატის, რომელიც აფხაზეთის ომში საქართველოს წინააღმდეგ იყო.

„მინდა ვუთხრა ზოოპარკის დირექტორს, რომელსაც შეიძლება ნერვები ეშლება იმაზე, რომ ხალხი როდესაც ქუჩაში მხვდება, მეფერება, ტაშს მიკრავს და ეს ტელევიზორში აჩვენეს – ყველაფერს აქვს თავისი ფასი, თუ შენ ჩაცუცქულ ელემენტებს ემხრობი, თუ შენ იმათით აპირებ პოლიტიკის კეთებას, თუ შენ აპირებ ერთგან კონფლიქტის გაღვივებას, სრულიად გაუმართლებელი ქმედებით, როგორიც მოხდა ადიგენში. ამდენი წელი რაც არ გვინახავს, დავინახეთ უკვე, მეორეგან დეპუტატების ცემით – ეს ყველაფერი იკვრება ერთ სურათში და მერე ექმნება საზოგადოებას პრობლემა. ის თავის თავს უშველის – ზოოპარკს დაკეტავს და წავა. ჩვენ, საზოგადოებამ რა ვქნათ?! როგორ უნდა დავალაგოთ ეს ყველაფერი?! როგორ დავაბრუნოთ ტურისტები, რომლებსაც ის გააქცევს, ინვესტორები, შემოსავლები?! მე ყველგან ვიცი, ყოველ საღამოს მივდიოდი ხალხში, მე პრობლემა არ მაქვს, დაცვის გარეშეც ვიცი. მაგრამ პრობლემა აქვს ქვეყანას, ბევრი ასეთი აქტიურობით, ბევრი ქაოსის შექმნის მცდელობით, არეულობის შექმნის მცდელობით. იმიტომ, რომ ამას ყველაფერს აქვს კონკრეტული ფასი – გაჩერებული წარმოებები, დაპირებული შემოსავლები, უსაფრთხოების განცდის მოშლა საქართველოში“, – განაცხადა პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, პიაცას მოედნიდან მელორ ვაჩნაძე და მისი ახლობლები ხალხმა გააძევა.

„ერთი პოლიციელი არ იყო გარშემო სპეციალურად, ასეთ ხალხმრავალ ადგილას. ეს რაზე მეტყველებს – ეს არის სახელმწიფოს მიერ გაკეთებული აქტი“,– აღნიშნა პრეზიდენტმა.

მედიანიუსი

ლაფანყურის მოვლენები შესაძლოა სპეციალურმა საზოგადოებრივმა კომისიამ გამოიძიოს

სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ლაფანყურის სპეცოპერაციასთან დაკავშირებით სპეციალური საზოგადოებრივი საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივით გამოდის. მან ამის შესახებ ლაფანყურის სპეცოპერაციისას დაღუპული სპეცრაზმელის, არჩილ ჩოხელის ოჯახთან შეხვედრისას განაცხადა. სახალხო დამცველმა მისი ოჯახის წევრები მცხეთის რაიონის სოფელ გალავანში მოინახულა. როგორც ნანუაშვილი აცხადებს, ეს კომისია სპეცოპერაციასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაციის შეგროვებას ითავებს.

მისი შეფასებით, ერთი წლის განმავლობაში გამოძიება, ფაქტობრივად, არ ჩატარებულა. ამის გამო დღემდე უცნობია, რა მოხდა სინადვილეში. „შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ გამოძიება გაჭიანურებულია. კითხვები, რომლებიც ერთი წლის წინ დაისვა, კვლავ ძალაშია. მეტიც, რაც დრო გადის, კიდევ უფრო მეტი კითხვა ჩნდება. სამწუხაროდ, ხელისუფლებამ ვერ შეძლო ამ კითხვებზე პასუხის გაცემა. ძალიან ცუდია, რომ ხელისუფლების შეცვლის მიუხედავად, გამოძიება ბოლომდე არ მისულა და სიმართლე დაუდგენელია. მიგვაჩნია, რომ სიმართლე უნდა დადგინდეს. სწორედ ამ მიზნით, ჩვენ ვიწყებთ სპეციალური საზოგადოებრივი საგამოძიებო კომისიის შექმნისთვის მზადებას. დღეს ამასთან დაკავშირებით პანკისის ხეობაშიც ვაპირებ ჩასვლას, სადაც უხუცესთა საბჭოს წარმომადგენლებს შევხვდები“, — განუცხადა ჟურნალისტებს უჩა ნანუაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოდაღესტნის საზღვრის სიახლოვეს, ლოპოტას ხეობაში, ჩატარებული სპეცოპერაციიდან 1 წელი გავიდა. სპეცოპერაციის შედეგად, სპეციალური დანიშნულების რაზმის 2 წევრი, 1 სამხედრო ექიმი და 7 მებრძოლი დაიღუპა.

თელავის რაიონის სოფელ ლაფანყურთან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიტერორისტული ოპერაცია 2012 წლის 28 აგვისტოს გვიან ღამით დაიწყო. როგორც შინაგან საქმეთა უწყება მაშინ იტყობინებოდა, სპეცოპერაცია ლაფანყურის ტყიდან 5 ახალგაზრდის გატაცებას მოჰყვა, რომლებიც 25 აგვისტოს დაიკარგნენ. შსს-ის ცნობით, შეიარაღებულმა ჯგუფმა საქართველოს საზღვარი გადაკვეთა და ახალგაზრდები მძევლებად აიყვანა. ამავე სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის ხელმძღვანელობის თხოვნით, სპეცოპერაციამდე შეიარაღებულ ჯგუფთან მოლაპარაკების მიზნით, ლოპოტას ხეობაში „კავკასიის იმირატის“ ხელმძღვანელ დოკუ უმაროვის პირადი წარმომადგენელი ახმედ ჩიტაევი ჩავიდა, თუმცა მოლაპარაკება არ შედგა. ჩიტაევი სპეცრაზმმა დაჭრა. ამის შემდეგ შინაგან საქმეთა უწყებამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ოპერაციისას დაიღუპა ამავე უწყების ორი თანამშრომელი და სამხედრო ექიმი, დაიჭრა 5 ქართველი სპეცრაზმელი. სამართალდამცავებმა 11 „დივერსანტის“ ლიკვიდაცია მოახდინეს, 6 კი ალყაში ჰყავდათ მოქცეული.

საქმის გამოძიება ამ დრომდე მიმიდნარეობს. მას შსს-ის დაქვემდებარებაში მყოფი კონტრდაზვერვის დეპარტამენტი იძიებს.

მედიანიუსი

ნაფიც მსაჯულთა განსჯად სისხლის სამართლის საქმეზე კინო-ვიდეო გადაღება შეიზღუდა

ნაფიც მსაჯულთა განსჯად სისხლის სამართლის საქმეზე მოსამართლის განჩინებით კინო-ვიდეო გადაღება სასამართლო განხილვის დასრულებამდე შეიზღუდა. ამის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადებაში არის ნათქვამი, რომელსაც „მედიანიუსი“ უცვლელად გთავაზობთ.

„2013 წლის 25 აგვისტოს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით ჩატარებული პირველ სასამართლო სხდომაზე სხდომის თავმჯდომარემ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 228-ე მუხლის თანახმად გააფრთხილა პროცესის მონაწილეები და სხდომაზე დამსწრე პირები წესრიგის დაცვის მიზნით სასამართლოს მითითების სავალდებულოობისა და სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევის მიმართ შესაძლო ღონისძიებების გატარების თაობაზე. აგრეთვე მასმედიის საშუალებები საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 131 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, იმის შესახებ, რომ :

„თუ სასამართლო სხდომაში ნაფიცი მსაჯულები მონაწილეობენ, სასამართლო სხდომის ფოტოგადაღება, კინო-, ვიდეო-აუდიოჩაწერა უნდა განხორციელდეს ნაფიცი მსაჯულების გადაღების, მათი ვინაობის, გარეგნული ნიშნების ან/და სხვა პერსონალური მონაცემების გამხელის გარეშე.“

2013 წლის 27 აგვისტოს, ტელეკომპანია რუსთავი 2 -ის საინფორციო გამოშვება კურიერში გასულ სიუჟეტში, რომელიც შეეხებოდა მიმდინარე სასამართლო პროცესს ნაჩვენები იქნა ნაფიცი მსაჯულები. ვინაიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ, რომელიც უზრუნველყოფს ჩანაწერის გადაცემას მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებისთვის, ასევე ტ/კომპანია რუსთავი 2 ის მიერ არ იქნა გათვალისწინებული სასამართლოს მითითებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ნაფიც მსაჯულთა უსაფრთხოების მიზნით, ასევე საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 131 მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად, ამავე კანონის მე-4 მუხლის თანახმად, სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ ბრალდების საქმეზე სასამართლო განხილვის დასრულებამდე შეიზღუდოს კინო-ვიდეო გადაღება“, – ნათქვამია განცხადებაში.

მედიანიუსი

ცესკოს თავმჯდომარეობის კანდიდატებზე კონსულტაციები უახლოეს დღეებში გაიმართება

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატებთან დაკავშირებული კონსულტაციები პრეზიდენტსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის უახლოეს დღეებში დაიწყება.

ეს განცხადება პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ანდრო ბარნოვმა დღეს ჟურნალისტებთან საუბრისას გააკეთა. „პრეზიდენტმა ღიად მიანიჭა უპირატესობა იმ კანდიდატს, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაციები წარმოადგენენ. კანონის მიხედვით, წარმოდგენილი უნდა იყოს სამი კანდიდატურა და ეს პირობა დაცული იქნება, თუმცა კონსულტაციები გაიმართება. ამისთვის კიდევ რამდენიმე დღე გვაქვს და ეს ალბათ უახლოეს დღეებში მოხდება. ფორმატს პრეზიდენტი გადაწყვეტს“, — განაცხადა ანდრო ბარნოვმა. შეგახსენებთ, რომ ცესკოს თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილმა თანამდებობა 12 აგვისტოს დატოვა. 11-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ პრეზიდენტს გაუროს განვითარების პროგრამის საარჩევნო პროექტების ხელმძღვანელის, თამარ ჟვანიას კანდიდატურა შესთავაზა. მისი კანდიდატურა ოფიციალურად 24 აგვისტოს დასახელდა.

მედიანიუსი

რუსი მესაზღვრეების მიერ დაკავებული საქართველოს სამი მოქალაქე გათავისუფლდა

რამდენიმე დღის წინ სოფელ წითელუბანთან რუსი მესაზღვრეების მიერ დაკავებული საქართველოს სამი მოქალაქე გაათავისუფლეს. გავრცელებული ინფორმაციით, მათი გათავისუფლება ექვსი ათასი რუბლის გადახდის შემდეგ მოხდა. ამ დრომდე საქართველოს მოქალაქეების ცხინვალის იზოლატორში იმყოფებოდნენ.

შეგახსენებთ, რომ ხუთი დღის წინ სოფელ წითელუბანთან რუსმა მესაზღვრეებმა საქართველოს სამი მოქალაქე საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით დააკავეს. თუმცა ადგილობრივები აცხადებდნენ, რომ დაკავებულები საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ.

მედიანიუსი

ვოლგოგრადში საქართველოს მოქალაქე გაასამართლეს

„ალ ყაიდას“ წევრობისთვის გაასამართლეს ვოლგოგრადში საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციის „ალ-ყაიდას“აქტიური წევრი, საქართველოს მოქალაქე შუკურან მამედოვ გაასამართლეს. ამის შესახებ ინფორმაციას რუსული მედია, რუსეთის უშიშროების ფედერალურ სამსახურზე დაყრდნობით ავრცელებს. მას ვოლგოგრადის საოლქო სასამართლომ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებში მონაწილეობისთვის, ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. რუსეთის უშიშროების სამსახურის ცნობით, მამედოვი ვოლგოგრადში 2012 წელს დააკავეს.

„1999 წლიდან მამედოვი, დაღესტანის ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებში არაკანონიერი შეიარაღებული დაჯგუფებების სასარგებლოდ მონაწილეობდა, ახდენდა საზღვარგარეთიდან ფულის ბანდფორმირებების დასახმარებლად შემოტანის ორგანიზებას“– ნათქვამია უშიშროების სამსახურის განცხადებაში.

არსებული ინფორმაციით, ბრალდებულმა 2010 წელს დუკუ უმაროვის ბრძანებით ავღანეთში ტერორისტული მომზადება გაიარა და ნატოს კოალიციური ძალების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში აქტიურად მონაწილეობდა.

უწყების ინფორმაციით, მამედოვი დაღესტანში გადასვლას, უმაროვთან შეხვედრას და „ალ-ყაიდას“ რეზერვიდან კავკასიელი „ბოევიკების“ ფულადი და საბრძოლო სახსრებით უზრუნველყოფას აპირებდა.

მედიანიუსი

ნატო სირიაში მომხდარ თავდასხმას გმობს

ნატო სირიაში მომხდარ აღმაშფოთებელ თავდასხმას გმობს, რომელმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ამის შესახებ ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე განთავსებულ ინფორმაციაში არის ნათქვამი. რასმუსენის თქმით, ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა სირიაში შექმნილი ვითარება და დამასკოში 21 აგვისტოს ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტი განიხილა. „ნატოს მოკავშირეები სირიაში გაეროს ექსპერტთა გამოძიებას სრულ მხარდაჭერას უცხადებენ. მათ სინანული გამოთქვეს, რომ სირიის რეჟიმმა ვერ უზრუნველყო თავდასხმის ადგილზე მომუშავე გაეროს ექსპერტთა უსაფრთხოება“, — აღნიშნა ნატოს გენერალურმა მდივანმა.

მისი მოსაზრებით, სირიის ხელისუფლება პასუხისმგებელია ქიმიური იარაღის გამოყენებაზე, რაც საფრთხეს უქმნის საერთაშორისო უსაფრთხოებასა და მსოფლიო მშვიდობას. „კონსულტაციებსა და სირიაში მიმდინარე მოვლენებზე მჭიდრო დაკვირვებას ვაგრძელებთ. ნატო კვლავ დაეხმარება თურქეთს და დაიცავს ალიანსის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარს“, — აღნიშნა ანდერს ფოგ რასმუსენმა.

მედიანიუსი

„პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული შეწყალება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაა“

„სამართლიანი არჩევნები“ პრეზიდენტის მიერ გამოცხადებულ ფართომასშტაბიანი შეწყალებას ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად აფასებს.

როგორც ორგანიზაციის მიერ საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგის მესამე შუალედურ ანგარიშშია ნათქვამი, 19 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ განცხადება გააკეთა, რომლის თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულისთვის სასჯელმოხდილ პირებს, რომლებიც დღეის მდგომარეობით მიიჩნევიან ნასამართლევ პირებად, ასევე იმ პირებს, რომელთაც ჩაიდინეს დანაშაული და დღეის მდგომარეობით იმყოფებიან პირობითი მსჯავრის ქვეშ, საქართველოს პრეზიდენტი შესაბამისი სამართლებრივი აქტებით გაათავისუფლებს პირობითი მსჯავრის შემდგომი მოხდისაგან, მოუხსნის დამატებით სასჯელს (გარდა გადახდილი ჯარიმისა) და ნასამართლეობას.“

„საგულისხმოა, რომ შეწყალების სავარაუდო სუბიექტთა რაოდენობის გათვალისწინებით, პრეზიდენტის მიერ წინასაარჩევნო პერიოდში მის ხელთ არსებული მსგავსი სამართლებრივი ბერკეტის გამოყენება, შესაძლოა ქმნიდეს განცდას, რომ ეს ქმედება მიზნად ისახავს ამომრჩევლის გულის მოგებას და წარმოადგენს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას საარჩევნო მიზნით. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასთან დაკავშირებულ ეჭვს იწვევს ის გარემოება, რომ პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული ფართომასშტაბიანი შეწყალება მკვეთრად ეწინააღმდეგება მის მიერ 2006 წლის 14 თებერვალს გამოცხადებულ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას. ამასთან, პრეზიდენტის მმართველობის მთელი პერიოდის განმავლობაში შეწყალების ფართომასშტაბიან ინიციატივას ადგილი არ ჰქონია. ამიტომ, პრეზიდენტის პოლიტიკის ერთმნიშვნელოვნად შეცვლა ნასამართლობისა და პირობითი მსჯავრის მოხსნის თაობაზე იწვევს საფუძვლიან ეჭვს, რომ ინიციატივა ამომრჩეველზე ზემოქმედებისა და მათი გულის მოგებისაკენ არის მიმართული“, – მიიჩნევენ ორგანიზაციაში.

მედიანიუსი

„ჩემთვის ისეთი მოგებაა მნიშვნელოვანი, რომელიც ხალხისა და მთავრობის ერთ გზაზე დგომას უჩვენებს“

კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი დღეს ამბროლაურის მოსახლეობას შეხვდა. მან მოქალაქეებს საპრეზიდენტო პროგრამა გააცნო. იგი მანამდე ონის რაიონის ცენტრში იმყოფებოდა, სადაც ის მოსახლეობას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგენკომ და ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და განსახლების მინისტრმა დავით დარახველიძემ წარუდგინეს. „ჩვენი მიზანია, ქართველი კაცი დაუბრუნდეს თავის ბუნებრივ ყოფას. მთავრობამ კი არ უნდა მოიგონოს, რა სჭირდება ხალხს, არამედ ხალხმა უნდა მისცეს დაკვეთა მთავრობას. სოფლის მეურნეობის განვითარება კი არ არის ჩვენი სტრატეგია, არამედ სოფლის განვითარება და აღორძინება,“ – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა. მან მოსახლეობას 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე აქტიურობისაკენ მოუწოდა. „ჩემთვის უბრალოდ მოგება არ არის მთავარი. ჩემთვის ისეთი მოგებაა მნიშვნელოვანი, რომელიც როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ აჩვენებს, რომ ხალხი, მთავრობა და პრეზიდენტი ერთ გზაზე დგანან და საქართველოს მომავალზე ერთნაირი შეხედულება აქვთ“, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

მედიანიუსი

ბათუმში ისტორიები ქუჩაში გააცოცხლეს

ეკა ირემაშვილი

ბათუმში „ბათუმის ეზოს ამბები“ დასრულდა. მთელი ღონისძიების განმავლობაში ბათუმის მკვიდრთა მიერ ფესტივალის ეგიდით ისეთი ამბები იყო წარმოდგენილი, რომელთა მიმართ ინტერესით საზოგადოებამ ნამდვილად გამოიჩინა.

ძველი ბათუმის სამ ქუჩაზე სამი დღის განმავლობაში არაერთი ამბავი „გაცოცხლდა“, რომელსაც 12 არტისტი ათ დღეზე მეტ ხანს ქმნიდა. ზოგი ამბავი გაზეთის ფურცლებიდან გადმოვიდა ქუჩაში თავისი მკითხველის საპოვნელად, ზოგი წარსულიდან გაცოცხლდა, ჩრდილებად იქცა და კედლებზე გადავიდა. ზოგიც კიდევ სამუზეუმო სივრცეში შევიდა და მსოფლიოში თუ არა, საქართველოში მაინც პირველი „ცრურწმენების მუზეუმის“ სამუზეუმო ექსპონატად იქცა.

როგორც მანანა ქველიაშვილი ამბობს, ხულოს ქუჩაზე გაზეთმა „ბათუმელები“ ამბების შეგროვება დაიწყო, მაგრამ არა გაზეთში დასაბეჭდად, არამედ ადამიანების მეხსიერებაში გადასატანად. „ბათუმელები“ იმ პროექტის ნაწილი გახდა, რომელიც უკვე მეორე წელია ბათუმში ხორციელდება. „ბათუმის ეზოს ამბების“ ფარგლებში ხულოს, გორგასლისა და გამსახურდიას ქუჩები სამი დღით საგამოფენო სივრცედ იქცა. ქართველი და უცხოელი არტისტები ნამუშევრებს ქმნიდნენ, რაც შემდეგ საჯარო სივრცეში გამოიტანეს და იქ მისული მნახველი თავიანთი ხელოვნების თანამონაწილე გახადეს.

– ფანჯრებჩაცვენილი, იატაკ და სახურავმორყეული, თითქმის დანგრეული სახლის მეორე სართულიდან გოგონა მთელი საღამო ადევნებდა თვალს ამბებს, რომელიც მისი სახლის ეზოში ხდებოდა. იქვე, ეზოში სარწეველა სკამში მჯდომი ეზოს კიდევ ერთი ბინადარი, ასევე მთელი საღამო აკვირდებოდა მომსვლელთ. სიმშვიდე, რომელსაც ეს ადამიანები გადმოსცემდნენ, გადამდებია. მათი შემხედვარე, აღარ გეშინია, უფრო მეტიც, აღარ გიკვირს, რომ სახლი, რომლის ფეხზე დგომაც წარმოუდგენელი გგონია, მაინც ცოცხალია, – ყვება მანანა ქველიაშვილი.

– ბათუმში, ხულოს ქუჩის რვა ნომერში ანგელოზი ცხოვრობს, რომელ ანგელოზსაც უჭირავს ეს სახლი. პირველად როცა ამ ეზოში შემოვედი, მივხვდი, რომ გრავიტაციის კანონები აღარ მუშაობს. ანგელოზი სწორედ აქ ცხოვრობს, – აღნიშნა დენის გოლობინმა, რომელმაც ხულოს ქუჩაზე ავარიული სახლის ეზოში რკინის ანგელოზის კონსტრუქცია დადგა.

იმავე სახლს ბოძი პროექტის დირექტორმა ლევან ხუჯაძემ შეუდგა და სხვადასხვა ჟანრის წიგნებით აშენებული ბოძი,

გაგრძელება მე-10 გვერდზე

შრომის კოდექსი ეწინააღმდეგება კონკორდატს

მერი ნამორაძე

ხელისუფლება თუ ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ იდეას გაითვალისწინებს, მაშინ უქმე დღეების ნუსხას, სულ მცირე, 6 დღე კიდევ უნდა დაემატოს. როგორც ახალგაზრდა ადვოკატები ირწმუნებიან, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებულ კონსტიტუციურ შეთანხმებასა და მოქმედ შრომის კოდექსს შორის არსებული ხარვეზი აღმოსაფხვრელია.

ორგანიზაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, მარიკა არევაძემ, გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ ისინი მზადყოფნას გამოთქვამენ, მონაწილეობა მიიღონ საქართველოს შრომის კანონმდებლობის შემდგომ დახვეწაში, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უზრუნველყოფს და საკანონმდებლო წინადადების სახით წარმოადგინონ კოდექსში შესატანი ცვლილებები, რომელიც აღმოფხვრის ხარვეზს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებულ კონსტიტუციურ შეთანხმებასა და მოქმედ შრომის კოდექსს შორის.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, მოქმედი შრომის კოდექსი ეწინააღმდეგება ეკლესიასთან დადებულ კონსტიტუციურ შეთანხმებას (კონკორდატი) და სამართლებრივ ხარვეზს ქმნის. საუბარია უქმე დღეების რეგულირების საკითხზე, რომელსაც შრომის კანონმდებლობა ადგენს და ცდება კონსტიტუციურ შეთანხმებაში მითითებულ იმ ჩამონათვალს, რომელიც შრომის კანონმდებლობას უნდა გაეთვალისწინებინა.

„საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ არსებული კონსტიტუციური შეთანხმებით, მხარეებს მიღწეული აქვთ შეთანხმება ისეთ საკითხზე, როგორიც არის დასვენების დღეები. კერძოდ, კონკორდატით დიდი საეკლესიო დღესასწაულები და კვირა დღეები გამოცხადებულია დასვენების დღეებად. კონსტიტუციური შეთანხმებით, დიდ საეკლესიო დღესასწაულებად მიჩნეულია: წმიდა ნინოს ხსენების დღე (27 იანვარი); მირქმა მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი (15 თებერვალი); ხარება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა (7 აპრილი); სააღდგომო დღეები – დიდი პარასკევი, დიდი შაბათი; აღდგომის კვირადღე (გარდამავალია); ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი (გარდამავალია). რამდენად მისაღებია ეს იდეა ხელისუფლებისათვის, უახლოეს მომავალში გამოჩნდება.

რატომ გაიზარდა ნავთობზე ფასები

შორენა გონგლაძე

სირიის გარშემო შექმნილი ვითარების გამო ნავთობის ფასი იზრდება – ამის შესახებ ინფორმაციას ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირი ავრცელებს. ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის ინფორმაციით, ნავთობის ფასმა ზრდა დაიწყო და ბოლო დღეების განმავლობაში ბოლო ექვსი თვის მაქსიმუმს მიაღწია.

„მიმდინარე წლის აგვისტოში მსოფლიოში ნავთობის ფასი სხვადასხვაგვარად იცვლებოდა. თუ თვის პირველ კვირაში ნავთობის ფასები მცირდებოდა, მეორე კვირიდან ნავთობის ფასმა ზრდა დაიწყო და ბოლო დღეების განმავლობაში ბოლო 6 თვის მაქსიმუმს მიჩვენებელს მიაღწია. დღეისათვის ნავთობის ფასი შეადგენს: ლონდონში InterContinental Exchange Futures Europe-ze (IsE Futures Europe) _ Brent ტიპის ნავთობის ფასი – 115,80 დოლარს/ბარელზე, ხოლო ნიუიორკში York Mercantile Exchange-ze (NYMEX) _ Light Sweet ტიპის ნავთობის ფასი – 109,27 დოლარს/ბარელზე“, – ნათქვამია განცხადებაში.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის ინფორმაციით, ბოლო პერიოდის განმავლობაში ნავთობის ფასის ზრდას ხელი შეუწყო ჩინეთში ნავთობზე მოთხოვნილების ზრდამ, რაც განპირობებულია ჩინეთის ეკონომიკის ზრდით. კერძოდ, საქმიანი აქტიურობის მნიშვნელოვანი ზრდით მრეწველობაში. ასევე ამ პერიოდის განმავლობაში დამაიმედებელი ძვრებია მთლიანად მსოფლიოს ეკონომიკაში. ჩინეთის ანალოგიურად აშშ-შიც ბოლო თვეების მაქსიმუმ მაჩვენებელზეა საქმიანი აქტიურობის ზრდა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის მიმართულებით, ხოლო ევროკავშირში ის მოსალოდნელზე უფრო მაღალი აღმოჩნდა.

„კვლავინდებურად აქტუალობას არ კარგავს ეგვიპტეში არსებული არასტაბილური ვითარება. როგორც ცნობილია, ეგვიპტეში არსებული სუეცის არხისა და ნავთობსადენ სუმდის მეშვეობით ყოველდღიურად 4,5 მლნ ბარელი ნავთობის გატარება ხდება.

ამას დაემატა სირიის გარშემო შექმნილი საგანგაშო ვითარება. კერძოდ, დღედღეზე ელოდებიან საომარი მოქმედებების დაწყებას აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მხრიდან, რამაც ნავთობის ფასის მატებას ახალი ბიძგი მისცა. მართალია, სირია არ არის ნავთობმომპოვებელი ქვეყანა, ისევე, როგორც ეგვიპტე, თუმცა არის იმის დიდი ალბათობა, რომ კრიზისი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებზეც გავრცელდეს, რომელთა შორის მთავარი ირანია, რომელმაც უკვე გააკეთა მკვეთრი განცხადებები სირიის გარშემო შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, – ნათქვამია განცხადებაში.

პროფესიული კადრების მომზადებით კერძო სექტორი დაინტერესდა

მერი ნამორაძე

პროფესიული განათლების განვითარებაში კერძო სექტორის მიზიდვის აუცილებლობაზე კარგა ხანია საუბრობენ განათლების მუშაკები. საუბარი დღემდე საუბრად რჩება და კერძო სექტორი, რომელიც ყოველთვის მაღალპროფესიონალ კადრებს ითხოვს, დიდად თავს არ იწუხებს, კადრების მომზადება-გადამზადებაში დახარჯოს ფინანსები.

ამჯერად, „ლიბერთი ბანკი“ დაინტერესდა პროფესიული კადრების მომზადებით და მემორანდუმიც გააფორმა განათლების სამინისტროსთან. სწორედ გუშინ პროფესიული განათლების განვითარების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, „ლიბერთი ბანკსა“ და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ 12 საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. თანამშრომლობის მემორანდუმს ხელი მოაწერეს: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ, „ლიბერთი ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა გიორგი არველაძემ და საზოგადოებრივი კოლეჯების „ახალი ტალღა“, „მერმისი“, „იბერია“, „ოპიზარი“, „ფაზისი“, „პრესტიჟი“, „მოდუსი“, „ჰორიზონტი“, „ბლექსი“, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხელმძღვანელებმა.

თანამშრომლობა ითვალისწინებს პროფესიული გადამზადების, პროფესიული სტუდენტების სამომავლო დასაქმების და კვალიფიციური კადრების აღზრდის ხელშეწყობას. მემორანდუმის მიხედვით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საკვალიფიკაციო ჩარჩოს გადახედვის ფარგლებში, კომპანიის ინფორმირებასა და დაგეგმილ ღონისძიებებში ჩართულობას უზრუნველყოფს, ასევე, უზრუნველყოფს მათ ჩართულობას პროფესიული სტანდარტების გადახედვის და შემუშავების პროცესსა და პროფესიული ორიენტაციის კუთხით დაგეგმილ აქტივობებში.

„ლიბერთი ბანკი“ კი, მემორანდუმის მონაწილე პროფესიული სტუდენტების სტაჟირების ორგანიზებას უზრუნველყოფს, რაც თავის მხრივ აამაღლებს პროფესიულ სტუდენტთა მოტივაციას, უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპონენტის ათვისებასა და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას.

ქართველმა სპეციალისტებმა იშხანთან დაკავშირებით თურქულ მხარეს რეკომენდაციები გაუცვნეს

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ მედიას იშხანთან დაკავშირებით სამუშაო ვიზიტის ანგარიში გააცნი. როგორც დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ განაცხადა, იშხნის სამონასტრო კომპლექსის საპროექტო ჯგუფის ავტორებს – კომპანია ამფორა მიმარლიკის არქიტექტორ-რესტავრატორებს.

სამინისტროს ცნობით, ამ დროისთვის ტაძრის დასავლეთ მკლავზე გადაყვანილია საბჯენი თაღები, ცილინდრული კამარა და მოწყობილია გადახურვის კონსტრუქცია.

ქართველმა სპეციალისტებმა უკანასკნელ თვეებში ძეგლზე განხორციელებულ სამუშაოებზე თურქულ მხარეს საკუთარი რეკომენდაციები გააცნეს და ერთობლივად იმსჯელეს ტაძრის აღმოსავლეთ მკლავის გადახურვის კონსტრუქციული მოწყობის დაგეგმილ და საკმაოდ რთულ ეტაპზე.

მედიანიუსი

პრემიერის მიერ გუნდალაძეების ოჯახისათვის საჩუქრად ბრილიანტის ბეჭდის გადაცემა შესაძლოა დანაშაულის ნიშნებს შეიცავდეს

ორგანიზაცია ,,სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის მესამე შუალედურ ანგარიშს აქვეყნებს. მასში ნათქვამია, რომ სამართალდარღვევად შეიძლება ჩაითვალოს პრემიერ-მინისტრის მიერ შუამთობის დღესასწაულზე გუნდალაძეების ოჯახისათვის საჩუქრად ბრილიანტის ბეჭედის გადაცემა.

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ მიიჩნევს, რომ პრემიერ-მინისტრის მიერ ამომრჩევლისათვის საჩუქრის გადაცემის ფაქტი შესაძლოა შეიცავდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის, ან სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, რაც დამოკიდებულია საჩუქრის ღირებულებაზე.

,,თუ პრემიერ-მინისტრის მიერ გადაცემული საჩუქარი არ აღემატება 100 ლარს, მაშინ შესაძლოა სახეზე გვქონდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. კერძოდ: „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის 342 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი სანქციის თანახმად, საარჩევნო მიზნით ფიზიკური პირის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული უკანონო საჩუქრის, შემოსავლის, მომსახურების მიღება, თუ ქონების (მომსახურების) ან გარიგების ღირებულება არ აღემატება 100 ლარს გამოიწვევს პარტიის, პარტიის წარმომადგენლის, იურიდიული პირის დაჯარიმებას შესაბამისი ქონების (მომსახურების) ან შესაბამისი გარიგების ღირებულების ათმაგი ოდენობით და ფიზიკური პირის დაჯარიმებას შესაბამისი ღირებულების ორმაგი ოდენობით“, – აცხადებენ ორგანიზაციაში.

მედიანიუსი

დიდი რეგიონალური დაპირისპირების შემთხვევაში საქართველოს მიმართ შესაძლოა აგრესია განხორციელდეს

ექსპერტ დემურ გიორხელიძის თქმით, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს ხელისუფლების პოზიცია კონფლიქტში მოდის მეზობელი ქვეყნების შეხედულებებთან, დიდი რეგიონული დაპირისპირების შემთხვევაში, ეს საფუძველი იქნება იმისა, რომ საქართველოს მიმართ აგრესია განხორციელდეს.

ამგვარად, ,,მედიანიუსთან“ საუბრისას ექსპერტი დემურ გიორხელიძე, სირიაში აშშ-ის მიერ შესაძლო სამხედრო ოპერაციის დაწყებას და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებს გამოეხმაურა.

,,ახლო აღმოსავლეთი და შუა აზია ერთიანი გეოსტრატეგიული სივრცეა, ამიტომ სირიაში საბრძოლო მოქმედებების და ირანის მიმართულებით კიდევ რაიმე მოქმედებების განხორციელება ავტომატურად გააქტიურებს თურქეთსა და რუსეთს და ისინი შეეცდებიან, დაიკავონ ის პოზიციები, რომელიც ამ გლობალურ კონფლიქტში მათთვის ხელსაყრელი იქნება. აქ არავინ მიაქცევს ყურადღებას იმას, საქართველო რა მდგომარეობაშია და არავინ დაეკითხება მას, რადგან დიდი რეგიონალური კონფლიქტის შემთხვევაში ყველა დიდი სახელმწიფო თავისი ინტერესების შესაბამისად იმოქმედებს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს ხელისუფლების პოზიცია ისეთია, რომ კონფლიქტში მოდის მეზობელი ქვეყნების შეხედულებებთან, დიდი რეგიონალური დაპირისპირების შემთხვევაში, ეს მით უფრო საფუძველი იქნება იმისა, რომ საქართველოს მიმართ განხორციელდეს აგრესია. ამიტომ სირიაში საბრძოლო მოქმედებების დაწყება ეს არ არის მარტივი კონფლიქტი, რადგან უზარმაზარ რეგიონს კატასროფის წინაშე აყენებს და საქართველოც შემადგენელია ამ რეგიონისა“-აცხადებს გიორხელიძე.

მისი თქმით, დღეს ახლო აღმოსავლეთის ყველა ქვეყანაში, ევროპის ყველა ქვეყანაში ყველა ამ საკითხზე მსჯელობს, საქართველოში კი ამის შესახებ არცერთი სიტყვა არ თქმულა.

,,შუაგული ევროპის ქვეყნები უარს ამბობენ ამ კონფლიქტში ხელი შეუწყონ ისეთ მოკავშირეს, როგორიცაა აშშ და ნატო. იგივე სიტუაცია იქნება ჩვენს ირგვლივაც. პოზიციების დაფიქსირება მოუწევს ყველა ქვეყანას, მათ შორის სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს. ჩვენ არაფერს ვაფიქსირებთ და ამით შეიძლება კიდევ უფრო მეტ კითხვებს ვაჩენთ, რადგან პოზიციის სიცხადე გარკვეულწილად არის თავდაცვის კარგი საშუალება. საქართველოს უნდა თუ არა პოზიციის დაფიქსირება, თუ ერთი რაკეტაც კი გაისროლეს სირიის მიმართულებით, შემდეგ როგორც ირანი ამბობს, ის აუცილებლად ისრაელს დარტყამს, მაშინ საქართველოს პირველივე გასროლილი რაკეტისთანავე მკაცრად და ცხადად მოუწევს პოზიციების გამოხატვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისეთი საშიშროების წინაშე დააყენებს საკუთარ სახელმწიფოს, რომ ამაზე არც მინდა ვიფიქრო. გლობალური, რეგიონალური კონფლიქტის შემთხვევაში საქართველოს დესუვერენიზაცია, არასწორი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ფაქტობრივად გარანტირებულია“ – მიიჩნევს ექსპერტი.

გიორხელიძე ვარაუდობს, რომ სირიაში აშშ ფართომასშტაბიან საბრძოლო მოქმედებებს არ დაიწყებს.

,,აშშ იქ ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედების დაწყებას არ აპირებს, რადგან ამის რესურსი აშშ არ გააჩნია. ეს იქნება პრევენციული დარტყმები, ზოგიერთი სტრატეგიული ობიექტების დაბომბვის კუთხით. ისინი სავარაუდოდ, შეეცდებიან ქიმიური იარაღის საწყობები არ დაბომბონ, რადგან ამას შეიძლება სერიოზული გართულებები მოჰყვეს. აშშ-ის მოქმედება არ იქნება ლიბიის მსგავსი ოპერაცია. ეს გამორიცხულია, ლიბიაში ძალიან მწარე გაკვეთილი მიღო ნატომ. ამიტომ სირიაში უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს იქნება უფრო გარედან სარაკეტო დარტყმები, ვიდრე სახმელეთო ოპერაციები. ამისთვის აშშ მზად არ არის. რადგან თუ მოხდა ჯარის სირიაში გადასხმა, ამას აუცილებლად მთელი რეგიონის აფეთქება მოჰყვება და ამაში ძალიან ცუდად ჩვენც მოვყვებით“-აცხადებს გიორხელიძე.

შეგახსენებთ, რომ სირიაში სიტუაცია კრიტიკულ ფაზაში 21 აგვისტოს მას შემდეგ შევიდა, რაც ქიმიური იარაღის გამოყენების შედეგად 1300 ადამიანი დაიღუპა. ამის შემდეგ აშშ და დასავლეთის ქვეყნებმა განაცხადეს, რომ შესაძლოა სირიის კონფლიქტში სამხედრო სახით ჩაერიონ. აღნიშნულ განცხადებას რუსეთი და ჩინეთი კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან.

მედიანიუსი

2013, 30 აგვისტო, №205

ნიქოზში ანიმაციის ფესტივალი ჩატარდება

ეკა ირემაშვილი

2 სექტემბრიდან ნიქოზში ანიმაციის საერთაშორისო ფესტივალი აიღებს სტარტს. ღონისძიებები ცხინვალისა და ნიქოზის ეპარქიის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით გაიმართება. ტრადიცია არც წელს დაირღვევა და ფესტივალი მსოფლიოში ცნობილ რეჟისორებს უმასპინძლებს. უცხოელი მულტიპლიკატორები და სცენარისტები 2-დან 8 სექტემბრის ჩათვლით მაყურებელს საკუთარ შემოქმედებას გააცნობენ და გამოცდილებასაც გაუზიარებენ.

ფესტივალზე მიწვეულნი არიან რეჟისორ-ანიმატორები რუსეთიდან, გერმანიიდან, ბულგარეთიდან, პოლონეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ბელარუსიდან, რომლებიც წარმოადგენენ თავიანთ შემოქმედებას და ჩაატარებენ მასტერკლასებს.

ნიქოზის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალის მეგობრები არიან დრეზდენისა და სუზდალის ანიმაციური ფილმების ფესტივალები, რომლებიც ნიქოზში წარმოადგენენ ბოლო წლებში გამარჯვებულ ფილმებს.

– ნიქოზის ფესტივალი გაიხსნება ცნობილი იტალიელი სცენარისტის ტონინო გუერას ნახატების გამოფენით. ფესტივალის გახსნის დღეს ნაჩვენები იქნება ნიქოზის 2008 წლის ტრაგედიის თემაზე გერმანიაში მოღვაწე ანიმატორების მიერ შექმნილი ანიმაციური ფილმი და ნიქოზის სახელოვნებო სკოლის მოწაფეთა მიერ შექმნილი ანიმაციური ფილმი „მთესავარი“ (სახარების მიხედვით). ნიქოზის ფესტივალში ასევე მონაწილეობას მიიღებს „თბილისი – 2013 თანამედროვე მუსიკის საღამოები“. კომპოზიტორი თეიმურაზ ბაკურაძე; პიანისტები ნანა ხუბუტია, თამარ ჟვანია; ანჩისხატის ტაძრის მგალობელთა გუნდი, – ამბობენ ეროვნულ კინოცენტრში.

გორის რაიონის სოფელ ნიქოზში რიგით მესამე ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალსაც, ტრადიციულად, რეჟისორი გელა კანდელაკი და „ბუდრუგანა გაგრა“ წარმოადგენენ.

– ეს ის ადგილია, სადაც სტუმრები გვიზიარებენ საკუთარ მოსაზრებებს, გვაცნობენ სიახლეებს და ქართველ ახალგაზრდებს ერთობლივი პროექტების გაკეთებასაც სთავაზობენ. ანიმაცია არ არის ნივთის გადაადგილება ანდა ადამიანის მოძრაობის ჩვენება, მისი მიზანი ადამიანის სულის მოძრაობის ჩვენებაა. სამწუხაროდ, ბოლო დროს ანიმაციიდან განიდევნა თბილი გმირები, დაიკარგა სულიერება და სიკეთის ნაცვლად აგრესია იფრქვევა. მთელ მსოფლიოშია ამის კრიზისი. ძნელი დასაჯერებელია, რომ საქართველოხდება ისეთი ფორუმის ინიციატორი, სადაც მთავარი არა შეჯიბრი, არამედ ხელოვნების ზეიმია. აქ არ ხდება ვარსკვლავების თამაში, არამედ საქმიანი საუბარია ხელოვნებასა და ანიმაციაზე. ბევრმა მკითხა, როგორ გინდათ გაუძლოთ ასეთ ფესტივალს კომერციის გარეშე? მინდა გითხრათ, რომ ანიმატორები სულ სხვა სულიერების ადამიანები არიან, სხვა პრიორიტეტები აქვთ. მე ვსაუბრობ იმათზე, ვინც არა კომერციულ ფილმებს, არამედ ანიმაციურ სამყაროს ქმნიან, – ამბობს გელა კანდელაკი.

ფესტივალის შექმნის იდეა და ინიციატივა ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტ ესაიას ეკუთვნის, რასაც წინ უძღოდა მის მიერ ნიქოზში სახელოვნებო სკოლის შექმნა. ამ სკოლას საკმაოდ დიდი იდეური დატვირთვა აქვს, რადგან მასში სხვადასხვა საგნებს 120 მოსწავლე ეცნობა, თანაც ანიმაციას და ჩრდილების თეატრის ხელოვნებას ეუფლება. ამ ბავშვების მასწავლებლები რეჟისორი გელა კანდელაკი, მისი სტუდია „კვალი XXI“ და „ბუდრუგანა გაგრას“ მსახიობები არიან. მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილების თეატრი საქართველოში და მის საზღვრებს გარეთაც აქტიურად ატარებს გასტროლებს, მონაწილეობს სხვადასხვა ფესტივალებში, ანიმაციური ფესტივალის ორგანიზებაში ეს ყველაფერი ხელს სულაც არ უშლის.

– ნიქოზის ანიმაციური ფილმების ფესტივალი იმითაა გამორჩეული, რომ იგი არ წარმოადგენს ტრადიციული ფილმების კონკურსს, მას უფრო ხელოვნების ფორუმის სახე აქვს, რომლის მიზანი საზოგადოების მაღალ ხელოვნებასთან ზიარებაა. საფესტივალო პროგრამაში, ფილმების ჩვენებასთან ერთად, დაგეგმილია სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მასტერკლასები და კონცერტები. ანიმატორები თავად წარუდგენენ ფილმებს მაყურებელს და ისაუბრებენ ანიმაციის შესახებ და იმ ღირებულებებზე, რასაც ხელოვნების ეს დარგი ზოგადად საზოგადოებაში ამკვიდრებს, – აცხადებს ფესტივალის წარმომადგენელი ქეთევან ჭიტაძე.

ფესტივალის გახსნის დღეს ,სტუმრების წარდგინების შემდეგ, ფესტივალზე დამსწრე საზოგადოებას საშუალება ექნება, ტონინო გუერას სურათებიც დაათვალიეროს, რომელსაც სპეციალურად ფესტივალისთვის ჩამოიტანენ. ტონინო გუერას ნამუშევრებს ლორა გუერა წარმოადგენს.

რაც შეეხება ერთკვირიანი საერთაშორისო ანიმაციური ფესტივალის პროგრამას, ის უკვე გაწერილია და ასე გამოიყურება: 2 სექტემბერი – ალა ჩურიკოვას ანიმაციური ფილმი „ნიქოზი 2008“; გიორგი მაღრაძის საფორტეპიანო მუსიკა; ნიქოზის ხელოვნების სკოლის მოსწავლეთა ანიმაციური ფილმი „მთესავარი“; ნიქოზის ხელოვნების სკოლის გახსნა, ჩრდილების თეატრ „ბუდრუგანა-ნიქოზის“ რამდენიმე მინიატურა; იზაბელა პლუჩინსკას ფილმები (პოლონეთი-გერმანია), სვეტლანა ფილიპოვას ფილმები (რუსეთი). 3 სექტემბერი – იზაბელა პლუჩინსკას მასტერკლასი (პოლონეთი-გერმანია); დრეზდენის ანიმაციური ფილმების ფესტივალის პროგრამა; პოლონური სტუდიების ფილმების პროგრამა; დმიტრი პოპოვის დისკუსია (კენტრიჯის შემოქმედების თემაზე). 4 სექტემბერი – საბავშვო პროგრამა: ფესტივალი „ფასკუნჯი“ (რუსეთი); „თხუნელა“ (ჩეხეთი); თეიმურაზ ბაკურაძე „გალობანი სინანულისანი“ (ფორტეპიანოსა და კინოეკრანისთვის). 5 სექტემბერი – იზაბელა პლუჩინსკას მასტერკლასი (პოლონეთი-გერმანია); შემოქმედებითი შეხვედრა რეჟისორ ნატალია ორლოვასთან (რუსეთი);

„ანიმოსი“ წარმოგიდგენთ (რუსეთი); დმიტრი გელერის ფილმები (რუსეთი); ირინა ლიტმანოვიჩის ფილმები (რუსეთი). 6 სექტემბერი – ანდრეი ხრჟანოვსკის ფილმების რეტროსპექტივა (რუსეთი); თამარ ჟვანიას საფორტეპიანო მუსიკის საღამო. 7 სექტემბერი – სტეფან ბირუკოვის მასტერკლასი (რუსეთი); ბულგარული ანიმაციური ფილმების რეტროსპექტივა (2005-2013); სოფიის ანიმაციური ფილმების ფესტივალის ლაურეატები; „სუზდალის ფესტივალის ექო“ (რუსეთი); „ლეგენდის დაბრუნება“ (დოკუმენტური ფილმი რუს ანიმატორებზე). 8 სექტემბერი – დმიტრი სურინოვიჩის მასტერკლასი (ბელარუსი); სტეპან ბირუკოვის ფილმები (რუსეთი); „წარმოგიდგენთ ანიმაციური ფილმების დამდგმელ მხატვარს“ დმიტრი სურინოვიჩის მიერ გაფორმებული ფილმები (ბელარუსი). დღის ბოლოს დაგეგმილია ფესტივალის საზეიმო დახურვა, რომელსაც ანჩისხატის ტაძრის მგალობელთა გუნდის კონცერტი დაასრულებს.

როგორც ფესტივალის კოორდინატორი ქეთევან ჭიტაძე აღნიშნავს, ფესტივალზე დასწრების მსურველების რეგისტრაცია 27 აგვისტოს დასრულდა, თბილისიდან ნიქოზში სტუმრების გამგზავრებას უზრუნველყოფს ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფი. ავტობუსი ნიქოზის მიმართულებით 2 სექტემბერს რესპუბლიკის მოედნიდან დილის 9 საათზე გავა.

აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი საერთაშორისო ფესტივალზეა

ეკა ირემაშვილი

აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი და ახალგაზრდული კაპელა კულტურის საერთაშორისო ფესტივალზე გაემგზავრა. მათ ფესტივალზე წასვლა აფხაზეთს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით შეძლეს.

საბერძნეთის ქალაქ ათენში კულტურის მესამე საერთაშორისო ფესტივალი 26 აგვისტოს გაიხსნა და 2 სექტემბრამდე გაგრძელდება. აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი და ახალგაზრდული კაპელა მასში მონაწილეობას პირველად მიიღებს და მაყურებლის წინაშე ქართულ-აფხაზური სიმღერებითა და ცეკვებით წარდგება.

წელს ფესტივალში ასევე მონაწილეობენ ესპანეთის, სერბეთის, ჩინეთის, ინდოეთის, იორდანიის, ერაყის, პოლონეთის, მექსიკის, შვედეთის ინდონეზიის და შვეიცარიის წარმომადგენლები.

ქართული სიმღერა რომ ყველგან წარმატებულია, ამაზე უკვე აღარავინ დავობს. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, ბავშვთა ვოკალური კვინტეტი „ზი ქვინსსენტიალ ფაივ“ გერმანიისა და ავსტრიის მუსიკალურ ფესტივალებში მონაწილეობის მისაღებად იმყოფებოდა. კვინტეტმა მონაწილეობა მიიღო ლაიფციგის ვოკალური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალში, სადაც ჟიურის რჩეული და მეორე საპრიზო ადგილის მფლობელი გახდა. ბავშვთა ვოკალურმა კვინტეტმა მორიგი წარმატება მოიპოვა ქალაქ გრაცში გამართულ საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზეც, სადაც ასევე მეორე საპრიზო ადგილი და ოქროს დიპლომი დაიმსახურა.

ქართული სიმღერის უნიკალურობის კიედვ უფრო მეტი პოპულარიზაციისთვის, 2014 წელს რიგაში ტარდება მსოფლიო საგუნდო სიმღერის ფესტივალი-კონკურსი, რომელიც მიზნად ისახავს სხვადასხვა ქვეყნის საგუნდო მუსიკის ანსამბლებს, როგორც ფოლკლორული, ისე კამერული მუსიკის, შორის კონკურსის ჩატარებასა და გამარჯვებულის გამოვლენას.

კონკურსი ჩატარდება 29 კატეგორიაში, ორ ნაწილად: პირველი ნაწილი ითვალისწინებს კონკურსის გამართვას ისეთ სამუსიკო გუნდებს შორის, რომლებიც გამარჯვებულები არიან სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალებსა და კონკურსებში. ხოლო მეორე ნაწილში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ ანსამბლს, მათ შორის დამწყებ ჯგუფებს.

ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად მსურველების დარეგისტრირება ხდება ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით 2013 წლის 15 სექტემბრამდე. როგორც კულტურის სამინისტრო იუწყება, 15 სექტემბრის შემდეგ რეგისტრაციის გადასახადი ორმაგდება. ვინ გამოთქვამს სურვილს საქართველოდან ამ კონკურსში მონაწილეობაზე, სულ მალე გახდება ცნობილი.

განცხადებები

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბრონაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ოსტეოქონდროზის, დაქვეითებული სმენის – ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, რადიკულიტის, ჭრილობების და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების, აპარატურისა და ქირურგიული ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. მისამართის შესახებ დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სხესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი კერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულჩიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

საქართველოს ნაკრები ისრაელში 75:77 დამარცხდა

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ისრაელში ადგილობრივ ნაკრებთან მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა და დაძაბულ ბრძოლაში – 75:77 დამარცხდა. ამით ებრაელებმა ქართველებს რევანში აუღეს. შეგახსენებთ, რომ 2 დღის წინ, ქალაქ ელეათში გამართული შეხვედრა საქართველომ 74:73 მოიგო. მთლიანობაში კი, მიმდინარე მოსამზადებელ ციკლში ქართველები ებრაელებს 3-ჯერ შეხვდნენ. პირველად ეს 9 აგვისტოს, იტალიაში მოხდა, სადაც იგორ კოკოშკოვის გუნდმა ისრაელი 79:77 დაამარცხა. ეს ორივე მოგება ბოლო წამებზე მოხდა. იგივესთან საქართველოს ნაკრები ახლაც ახლოს იყო, მაგრამ ამჯერად ბოლო სროლა გააცუდეს, მაგრამ მანამდე საქმე ისე მიდიოდა, ბოლო წამებზე მატჩის ბედის გარკვევა სულაც არ უნდა გამხდარიყო საჭირო.

საქართველოს ნაკრები დღევანდელი მატჩის მეორე მეოთხედში 19 ქულით იგებდა, დიდი შესვენებისთვის კი იგორ კოკოშკოვის გუნდის უპირატესობამ 15 შეადგინა. მესამე პერიოდში მასპინძლებმა 10 ქულით იმარჯვეს, ხოლო 6-წუთიანი მონაკვეთი 20:0 (!) მოიგეს და საფინალო სირენამდე 6 წუთით ადრე 71:63 დაწინაურდნენ.

ქართველებმა ბოლო წუთებზე მოგების შანსი მაინც გაიცოცხლეს, როცა გიორგი ცინცაძის 2-ქულიანს ვიქტორ სანიკიძემ 3-ქულიანი მოაყოლა და ჩამორჩენა 2 ქულამდე შეამცირა (75:77). საფინალო სირენამდე 35 წამი რჩებოდა, ქართველებმა მასპინძლების შეტევაც მოიგერიეს, თუმცა რიკი ჰიკმანმა გადამწყვეტ შეტევაში ვერ იხეირა და მატჩის ბედიც გაირკვა.

დღეს დილით, საქართველოს ნაკრები ლიტვაში გაფრინდა. ბოლო საკონტროლო მატჩს კოკოშკოვის გუნდი 1 სექტემბერს კაუნასში, ლიტვის ნაკრებთან გამართავს, რის შემდეგაც, 2 სექტემბერს, ჩარტერული რეისით სლოვენიაში გაფრინდება და ევროპის ჩემპიონატში ჩაებმება.

პოლონეთმა ევროპის ჩემპიონატისთვის შემადგენლობა დაასახელა

ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე 1 კვირით ადრე საქართველოს ნაკრების ერთ-ერთმა მეტოქე პოლონეთმა 12-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. სლავთა ნაკრებმა მოსამზადებელი მატჩები შვედეთის ძლევით დაასრულა, რის შემდეგაც მთავარმა მწვრთნელმა დირკ ბაუერმანმა ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელი შემადგენლობა დაასახელა.

სანამ შემადგენლობას გაგაცნობდეთ, გეტყვით, თუ რა შედეგებით დაასრულა პოლონეთის ნაკრებმა მოსამზადებელი მატჩები. გამართული 10 შეხვედრიდან დირკ ბაუერმანის გუნდმა 6 მოიგო და 4-ში დამარცხდა.

ისრაელი-პოლონეთი 81:65, პოლონეთი-საქართველო 87:75, იტალია-პოლონეთი 76:65, ესპანეთი-პოლონეთი 70:66, პოლონეთი-ისრაელი 75:72, ბელგია-პოლონეთი 52:66, პოლონეთი-იტალია 82:79, პოლონეთი-უკრაინა 83:84, პოლონეთი-დიდი ბრიტანეთი 85:66, პოლონეთი-შვედეთი 73:57

პოლონეთის ნაკრების 12-კაციანი შემადგენლობა ასეთია:

მარცინ გორტატი, მაციე ლამპე, ლუკაშ კოჟარეკი, კუშტოფ ჟუბარგა, პრემისლავ ზამოისკი, მიხალ ჩილინსკი, მატეუშ პონიტკა, ტომას კელატი, ადამ ვაჟინსკი, მიხალ იგნერსკი, პრემისლავ კარნოვსკი, ადამ ხრიშანიუკი.

პოლონეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე პირველ მატჩს სწორედ საქართველოსთან 4 სექტემბერს გამართავს.

ულტიმატუმი პელეგრინის — ფული გინდა? ლიგა გვინდა...

ახლოვდება ჩემპიონთა ლიგის სტარტი და სულ უფრო აქტუალური ხდება კითხვა: შეძლებს თუ არა „მანჩესტერ სიტი“ ამ ტურნირზე წარმატების მიღწევას? მას შემდეგ, რაც კლუბში დიდი ინვესტიცია ჩაიდო და ფაქტობრივად „სიტი“ თავიდან ჩამოყალიბდა, კლუბმა ზედიზედ ორჯერ იასპარეზა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე.

შარშან და შარშანწინ მანჩესტერელები თავიანთი ჯგუფის და მთლიანად ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტებად შერაცხეს, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად, რობერტო მანჩინის გაწვრთნილი გუნდი ორივეჯერ მერვედფინალური ეტაპის მიღმა დარჩა და ჯგუფიდან ვერ გააღწია.

„მანჩესტერ სიტის“ მფლობელებმა ახალდანიშნულ მწვრთნელ, მანუელ პელეგრინის სეზონის მთავარ მიზნად ჩემპიონთა ლიგაზე წარმატებით თამაში და, შესაბამისად, ჯგუფიდან გასვლა დაუსახეს. ამასთანავე, შეიხმა განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში თუ მისი კლუბი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ ეტაპზე გავა, მანუელ პელეგრინი ზამთრის სატრანსფერო პერიოდში 60 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიიღებს კლუბის გასაძლიერებლად.

ცოტა არ იყოს გასაკვირია, რომ ამდენი დახარჯული ფულის შემდეგ, „სიტის“ მთავარი მიზანი ისევ ჯგუფიდან გასვლაა და არა მაგალითად ნახევარფინალში თამაში, მაგრამ ზედიზედ ორი წარუმატებელი სეზონის (ჩემპიონთა ლიგაში) შემდეგ, როგორც ჩანს, კლუბის მფლობელები მომავალ სეზონს სრული სერიოზულობით უდგებიან. ამ კლუბს თავისუფლად შეუძლია ორივე ფრონტზე (პრემიერლიგაშიც და ჩემპიონთა ლიგაშიც) მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლოს. შემადგენლობის გაძლიერებასთან ერთად, კლუბში მოვიდა ახალი მწვრთნელი, რომელმაც შარშან ჩემპიონთა ლიგაზე თავის ისტორიაში პირველად ათამაშა ესპანური „მალაგა“. გარდა ამისა ყველას კარგად ახსოვს, როგორ სანახაობრივ და ღამაზ ფეხბურთს თამაშობდა პელეგრინის გაწვრთნილი „ვილიარეალი“, რომელიც 2005-06 წლების სეზონში ყველასთვის მოულოდნელად ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავიდა.

„სიტიმ“ გასულ ორ სეზონში მოიგო პრემიერლიგა, ასოციაციის თასი და „ქომუნითი შილდი“. მიუხედავად ამისა, დღესდღეობით ევროპულ ფეხბურთში წარმატებულ კლუბებად და გრანდებად ის გუნდები მიიჩნევიან, რომლებიც ევროტურნირებზე წარმატებით ასპარეზობენ. ევროტურნირები კი „მანჩესტერ სიტის“ ერთ-ერთი ყველაზე ბნელი მხარეა.

წელს „სიტის“ ისტორიაში გარდამტეხი პერიოდია და ამას კლუბის ხელმძღვანელებიც კარგად ხვდებიან. ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ, უბრალოდ პრესტიჟის ამბავია, რომ კლუბმა, რომელშიც ამდენი მაღალანაზღაურებადი და მსოფლიო დონის ვარსკვლავი ირიცხება, ჩემპიონთა ლიგაში ღირსეულად იასპარეზოს.

სხვათა შორის, ინგლისელმა ჟურნალისტებმა პელეგრინის დანიშვნის ერთ-ერთი მთავარ მიზეზად სწორედ ის დაასახელეს, რომ შეიხებს ჩილელი სპეციალისტისთვის წლის მთავარ მიზნად ჩემპიონთა ლიგაზე წარმატებით გამოსვლა აქვთ დასახული. სწორედ ამას ემსახურება მათი ის მოწოდება, რომელიც ზემოთ უკვე აღვნიშნე. ჯგუფიდან გასვლის შემდეგ დამატებითი 60 მილიონი სწორედ იმის ნიშანია, რომ ამ ტურნირზე წელს „სიტი“ ბოლომდე იბრძოლებს და შეეცდება ისტორიაში პირველად ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ჯილდო მოიგოს.

მანჩესტერული კლუბის გარდა, მომავალ სეზონში საინტერესო იქნება „მიუნხენის ბაიერნის“, მადრიდის „რეალის“, ლონდონის „ჩელსისა“ და „ბარსელონას“ თამაშების ხილვა.

მოკლედ, წელს შარშანდელის მსგავსად საკმაოდ დაძაბული და სანახაობრივი სეზონის მომსწრენი უნდა გავხდეთ. ყველაზე დიდი ყურადღება კი აღბათ სტატიის მთავარ ადრესატზე, „მანჩესტერ სიტიზე“ იქნება გადატანილი. ვნახოთ, დაირღვევა თუ არა მანჩესტერელთა უსიამოვნო ტრადიცია და მოახერხებენ თუ არა ისინი ისტორიაში პირველად ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის დაძლევას.

კარლოს ტევესი: „იუვენტუსში“ ჩარიცხვის შემდეგ მთავარმა მწვრთნელმა უკვე 10 რჩევა მომცა

ტურინის „იუვენტუსის“ ახალი შენაძენი არგენტინელი ფორვარდი კარლოს ტევესია, რომელიც „ბებერმა ქალბატონმა“ მანჩესტერ სიტიდან“ გადაიბირა. უნდა ითქვას, რომ ტევესის დებიუტი ტურინულ გუნდში წარმატებული გამოდგა – „იუვემ“ მისი ერთადერთი გოლის წყალობით პირველ ტურში სტუმრად „სამპდორია“ დაამარცხა.

არგენტინელმა იტალიის სუპერთასზეც ლომის წილი დაიდო გუნდის გამარჯვებაში და პირველი იტალიური ჯილდოც მოიპოვა.

ტევესთან ინტერვიუ კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

– იტალიაში დიდი ხნის გადმოსული არ ხართ, მაგრამ შეგიძლიათ გვითხრათ, რით განსხვავდება იტალიური ფეხბურთი ინგლისურისგან?

– იტალიაში თამაში უფრო ძნელია, ვიდრე ალბიონზე. აქ მატჩის განმავლობაში მუდმივ ცვალებადობაში უნდა იყო, თორემ მოწინააღმდეგე მალევე „გაგშიფრავს“ და არაფერი გამოგივა. პირველი გაკვეთილი, რომელიც იტალიაში მივიღე, ის არის, რომ როდესაც ერთ მოწინააღმდეგეს მოატყუებ, უმჯობესია პასის გაკეთებაზე იფიქრო, თორემ მეორე მოწინააღმდეგე უკვე „ფეხზე გაზის“, ასე გაგრძელდება, სანამ ბურთს არ წაგართმევენ. ამის გარდა, იტალიაში ფორვარდი მინდორზე მუდმივად უნდა გადაადგილდეს. ძალიან მეხმარება ანტონიო კონტე, რომელიც მანევრირებას მასწავლის. „იუვენტუსში“ ჩარიცხვის შემდეგ მთავარმა მწვრთნელმა უკვე 10 რჩევა მომცა, რომლებიც ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა.

– ტურინელთა შემადგენლობაში სულ რამდენიმე მატჩი ჩაატარეთ, მაგრამ კონტე უკვე კმაყოფილებას არ მალავს თქვენი თამაშით. მწვრთნელმა ისიც თქვა, ტევესი ბევრს ვარჯიშობს, მატჩის დროს ბოლომდე იხარჯება და კარგი ადამიანიც არისო.

– ტურინში პირველივე ინტერვიუში განვაცხადე, რომ კონტე ისეთივე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დეტალებს, როგორც თავის დროზე ამას „მანჩესტერ იუნაიტედში“ სერ ალექს ფერგიუსონი აკეთებდა. კარგად მოვერგე „იუვენტუსის“ სათამაშო სქემასაც. ამჟამინდელ გუნდში თამაშისას ყურადღების ეპიცენტრში ვარ, ეს კი ჩემი სტიქიაა.

– დაახლოებით რამდენი გოლის გატანას აპირებთ მიმდინარე სეზონში?

– იმედია, უფრო შედგიანად ვითამაშებ, ვიდრე „მანჩესტერ სიტიში“. „იუვენტუსს“ წლეულს დიდი მიზნები აქვს დასახული. უმთავრესი ამოცანა ჩემპიონთა ლიგის მოგებაა. სადღეისოდ გუნდი ბოლომდე ვერ აჩვენებს თავის შესაძლებლობებს, თუმცა, სეზონის დასაწყისში ეს ბუნებრივიცაა. თანდათან კიდევ უფრო მოვუმატებთ.

– ფეხბურთისგან კვლავინდებურად სიამოვნებას იღებთ?

– ამჟამად ცხოვრებაში ისეთი პერიოდი დამიდგა, ბევრი რამის გადაფასებას ვახდენ და სიამოვნებას მხოლოდ ფეხბურთი არ მანიჭებს. ბედნიერი ვარ, რასაც სულიერი სიმშვიდე მოაქვს. ეს ფეხბურთის თამაშზეც სასიკეთო ზეგავლენას ახდენს.

– არგენტინაში ფეხბურთის თამაშს მუსიკოსობასაც უთავსებდით. ევროპაში გადმოსვლის შემდეგ ხომ არ დაივიწყეთ ჰობი?

– თავს მუსიკოსად არ ვთვლი. სიმღერაც არ მეხერხება, უბრალოდ, ჯგუფ „პიოლა ვაჯოში“ ვუკრავდი. კოლექტივი დაშლის პირას იყო მისული, როცა ბიჭებმა დახმარება მთხოვეს. ჯგუფის სახე გავხდი და მას არსებობა გავუხანგრძლივე. ინგლისურ გაზეთებში დაიწერა, კარლოს ტევესი სიმღერის ჩაწერას აპირებსო, რასაც სიმართლესთან იოტისოდენა კავშირიც კი არ ჰქონდა.

ჩემპიონთა ლიგა პლეი ოფიდან შეივსო

გაირკვა იმ გუნდების ვინაობა, რომლებიც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდნენ. ბევრ ფავორიტს ამისთვის მძიმე ბრძოლების გადატანა მოუწია.

„შალკემ“ დიდი ოფლისღვრით მოიპოვა ჯგუფური ეტაპის საგზური. გელზერკირხენული მატჩის შემდეგ, სადაც ფრე, 1:1 დაფიქსირდა, გერმანული პრესა „შალკედან“ მთავარი მწვრთნელის იენს კელერის აბარგების შესახებ ალაპარაკდა. ამაზე საუბარი კიდევ უფრო გამძაფრდა, როდესაც „შალკემ“ ბუნდესლიგაშიც წააგო შეხვედრა.

თუმცა „ხუმარებმა“ ძალები მოიკრიბეს და იმდენი მოახერხეს, რომ საბერძნეთში პაოკს 3:2 სძლიეს და ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზურიც მოიპოვეს, თუმცა ადვილად ნამდვილად არა!

ადამ ზალაიმ დუბლი შეასრულა, ერთი გოლი კი იულიან დრაქსლერის ანგარიშზეა, თუმცა სწორედ ამ უკანასკნელის გოლი აღმოჩნდა გადამწყვეტი.

თანაც, რაც ყველაზე საინტერესოა, დრაქსლერის გოლამდე ორი წუთით ადრე, მოედნიდან კერმეინ ჯონსი მიაბრძანეს და წესითა და რიგით, სწორედ სტუმარი გუნდი უნდა მოშლილიყო, მაგრამ მოვლენები პირიქით განვითარდა.

ამას კაცურანისისა და ატანაისიდისის გოლებიც მოჰყვა, მაგრამ ელინებს ვერ უშველა.

პირველი თამაშის შინ სენსაციურად წაგების (0:2) შემდეგ, ზაგრების „დინამოს“ ახლაც უდიდესი უპირატესობა ჰქონდა, მოუგო კიდეც „აუსტრიას“, თუმცა არა იმ ანგარიშით, რომელიც მათ ჯგუფური ეტაპის საგზურს მოუტანდა. არადა, ზაგრებელი 3:1 უგებდნენ მეტოქეს, რაც აწყობდათ, მაგრამ ბოლოს გოლი მიიღეს და ევროპის ლიგაზე გადაერთვნენ.

„არსენალმა“ ისევ იოლად მოიგო, მაგრამ ორი მატჩის ჯამში სულაც რომ წაეგო „ფენერბახჩეს“, როგორც შემდეგ გაირკვა, ჩემპიონთა ლიგაზე მაინც ითამაშებდა – თურქული კლუბი უეფამ 2 წლით მოკვეთა ევროტურნირებიდან.

საინტერესო გამოდგა „ლეგიასა“ და „სტიაუას“ ჯახი. ორივე მატჩი ფრედ დასრულდა – 1:1 და 2:2, მაგრამ მეტოქის მოედანზე გატანილი მეტი გოლის წყალობით ჩემპიონთა ლიგაზე რუმინული კლუბი ითამაშებს. ჰო, პოლონური კლუბის შემადგენლობაში არ უთამაშია ვლადიმერ დვალიშვილს. იმედია, მწვრთნელი იან ურბანი ევროპის ლიგაზე მაინც მიცემს თავის გამოჩენის საშუალებას.

– მართალია, ზოგიერთ რიტუალს ისტორიული ფესვები გააჩნია, მაგრამ ეს სტადიონზე არ უნდა ხდებოდეს. მსხვერპლშეწირვა სტადიონზე ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე, უეფას მიერ დადგენილ დღეებში, თამაშის წინა დღეებში, თამაშის დღეს, ან მატჩიდან მეორე დღეს კატეგორიულად აკრძალულია, – ასე გააფრთხილა უეფამ ყარაგანდის „შახტიორი“.

შეგახსენებთ, რომ „შახტიორის“ წარმომადგენლებმა გლაზგოს „სელტიკთან“ ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფის მატჩის წინა დღეს სტადიონზე ცხვარი დაკლეს და წინა კვირის მთავარი სენსაციის ავტორი შეიქნენ. ყარაგანდელები გლაზგოში „სელტიკთან“ 2 ბურთიანი ჰანდიკაპით ჩავიდა, თუმცა თავიდანვე ნათელი იყო, რომ უმძიმესი, კოშმარული 90 წუთის ჩატარება მოუწევდათ და ეს ასეც მოხდა. ბრიტანელები თავიდანვე შეუდგნენ შეტევით ორგანიზაციებს, თუმცა სტუმართა მეკარე მოკინი სასწაულებს სჩადიოდა და მინიმუმ 3 „მკვდარი“ ბურთის მოგერიება მაინც მოახერხა.

თუმცა ტაიმის ბოლოს მანაც ვერ გადაარჩინა გუნდი, როდესაც გეორგიუს სამარასმა მშვენივრად დაუტოვა ბურთი კომონსს და ამ უკანასკნელმაც შორი მანძილიდან აუღებლად გაისროლა.

მეორე ტაიმის დასაწყისიც გლაზგოელთათვის სასარგებლო აღმოჩნდა: ახლა უკვე პირველი გოლის საგოლე პასის ავტორმა სამარასმა გაიტანა თავად გოლი.

მასპინძლებს ჯგუფური ეტაპის საგზურის მოსაპოვებლად ერთი გოლიღა ეკლდათ, რაც გაიტანეს კიდეც, თუმცა ეს მატჩის ბოლო წუთებში იყო და მანამდე „შახტიორმა“ მცირე შტურმიც კი მოუწყო: ჯერ იყო და, ფორსტერს მოუწია თამაშში ჩართვა, მერე კი მცველმა გამოიტანა კარის ხაზიდან ბურთი.

მატჩის ბოლო წუთებში კი სტოუკსი ბრწყინვალედ შეძვრა საჯარიმოში, გამოზომილი გადაცემა გაუკეთა ფორესტს და მასაც გატანა აღარ გასჭირვებია.

„მილანმა“ მოიგო და ისიც ჯგუფურ ეტაპზეა. პირველ მატჩის სცენარს ძალიან ჰგავდა ეს შეხვედრა: „მილანმა“ სწრაფი გოლი გაიტანა ბოატენგის შორეული დარტყმის შემდეგ და მერე პსვ გადავიდა მწვავე შეტევებზე, თუმცა კრისტიან აბიატი ირჯებოდა ბრწყინვალედ.

საერთოდაც, იტალიელი ვეტერანი და გამოცდილი კიპერი მთელი შეხვედრა შესანიშნავად იდგა და საბოლოო ჯამში, 8 სეივიც დაუგროვდა!

მეორე ტაიმის დასაწყისში მარიო ბალოტელიმაც გამოიჩინა თავი, ზუსტად 20 წუთში კი ბოატენგმა დუბლი შეასრულა და პსვ ნამდვილად დაიჩაგრა.

უხვგოლიანი მატჩი სანკტ-პეტერბურგში შედგა, სადაც ისედაც ჯგუფში მოხვედრილმა „ზენიტმა“ „ფერეირას“ უმასპინძლა და მეორედაც მოუგო – 4:2.

რეალ „სოსიედადმა“ კი მორიგი გაკვეთილი ჩაუტარა „ლიონს“ – ისევე, როგორც საფრანგეთში, შინაც საკმაოდ ადვილად გაუსწორდნენ მეტოქეს და თანაც, აქაც 2:0 დაამარცხეს ფრანგები.

ასევე მეორე მატჩიც მოიგო ჩეხურმა „პლზენმა“, რომლის მსხვერპლი სლოვენიური „მარიბორი“ აღმოჩნდა.

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის კენჭისყრა ხვალ გაიმართება და მის შედეგებს აუცილებლად გაგაცნობთ.

შედეგები

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

ზენიტი-ფერეირა 4:2
მილანი-პსვ 3:0
მარიბორი-პლზენი 0:1
სელტიკი-შახტიორი(ყ) 3:0
სოსიედადი-ლიონი 2:0

ესპანეთი. სუპერთასი

ბარსელონა-ატლეტიკო 0:0

ფინეთი. ვეიკკოსლიგა

ტპს-მიუპა 1:2

ჩოგბურთი

ამერიკის ღია ჩემპიონატი

კაცები

ჰანესკუ-მაიერი 6:7;4:6;6:3;6:7
გრანოლერსი-ცოპი 6:1;3:6;1:6;6:3;6:4
მელცერი-დონსკოი 5:7;3:6;6:7
სისლინგი-ჰოვჩიკი 6:7;6:2;4:6;1:6
ჰიუიტი-ბეიკერი 6:3;4:6;6:3;6:4
ვავრინკა-შტეპანეკი 7:6;6:3;6:2
პერი-ბოგომოლოვი 5:7;6:2;4:6;7:5;6:7
ბლეიკი-კარლოვიჩი 7:6;6:3;4:6;6:7;6:7
ფონინი-რამი 1:6;2:6;2:6
მიურეი-ლოდრა 6:2;6:4;6:3

ქალები

რობსონი-გარსია 6:4;7:6
ჰემპტონი-მლადენოვიჩი 7:5;6:4
სტივენსი-რადვანსკა უ. 6:1;6:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

2013, 30 აგვისტო, №205

ქართველი და თურქი სპეციალისტების თანამშრომლობა ახალ ფაზაში შედის

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მონასტრო კომპლექსის საპროექტო ჯგუფის ავტორებს, კომპანია ამფორა მიმარლიკის არქიტექტორ-რესტავრატორებს.

როგორც კულტურის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე ითქვა, ამ დროისთვის ტაძრის დასავლეთ მკლავზე გადაყვანილია საბჯენი თაღები, ცილინდრული კამარა და მოწყობილია გადახურვის კონსტრუქცია.

ქართველმა სპეციალისტებმა უკანასკნელ თვეებში ძეგლზე განხორციელებულ სამუშაოებზე თურქულ მხარეს საკუთარი რეკომენდაციები გააცნეს და ერთობლივად იმსჯელეს ტაძრის აღმოსავლეთ მკლავის გადახურვის კონსტრუქციული მოწყობის დაგეგმილ და საკმაოდ რთულ ეტაპზე.

როგორც მერაბ ბოჭოიძემ აღნიშნა, ქართველ სპეციალისტთა მეოთხე ოფიციალური ვიზიტი ისტორიულ ტაო-კლარჯეთში წარმატებით დასრულდა. ვიზიტს წინ უძღოდა ხანგრძლივი მოსამზადებელი სამუშაოები – შედგა ორი ქვეყნის, თურქეთისა და საქართველოს კულტურის მინისტრების სატელეფონო საუბარი, კულტურის მინისტრების მოადგილეების შეხვედრა, ასევე სპეციალისტთა არაერთი სამუშაო შეხვედრა ძეგლებზე რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.

დელეგაცია თბილისიდან საგანგებოდ თურქ კოლეგებთან შესახვედრად გაემგზავრა, რომლებიც იშხნის სარეაბილიტაციო პროექტის ავტორები არიან და იშხანში სტამბოლიდან ჩავიდნენ. კოლეგებმა ერთად განიხილეს პროექტის შემდგომი ეტაპის განხორციელებისთვის საჭირო საუკეთესო ტექნიკურ-კონსტრუქციული ვარიანტები.

ქართულ დელეგაციას, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ ნიკო ზაზუნიშვილი და ზურაბ ჯიბლაძე, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი მერაბ ბოჭოიძე ხელმძღვანელობდა.

საანგარიშო პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ იშხნის ძირითადი კონსტრუქციის აღდგენა-რეაბილიტაცია წლის ბოლომდე დასრულდება

– ერთადერთი, რაც პრობლემად რჩება, ტაძარზე განხორციელებული ქვის ფილა და მოპირკეთებაა, რაც ქართულისაგან განსხვავდება. სხვა მხრივ, ტაძრის აღდგენა ნორმალურად მიმდინარეობს. ტაძრის მშენებლობაში გამოყენებული მასალა ხარისხიანია, – განაცხადა მერაბ ბოჭოიძემ.

პრესკონფერენციაზე კულტურის მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ ყველაფერი ნორმალურად მიმდინარეობს. შემაჯამებელ შეხვედრაში მონაწილეებმა კმაყოფილება გამოხატეს გაწეული სამუშაოების გამო და აღნიშნეს, რომ თურქული მხარე მზად არის რეკომენდაციები მიიღოს და გაითვალისწინოს.

– ამჯერად ქართველი სპეციალისტები ადგილზე იშხნის სამონასტრო კომპლექსის საპროექტო ჯგუფის ავტორებს კომპანია „ამფორა მიმარლიკიკ არქიტექტორ-რესტავრატორებს შეხვდნენ, რათა ძეგლის აღდგენასთან დაკავშირებით არსებული სირთულეები ერთობლივად გადაწყდეს. თურქი სპეციალისტები იცავენ ძეგლის აღდგენა-რეკონსტრუქციის მეთოდოლოგიას, – განაცხადა მარინე მიზანდარმა.

ტაო-კლარჯეთის ძეგლების მკვლევარი ირინა გივიაშვილი: – ძეგლის აღდგენასთან დაკავშირებით თანამშრომლობა ორ მხარეს შორის სამუშაო რეჟიმშია გადასული. თურქული მხარე თანახმაა, იშხნის აღსადგენად ნახაზების შექმნაში ქართველმა სპეციალისტებმა მონაწილეობა მიიღონ. თურქეთის მხარის ერთი მნიშვნელოვანი მესიჯი ის არის, რომ თურქეთის მხარე მომხრეა იშხნის პროექტზე მუშაობა თურქი და ქართველი სპეციალისტების მიერ ერთობლივად მოხდეს.

პრესკონფერენციაზე ისიც ითქვა, რომ ოშკის რეაბილიტაცია დროებით გადაიდო. იშხნის რეაბილიტაციის მაგალითზე თურქეთის მხარე ოშკთან დაკავშირებით აღარ ჩქარობს და ცდილობს, უფრო დეტალურად გაერკვეს რეაბილიტაციის პროექტში.

„პუნქტუმ კონტრა პუნქტუმ 2“ ეროვნულ გალერეაში გაიხსნება

ეკა ირემაშვილი

პირველ სექტემბერს საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში ვიზუალური ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „პუნქტუმ კონტრა პუნქტუმ 2“ გაიხსნება. გამოფენის ორგანიზატორები არიან საქართველოს კულტურისა და ძეგლის დაცვის სამინისტრო, ეროვნული მუზეუმი და არტ კონტაქტ თბილისი, ასევე კომპანია „ბილაინი“, ავსტრიის ბიბლიოთეკა და ამერიკის საელჩო საქართველოში. პროექტი თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით ხორციელდება.

როგორც ფესტივალის ორგანიზატორები აცხადებენ, პროექტი იმ წინააღმდეგობრივი კონტექსტების რეპრეზენტაციას გულისხმობს, რომელსაც დასავლეთევროპელი, ამერიკელი, ლათინოამერიკელი თუ ქართველი არტისტები სთავაზობენ მაყურებელს, თანაც განსხვავებული მედიატექნოლოგიებით, იქნება ეს ფერწერა, ქანდაკება, ფოტოგრაფია, შუქით მხატვრობა, ვიდეო არტი, ფოტო კოლაჟი თუ მულტიმედია.

გამოფენის გარდა, გათვალისწინებულია ტურები, მოგზაურობა საქართველოს რამდენიმე რეგიონში, ისტორიული და არქიტექტურული ძეგლების დათვალიერება, ვორკშოპები, შეხვედრები, ვიზიტები მხატვართა ატელიეებში.

წელს ფესტივალში მონაწილეობენ ხელოვანები სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის საქართველოდან, ფილიპინებიდან, ავსტრიიდან, შვეიცარიიდან, იტალიიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, პერუდან, კუბიდან და ვენესუელიდან.

წლევანდელ ღონისძიებებში ჩაერთვებიან ეველინ ჟუენი (ავსტრია); მარკო ნიკოლას ჰაინცენი (შვეიცარია); მიხაელ ვინსენტ მანალო (ფილიპინები); ემილიო მერლინა (იტალია); ედუარდ მორტეკი (საფრანგეთი); ანდრეას ოეტკერ-კასტი (გერმანია); გეგა პაქაშვილი (საქართველო); მაკა რაზმაძე (საქართველო); მიხაელ სენტ ამანდი (ამერიკის შეერთებული შტატები); ილიკო ზაუტაშვილი (საქართველო); გრიმანესა ამმოროსი (პერუ); ნიკოლოზ ბერდიშევი (საქართველო); პატრიცია ფრიდა (ავსტრია); ანტონიო გუარერო (კუბა); ჰოლის ჯეფკოატი (ამერიკის შეერთებული შტატები); რაინერ ლაგემანი (გერმანია); სტეფან კნაპი (ამერიკის შეერთებული შტატები); მარია ფერნანდა ლაირეტი (ვენესუელა); გურამ წიბახაშვილი (საქართველო); სტივ ტობინი (ამერიკის შეერთებული შტატები).

ამ ფესტივალის მასპინძლობამდე ეროვნულმა მუზეუმმა შემოქმედებითი იუდაიკის გაერთიანება „სამბატიონთან“, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, კულტურის კვლევისა და კოორდინირების ცენტრთან ერთად წარმოადგინა ფესტივალი „ახალი რენესანსი“.

როგორც ეროვნულ მუზეუმში განმარტეს, შემოქმედებითი აკადემიური ბანაკი „სამბატიონი“, რომლის ეგიდითაც ჩატარდა აღნიშნული ფესტივალი, ქართული და ებრაული კულტურის ირგვლივ აერთიანებს სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის ისრაელის, საქართველოს, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთის, უკრაინისა და სხვა ქვეყნების მხატვრებს, კინემატოგრაფისტებს, მუსიკოსებს, მეცნიერებს, სტუდენტებსა და მოსწავლეებს.

– საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა გადაწყვიტა, პროექტის ყველა მონაწილესთვის ემასპინძლა და საშუალება მიეცა, გასცნობოდა ამ ორი ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობას, ამასთანავე, აღნიშნული ფესტივალის ფარგლებში დაიგეგმა ორი ქვეყნის კულტურაზე ლექციის წაკითხვა საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის გამოფენების კურატორის ქალბატონი ლელა წიწუაშვილის მიერ, – განაცხადეს ეროვნულ მუზეუმში.

ღონისძიება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა და მასზე დასწრება ყველა მსურველს შეეძლო.

ბათუმში ისტორიები ქუჩაში გააცოცხლეს

დასაწყისი მე-7 გვერდზე

ეზოს ამბების ერთ-ერთ ნამუშევრად აქცია. მისი თქმით:

– მას შემდეგ, რაც ეს ეზო ვნახე, მომივიდა იდეა, რომ გამეკეთებინა ერთი ნამუშევარი. ეს არის ჩამონგრეული შენობა, ანუ ჩემი თეორიით ეს არის სახელმწიფო და ეს წიგნები ბოძია, განათლება, რომელიც ბიჯგად უდგას და აკავებს ჩამონგრევისგან.

ხულოს რვა ნომრის ეზოს გასასვლელი ქუჩა იმ დღეს გაზეთმა „ბათუმელებმა“ აავსო ამბებით. გაზეთის სამწლიანი რუბრიკა „ძველი ბათუმი“, „ბათუმელების“ ფურცლებიდან ქუჩაში გამოვიდა ახალი მკითხველის საპოვნელად.

– „ბათუმელები“ არის ამ პროექტის პარტნიორი, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ჩვენ გვევალებოდა ხულოს ქუჩის გამრავალფეროვნება. ძველი ბათუმის ისტორიები, რომელიც სამი წელია იბეჭდება გაზეთ „ბათუმელებში“ ნანა კვაჭაძისა და შოთა გუჯაბიძის ავტორობით, ამოვბეჭდეთ და გამოვფინეთ. ასევე ხუთი გამომცემლობის წიგნები გამოვიტანეთ განსაკუთრებული ფასდაკლებით. ასევე სუპერმარკეტ „სმარტის“, მეღვინეობა „ხარებას“ და ბათუმის ლუდის ქარხანა მოვიწვიეთ იმისათვის, რომ ცოტა უფროსახალისო ყოფილიყო დღევანდელი დღე მათი საშუალებით, – აღნიშნა გაზეთ „ბათუმელების“ მენეჯერმა მზია ამაღლობელმა.

ფესტივალის პროგრამაში მოხვდა საჯარო ხელოვნების კიდევ ერთი ნიმუში – სურვილების ოთახი.

– ეს სურვილების ოთახია. მიუხედავად იმ ყველაფრისა, რაც ირგვლივაა, ეს არის ადგილი, სადაც მაინც სრულდება სურვილები, – განმარტა ნამუშევრის ავტორმა გოჩა ჟღენტმა.

„ბათუმის ეზოს ამბების“ მსვლელობისას დაინტერესებული საზოგადოება შედიოდა პატარა, ღურსმნებით შემოჭედილ ყუთში, იღებდა კალამს და თავის სურვილებს ყუთშივე დამონტაჟებულ საფოსტო ყუთში აგდებდა სურვილების შესრულების იმედით.

ღონისძიების ფარგლებში ხულოს ქუჩაზე მდებარე ძველი აბანო სამი დღით საგამოფენო სივრცედ იქცა. რვა არტისტმა თავიანთი სხვადასხვა ნამუშევრი წარმოადგინა. მათ შორის იყო „ცრურწმენების მუზეუმი“ ანუ მოჩვენება მუზეუმი. აბანო, სხეულის განწმენდის, უარყოფითი ენერგიის მოშორების სარიტუალო სივრცე ცრურწმენებისა და ძველი ხალხური ნიშნების გახსენებისა და გააზრების აჩრდილ მუზეუმად, ერთგვარ არქივად ტრანსფორმირდა.

– ამ ისტორიებსა და ცრურწმენებს ათი დღე ვაგროვებდით ადგილობრივ მოსახლეობაში. ეს არის მუზეუმი აჩრდილი, რომელიც ბათუმის ეზოს ისტორიების ფარგლებში გავაკეთეთ ძველი აბანოს სივრცეში. მოგეხსენებათ, აბანოში ჯინები და ავსულები ცხოვრობენ. მით უმეტეს მიტოვებულ აბანოებში, – განაცხადა „ცრურწმენების მუზეუმის“ ერთ-ერთმა ავტორმა მარიამ ნატროშვილმა.

ყოველწლიური ფესტივალი „ბათუმის ეზოს ამბები“ დასრულდა. მისი ორგანიზატორი კომპანია „მიკრო-ფონი“ მომავალ წელს დაინტერესებულ საზოგადოებას კიდევ არაერთ საინტერესო საღამოს ჰპირდება.

ფუძნარის ტაძარს სარეაბილიტაციო სამუშაოები უტარდება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რის ღვთისმშობლის ეკლესია ძლიერ დაზიანებულია: ჩამოშლილია გუმბათის ყელისა და კამარების მნიშვნელოვანი ნაწილი, კედლების ზემოთა ნაწილები და ლავგარდანი, ფასადების საპირე წყობის დიდი ნაწილი აკლია. ჯვრის აღმოსავლეთის მკლავი დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რომლის წინ ბემაა. აფსიდი და ბემა ერთმანეთთანაა შერწყმული. მათ საზღვრებზე შეკიდულ პილასტრებზე დაყრდნობილი ვიწრო საბჯენი თაღია. აფსიდის ღერძზე ფართო თაღოვანი სარკმელია, ხოლო ჩრდილო ნახევარში, მაღლა – დიდი და საკმაოდ ღრმა ნიში. საკურთხეველი დარბაზის იატაკის მიმართ რამდენადმე შემაღლებულია. ადრე იგი გამოყოფილი იყო შირიმის მოზრდილი კვადრებით ნაწყობი კანდელით. ამჟამად შემორჩენილია მისი მარჯვენა კიდის მცირე ნაწილი. ჯვრის დანარჩენი მკლავები სწორკუთხაა, თითოეულ მკლავში თითო თაღოვანი შესასვლელია გაჭრილი. საკურთხევლის გვერდებზე სწორკუთხა სამკვეთლო და სადიაკვნეა. ორივე მათგანს შესასვლელი დასავლეთიდან აქვს. სამკვეთლოს და სადიაკვნის კედლები ნაწყობია ნატეხი ქვებით, კამარა კი ეკლესიის კონქისა და მკლავების კამარებისაგან განსხვავებით, შირიმისაა. ეკლესიის შუაში, საკურთხევლის შვერილებსა და დასავლეთით თავისუფლად მდგომ ორ ბურჯზე აღმართული გუმბათი ორსაფეხურიან, ოდნავ შეისრულ საბჯენ თაღებს ეყრდნობა. გუმბათის ყელში თორმეტი სარკმელია. ეკლესია შიგნით შელესილია. ეკლესიის ფასადებზე კარ-სარკმელების ღიობები, დეკორატიული ელემენტები, ლავგარდანი, გუმბათის ყელი და გუმბათქვეშა კვადრატი გამოყვანილია შირიმით. მოგვიანებით, XV საუკუნეში, ეკლესია შეუკეთებიათ და მორთულობის აღდგენილი ნაწილები, არსებულ პროფილთან მისადაგებით, განსხვავებული მასალით შეუსიათ. აღმოსავლეთის ფასადის შუა სარკმლის ქვემოთა ნაწილის მოპირკეთება, დასავლეთის ფასადზე დეკორატიული ჯვრის მოჩუქურთმებული ძირი და მისი ქვემოთ წყობაში ჩასმული სამი სწორკუთხოვანი ფილა მოჩუქურთმებული ჩარჩოთი და ასომთავრული წარწერით გვიანდელი შეკეთების შედეგია. შენობას აგვირგვინებს გუმბათის მაღალი ყელი, რომელიც ოდესღაც დასრულებული იყო კარვისებრი სახურავით. გუმბათის ყელში გაჭრილი იყო პროფილირებული საპირეებში ჩასმული თორმეტი სარკმელი. გუმბათს გარს ევლება ნახევარსვეტებზე დაყრდნობილი თაღედის უწყვეტი რიგი, – ამბობენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში.

ფუძნარის ღვთისმშობლის ეკლესია წილკნისა და დუშეთის ეპარქიის დაქვემდებარებაშია, ამჟამად იგი მოქმედი არ არის.

ჯოსვოხდი ბ

შვეულად: 1. აზოვის ზღვის ძველი სახელწოდება; 2. უმაღლესი კატეგორიის დიპლომატი; 3. ფრანგული სამხედრო ვერტმფრენმზიდი გემი; 4. მეფის მრჩეველი; 5. იტალიელი კინოკომიკოსი; 8. კომერციული საქმიანობა; 9. ჯემისგულიანი კამფეტი; 12. დრამატული სიუჟეტის მუსიკალური ნაწარმოები გუნდისა და ორკესტრისათვის; 13. თხელი, დაბეგვილი ხორცის ნაჭრის კატლეტი; 16. სახელმწიფოების, პარტიების კავშირი; 17. ქართული ტელეკომპანია; 19. ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში ბურთით; 20. სომხური ცეკვა.

თარაზულად: 6. კუთხე საქართველოში; 7. წრის ნაწილი, რომელიც შემოსაზღვრულია რკალითა და ორი რადიუსით; 8. აკრობატული ხტომებისთვის განკუთვნილი სპორტული იარაღი; 10. სრული ბრუნი ბალეტში, ცეკვაში; 11. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 14. მონასტერი ქარელის რაიონში; 15. ქართული სპორტული ტელეჟურნალისტი ქალი; 18. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 21. რიჰარდ შტრაუსის ოპერა; 22. ლოყა ანუ...; 23. ესპანელი აზნაური; 24. მანძილის საზომი ერთეული ზღვაოსნობაში.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა



წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. დეკადანსი; 2. ბოსფორი; 3. ბილბაო; 4. სალდო; 5. ენესკუ; 11. ლეკალო; 12. ლაგაზი; 14. დალი; 17. ემბარგო; 19. რემისია; 21. ბამბა; 22. დიოდი.

თარაზულად: 6. სელადონი; 7. კრახუნა; 8. დაისი; 9. ადაჟიო; 10. ალილო; 13. ასადი; 15. ტრაფალგარი; 18. კობზარი; 20. მესი; 21. ბაგები; 23. კომპრომისი; 24. გალები.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. მარსელა; 2. მექსიკა; 3. ცილინდრი; 4. პუდელი; 5. ფერხული; 8. ბიბლისი; 9. სახარება; 12. ბერნარდი; 13. ხილნარი; 16. გაგრიფში; 17. გუდვილი; 19. აღლუმი; 20. მექისე.

თარაზულად: 6. ჯარაექიმი; 7. კუპდარი; 8. ბრიუგე; 10. კაოლინი; 11. წუღა; 14. კვიპროსი; 15. ქრისტინე; 18. ხაიამი; 21. ღერღედი; 22. მენჯი; 23. ისრიმი; 24. ტიტესტერი.

ბარაქ ობამა – კონფლიქტში სამხედრო ჩარევა სირიაში მიმდინარე ომზე პოზიტიურ გავლენას იქონიებს

აშშ-ის პრეზიდენტი ბარაქ ობამა მიიჩნევს, რომ სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენებამ ზიანი მიაყენა აშშ-ის ეროვნულ ინტერესებს და კონფლიქტში სამხედრო ჩარევა სირიაში მიმდინარე ომზე პოზიტიურ გავლენას იქონიებს.

თუმცა, ტელეკომპანია „პიბიესისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ობამამ განაცხადა, რომ ჯერ არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება, დაიწყებს თუ არა აშშ სირიაში სამხედრო ინტერვენციას.

„ჩვენ კონსულტაციები გვაქვს მოკავშირეებთან, რათა მივაღწიოთ საერთაშორისო შედეგებს. გამოითქვა მოსაზრება, რომ ქიმიური იარაღი შესაძლოა მიმართულ იქნას აშშ-ზეც და გვინდა დავრწმუნდეთ, რომ ეს არ მოხდება“, – განაცხადა ბარაქ ობამამ აშშ-ს საზოგადოებრივ არხთან საუბრისას.

აშშ-ის პრეზიდენტის კომენტარი გაეროსს გენერალური მდივნის ბან კი მუნის განცხადებას მოჰყვა, რომელმაც განაცხადა, რომ „მშვიდობას შანსი უნდა მიეცეს და კონფლიქტი დიპლომატიური მოლაპარაკებების გზით მოგვარდეს“.

თუმცა, დიდი ბრიტანეთი მოითხოვს, რომ გაეროს უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღოს რეზოლუცია, რომელიც მიმართული იქნება სირიის მშვიდობიანი მოქალაქეების დასაცავად, რაც გარკვეულწილად სირიაში სამხედრო ინტერვენციას გულისხმობს.

სირიის კონფლიქტში საერთაშორისო ჩარევას ეწინააღმდეგება ბაშარ ალ-ასადის მოკავშირე რუსეთი და ყველანაირად ბლოკავს გაერო-ს უშიშროების საბჭოს ერთიანი გადაწყვეტილებას მიღებას.

აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის გარდა, სირიაში სამხედრო ინტერვენციას მხრს უჭერს საფრანგეთიც.

21 აგვისტოს დამასკოში განხორციელებული თავდასხმის შედეგად 300-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. გავრცელებული ინფორმაციით, სირიის შეიარაღებულმა ძალებმა მოსახლეობის წინააღმდეგ ქიმიური იარაღი გამოიყენეს.

ამ ფონზე, ამერიკული მედიის ცნობით, ახლო აღმოსავლეთში შექმნილია მძლავრი სამხედრო დაჯგუფება, რომელიც მძლავრ სარაკეტო დარტყმას მიაყენებს სირიის სამხედრო ინფრასტრუქტურას.

აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვაში 4 ამერიკული ხომალდია, რომელიც რაკეტა „ტომაჰავკებითაა“ შეიარაღებული. აქვეა ბრიტანული საფლაგმანო ხომალდი და წყალქვეშა ნავი „ტრაფალგარი“, რომლებიც იმავე ტიპის რაკეტებითაა შეიარაღებული.

უახლოეს ხანებში მათ ამერიკული ავიამზიდი „ნიმითსი“ შეუერთდება, რომლის გემბანზეც 90 თვითმფრინავი და ვერტმფრენია განლაგებული. ამ კლასის ავიამზიდები უდიდესია მსოფლიოში.

დიდმა ბრიტანეთმა განაცხადა, რომ მას სრული უფლება აქვს სირიის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაცია განახორციელოს, მიუხედავად იმისა, დაუჭერს თუ არა მხარს ამ აქციას გაერო.

დილით, ბრიტანეთის პრემიერის ოფისის განცხადებით, ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურები, საჭიროების შემთხვევაში, მზად არიან გამოავქვეყნონ სამხედრო დაზვერვის მონაცემები, რომლის თანახმადაც დასტურდება, რომ სწორედ ასადის რეჟიმმა გამოიყენა ქიმიური იარაღი მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ.

„საერთაშორისო თანამეგობრობას ეკისრება პასუხისმგებლობა, რათა იმოქმედოს სირიაში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ გაეროში ვერ იქნება მიღწეული შეთანხმება“, – განაცხადა ჰეიგმა. მისივე თქმით, როგორც მოსალოდნელია, რუსეთი და ჩინეთი რეზოლუციის პროექტს ვეტოს დაადებენ.

გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების შეხვედრაზე, სადაც დიდი ბრიტანეთის მიერ მომზადებული რეზოლუციის პროექტის შეთანხმება მიმდინარეობდა, აშშ-ის მუდმივმა წარმომადგენელმა სამანტა პუაერმა უშიშროების საბჭოს „დაუყონებლივი მოქმედებისკენ“ მოუწოდა.

საფრანგეთის სამხედრო მეთაურთა გადაწყვეტილებით, ფრანგული ფრეგატი „შევალიე პოლი“ ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთ ნაწილისკენ მიემართება. ამის შესახებ ერთ-ერთი ფრანგული გამოცემა იუწყება. გავრცელებული ინფორმაციით, სამხედრო გემმა უკვე დატოვა ქალაქ ტულონის პორტი და სირიის საზღვრებთან ახლოს მყოფ ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის ხომალდებსა და წყალქვეშა ნავებს შეუერთდება.

„შევალიე პოლი“ საფრანგეთის საზღვაო ფლოტის სარაკეტო ფრეგატია, რომელიც, გამოცემის ინფორმაციით, საფრანგეთის საზღვაო ფლოტის ყველაზე თანამედროვე სამხედრო გემია.

საფრანგეთი, აშშ-სთან და დიდ ბრიტანეთთან ერთად, მხარს უჭერს სირიაში სამხედრო ინტერვენციას.

ავსტრიამ ნატო-ს საბრძოლო ვერტმფრენებისათვის საჰაერო სივრცის დათმობაზე უარი უთხრა.

ამის შესახებ ავსტრიული მედია იუწყება.

,,ალიანსის ოფიციალურ თხოვნებს ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უარით უპასუხა, რადგან გაეროს მანდატის არარსებობის პირობებში, ეს გადაწყვეტილება კანონმდებლობას ეწინააღმდეგება“, - წერს გამოცემა.

ავსტრიის საგარეო უწყებაში აცხადებენ, რომ ქვეყანა სირიის კონფლიქტში ნეიტრალური პოზიციის დაკავებას გააგრძელებს.

უწყებაში აცხადებენ, რომ ნატო-ს თხოვნაზე უარის თქმის გადაწყვეტილება პრეზიდენტმა, კანცლერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ერთობლივად მიიღეს.

მანამდე ავსტრიის ხელისუფლებამ დასავლეთის ქვეყნებს არაერთხელ მოუწოდა, რომ თავი შეეკავებინათ გაეროს მანდატის ფარგლებს გარეთ მოქმედებისგან.

სირიის პრეზიდენტი ბაშარ ალ-ასადი აცხადებს, რომ აშშ-სთან ნებისმიერ კონფრონტაციაში გამარჯვებას მოიპოვებენ. ამის შესახებ ერთ-ერთი ლიბანური ვებგვერდი წერს, რომელიც სირიის პრეზიდენტის სირიის მაღალჩინოსნებისადმი მიმართვას ავრცელებს.

„კრიზისის დაწყებიდან, ჩვენ ველოდით, როდის გამოავლენდა ჩვენი ნამდვილი მტერი თავს. ვიცი, რომ თქვენ მზად ხართ, ნებისმიერი შეტევისა და სამშობლოს დაცვისთვის. ეს ისტორიული დაპირისპირებაა, რომელშიც ჩვენ გამარჯვებას მოვიპოვებთ“, – განაცხადა სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ალ-ასადმა.

„რია ნოვოსტის“ ცნობით, სირიის არმიის ჯარისკაცები მზად არიან მოიგერიონ საერთაშორისო სამხედრო ძალების თავდასხმა. ისინი ინტენსიურად ემზადებიან დასავლეთის შესაძლო ინტერვენციისათვის.

ქვეყნის შეიარაღებული ძალები, სირიის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, საკმაოდ მობილიზებული და ბრძოლისუნარიანები არიან და მზად არიან მოვლენათა ნებისმიერი განვითარებისათვის. ჯარისკაცების განცხადებით, ისინი თავგანწირვისა და „კამიკაძეობისთვისაც“ კი მზად არიან.

რუსეთისა და ჩინეთის წარმომადგენლებმა კი გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი ხუთეულის შეხვედრა დატოვეს, რომელზეც დამასკოს წინააღმდეგ ძალის გამოყენების რეზოლუციის პროექტი უნდა შეთანხმებულიყო. ამის შესახებ ინფორმაციას რუსული სააგენტო იტარ-ტასი ავრცელებს.

რუსეთის წარმომადგენელს გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების ხუთეულის შეხვედრაზე, სადაც დიდი ბრიტანეთის მიერ სირიის საკითხზე მომზადებული რეზოლუციის პროექტის შეთანხმება მიმდინარეობდა, დემარში არ მოუწყვია. ამის შესახებ რია ნოვოსტისთან განმარტება გაეროში რუსეთის მუდმივ წარმომადგენლობაში გააკეთეს.

„რუსეთის წარმომადგენელი გამოვიდა მას შემდეგ, რაც სხდომა დასრულდა. ეს არ ყოფილა დემარში. უბრალოდ, რამდენიმე დელეგაცია დიდი ხნის განმავლობაში არ გამოსულა“, – განმარტეს რუსმა დიპლომატებმა.

სირიაზე სამხედრო დარტყმის განხორციელების გეგმა გაეროს წესდებისა და საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმების ღია გამოწვევას წარმოადგენს, – აღნიშნულის შესახებ ჰააგაში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გენადი გატილოვმა გაეროს გენერალურ მდივან ბან კი მუნთან შეხვედრისას განაცხადა.

მისი თქმით, პირველ რიგში გაეროს ექსპერტებმა, რომლებიც სირიაში ქიმიური გამოყენების შემთხვევას იძიებენ, მუშაობა უნდა დაასრულონ და გაეროს უშიშროების საბჭოს შედეგები წარუდგინონ. სავარაუდოდ, ექსპერტებს გამოძიების დასასრულებად 3-4 დღე სჭირდებათ.

რუსეთის გენერალური შტაბის განცხადებით, ორი რუსული ხომალდი სირიის საზღვრებისკენ დაიძრა. ამის შესახებ რუსული მედია იუწყება. გავრცელებული ინფორმაციით, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მყოფ რუსულ ხომალდებს ამ დღეებში შავი ზღვის ფლოტის სარაკეტო კრეისერი „მოსკოვი“, შემოდგომით კი წყნარი ოკეანის ფლოტის სარაკეტო კრეისერი „ვარიაგი“ შეუერთდება.

მიმდინარეობს რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხმელთაშუა ზღვის დაჯგუფების განახლება და ეს საკითხი არ უკავშირდება სირიაში არსებული ვითარების დაძაბვას, – აცხადებენ რუსეთის სამხედრო საზღვაო ფლოტში.

„მიმდინარეობს ხომალდების გეგმიური როტაცია. რა სახის გემები გაემართებიან ამ რეგიონში, კრეისერები, გადაწყვეტს ფლოტის ხელმძღვანელობა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალურ შტაბთან შეთანხმებით“, – აცხადებენ რუსეთის საზღვაო ფლოტის წარმომადგენლები.

ამ ფონზე, გაერო-ს გენერალური მდივნის ბან კი მუნის განცხადებით, გაერო-ს ექსპერტთა ჯგუფი სირიაში საგამოძიებო მუშაობას პარასკევს დაასრულებს, შაბათს კი საბოლოო მოხსენებას გააკეთებს, მოხდა თუ არა დამასკოში ქიმიური იარაღის გამოყენება. ამის შესახებ „გარდიანი“ იუწყება.

მისივე განცხადებით, ის ესაუბრა აშშ-ის პრეზიდენტ ბარაქ ობამას იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება მოხდეს ექსპერტთა საგამოძიებო პროცესის დასრულების დაჩქარება. თუმცა, გაერო-ს გენერალური მდივნის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფს უნდა მიეცეს სამუშაოს გაგრძელების და ბოლომდე მიყვანის საშუალება.

ექსპერტების მოსაზრებით, დასავლეთი სირიაზე დარტყმას პარასკევს ღამით განახორციელებს. ისინი ამ დასკვნას ორი ფაქტიდან გამომდინარე აკეთებენ: პირველი, ამერიკამ გაეროს მოსთხოვა რაც შეიძლება სწრაფად გამოიწვიონ ამ ქვეყნიდან ექსპერტთა მისია და მეორე, ხუთშაბათს დიდი ბრიტანეთის პარლამენტის საგანგებო სხდომა იმართება, სადაც სირიაში სამხედრო ოპერაციის ჩატარება უნდა დაამტკიცონ. აღნიშნულის შესახებ „კომერსანტი“ წერს.

როგორც „ჰურიეთ დეილი ნიუსი“ წერს, თურქეთი მზადაა სირიის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების განახორციელებლად მოკავშირეებს ინჯირლიკში მდებარე სამხედრო-საჰაერო ბაზა დაუთმოს. ამ ბაზით ნატოს საჰაერო ძალები ერაყსა და კოსოვოში სამხედრო ოპერაციებისათვის სარგებლობდნენ.

ტომატინას ფესტივალი წელს, ისტორიაში პირველად ფასიანი გახდა

ესპანეთის ქალაქ ბუნოლში, ყველაზე ცნობილი პომიდვრებით ბრძოლის ფესტივალი „ტომატინა“ მიმდინარეობს. ფესტივალის ისტორიაში პირველად, ღონისძიების მონაწილეებისთვის ბილეთები ფასიანი გახდა.



„ეიბისი ნიუსის“ ინფორმაციით, მას, ვისაც ერთმანეთისთვის პომიდვრის სროლა უნდა, ბილეთის მისაღებად 10 ევროს გადახდა მოუწევს.

ფესტივალის ორგანიზატორების განცხადებით, გადასახადი იმიტომ დააწესეს, რომ უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ღონისძიების მონაწილეების რაოდენობა გაენესაზღვრათ.

2013 წელს „ტომატინას“ ბილეთები ყველაზე აქტიურად ავსტრიელებმა იყიდეს. მათ მთლიანი რაოდენობის 19,2% შეიძინეს. მეორე ადგილზე იაპონელები გავიდნენ 17,9%-ით.

„ეიბისი ნიუსის“ ინფორმაციით, ბილეთების უმეტესი ნაწილი 18-დან 35 წლამდე ასაკის ადამიანებმა იყიდეს. ფესტივალის ყველაზე ასაკოვანი მონაწილე 82 წლის პენსიონერი გახდა. „ტომატინა“ პომიდვრებით ბრძოლის მსოფლიოში ყველაზე მსხვილი ფესტივალია, რომელიც 1959 წლიდან ყოველწლიურად, აგვისტოს ბოლო კვირას იმართება.

ამჯერად ეს ფესტივალი 28 აგვისტოს დაიწყო. ფესტივალის მონაწილეები ერთმანეთს პომიდვრებს ესვრიან, რომლებიც იქ სატვირთოებით შეაქვთ. ბრძოლის გარდა ფესტივალზე ბაზრობა, ცეკვები, კონკურსები და ფოიერვერკები იმართება.

ღამით მთელი ქალაქი ქუჩაში გამოდის და გათენებას მუსიკისა და სასმელის თანხლებით ელოდება, დილიდან კი ბრძოლა იწყება, რომლის ერთადერთი იარაღი წითელი, მწიფე პომიდვრებია.

„ტომატინასთვის“ ყველა მონაწილე თავისებურად ემზადება. ზოგი საცურაო კოსტუმს იცვამს, ზოგიც წყლის სათვალეებს იკეთებს, რომ პომიდვრის წვენმა მხედველობაში ხელი არ შეუშალოს.

პომიდვრებით ბრძოლისათვის ქალაქში სპეციალური ადგილებია გამოყოფილი, რომ ფესტივალის მონაწილეებმა არ დააზიანონ მანქანები თუ სხვა სახის კერძო საკუთრება, თუმცა მთავარი სანახაობა მაინც ბუნოლის ცენტრალურ ქუჩაზე მიმდინარეობს.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

ნიკოლას მადურო: ჩემზე თავდასხმა სირიაზე დარტყმას უნდა დამთხვეოდა

ვენესუელის პრეზიდენტ ნიკოლას მადუროზე თავდასხმა ამერიკის მიერ სირიაში სამხედრო მოქმედებების დაწყებას უნდა დამთხვეოდა, – აღნიშნულის შესახებ თავად პრეზიდენტმა ტაჩირის შტატში გამოსვლისას განაცხადა.

„ეს იმპერია (აშშ) უნდა დასრულდეს და შემდეგ იმ ღირებულებებზე აღორძინდეს, რომელსაც მარტინ ლუთერი კინგი იცავდა“, - განაცხადა მადურომ.

პრეზიდენტის თქმით, მისი ლიკვიდაციის სცენარი 2002 წლის მსგავსი იყო, როდესაც ერაყში ამერიკის შეჭრა მაშინდელ პრეზიდენტ უგო ჩავესის დამხობას უნდა დამთხვეოდა. ცოტა ხნის წინ, მადურომ საჯაროდ დაუსვა კითხვა ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას, იცოდა თუ არა მან, რომ მადუროს მკვლელობა მზადდებოდა.

ამასთან, მადურომ საერთაშორისო საზოგადოებას მოუწოდა, ყველაფერი იღონონ, რათა სირიაში სამხედრო ჩარევა შეაჩერონ: „სირიაზე თავდასხმის გამართლება არ შეიძლება“, - აღნიშნა პრეზიდენტმა.

შეგახსენებთ, რომ 2013 წლის 14 აპრილს ვენესუელის საპრეზიდენტო არჩევნებში ნიკოლას მადურომ ოპოზიციის კანდიდატი ენრიკე კაპრილეს რადონსკი 1.5%-იანი უპირატესობით დაამარცხა. კაპრილესმა არ სცნო არჩევნების შედეგი და ხმათა დაუყონებლივ გადათვლა მოითხოვა. საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო შედეგების სრული შემოწმების შემდეგ, 19 აპრილს მადურომ ინაუგურაციაზე საპრეზიდენტო ფიცი დადო.

TV პროგრამა

პარასკევი
30 აგვისტო

08.00 დ/ფ "მუსორგსკი-სურათები გამოფენიდან'' **09.00** საბ. მხ/ფ "**ბუს ძახილი**" **10.30** ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" **11.00** "გურმანია" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.35** ან/ფ "სამართლიანობის ლიგა" **14.00** დ/ფ "გრან-პრი" **15.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** მხ/ფ "**სანამ მოკვდებ**" (ჯ.ნიკოლსონი) **19.05** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **21.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **22.00** დ/ფ "ფეხბურთის მეამბოხენი" **22.40 ფეხბურთი. უეფას სუპერ თასი.** (პ/რ პრაღიდან.) **01.00** დ/ფ "მსოფლიო ქალაქები"

08.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" **10.00, 14.00, 19.00, 22.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**". **11.00, 16.00** დ/ფ "ხელგანთქმული თვითმფრინავები" **8-9** ნაწ. **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **23.00** მხ/ფ "**გაიქეცი მსუქანო**" **გაიქეცი!**"

08.00 ფორტ ბოიარი **09.00** ან/ფ "სპანჯობი" **10.00** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **6** სერ. **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **11.20** სერ. "**ცივი გული**" **12.30** მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) **14.40** იმედის გმირები (გ/ჩ) **15.15** რომ გადახვალ" გააჩერე (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50, 18.50, 19.05** სერ. "**მაგნატები**". **21.00** სერ."**დაბრუნება**" **22.00** ქ/სერ. "**შუა ქალაქში**" (გ/ჩ) **23.00** ქ/სერ. "**ცხელი ძაღლი**" **00.15** მხ/ფ. "**ერთგული მეგალე**"

08.00, 03.00 კურიერი დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. "HOWL'S MOVING CASTLE" **10.00** სერ. "**სიყვარული მეზენიერია**" **11.00** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ "**მზე შემოდგომისა** " **14.00** სერ "**ერთგულების ძალა**" **15.30** ევი ვოკი (გ/ჩ) **17.00** სერ. "**ნამდვილი გრძნობა**" **18.50** სერ. "**ბიტების დრო**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **22.40** ჩემპიონთა ლიგა - სუპერ თასი **01.00** მხ/ფ

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** საგალობელი **06.20** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.45** მხ/ფ "**სინევმა**" **08.00** ღილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" (კოლაჟი) **09.05, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** დოკ/ფ "მეტრო მორი" ტერენტი გრანელი **11.15** ეთნოგრაფია **11.25** ისტორიის გაკვეთილი **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**მზე შემოდგომისა**" **13.15** ქართული მულტფილმი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** პორტრეტი ერთსულოვნების გალერეიდან **15.30** დეკორატიული ფლორა **15.40** კონცერტი -ელისო ვირსალაძე **17.00** კვირიაკე **18.10** დოკ/ფ "დიდი ტბელი მობრძანდება" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.25** მხ/ფ "**ხანუმა**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ლექსით ქებათა ქება **21.35** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ქრისტიანული ხელოვნება **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სათავეებთან **00.35** მხ/ფ "**რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე**"

მაესტრო **7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმები **9.30, 2.30** მაგთიფანი (გამ.) **10.00** მარვიძარა (კოლაჟი) **11.00, 12.40, 15.30, 17.30, 1.15, 3.30, 6.30** ფარული კამერა **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **14.40, 22.00, 4.30** "ყოველდღიური ამბები" **16.00 სერიალი "შტორმი" 19.00 სერიალი "1001 ღამე" 22.20** "კინო მაესტროზე" **0.30, 5.30** ღია კარის დღე

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

30 აგვისტო

აშშ დოლარი — 1,6614

ევრო — 2,2173

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5778

100 რუსული რუბლი — 5,0159

ამინდის პროგნოზი 30 აგვისტოსთვის

მალე! მალე! მალე!

ლეგენდარული ქართული დეტექტივის, „მგლის ბილიკის“, გაგრძელება

„შავი ვარდი“

„ახალ თაობასთან“ ერთად

ფუძნარის ტაძარს სარეაბილიტაციო სამუშაოები უტარდება

ეკა ირემაშვილი

ფუძნარის ღვთისმშობლის ტაძარს სარეაბილიტაციო სამუშაოები უტარდება. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი მერაბ ბოჭოიძე სპეციალისტებთან ერთად დუშეთის მუნიციპალიტეტში უკვე იმყოფებოდა, სადაც ფუძნარის ღვთისმშობლის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოები შეაფასა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ფუძნარის ღვთისმშობლის ტაძარი გადარჩენილია – რესტავრატორებმა ძეგლზე ურთულესი სარეაბილიტაციო სამუშაოები განახორციელეს.

ვერტიკალური ღერძიდან გადახრილი ტაძრის ჩრდილოეთისა და დასავლეთის დაბზარული კედლები კონსტრუქტორებმა მოჭიმეს და დააფიქსირეს ისე, რომ არ დარღვეულიყო ფუძნარის პირვანდელი არქიტექტურული სახე.

ფუძნარის მიმდინარე სამუშაო პროცესში 80-იან წლებში მომზადებული პირველი საპროექტო დოკუმენტაციის ავტორი, არქიტექტორ-რესტავრატორი დოდო ჭიკაიძე ჩაერთო. რესტავრაციას სპეციალისტების ზედამხედველობით მიმდინარეობს: მარკირებული ქვები კედლის წყობაში თავდაპირველ ადგილზე ბრუნდება, ხორციელდება ფასადების აღდგენა შირიმისა და რიყის ქვებით, დანაკარგი ნაწილები ახალი თლილი ქვებით ივსება. ფუძნარის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი წლის ბოლომდე დასრულდება.

2014 წელს, პროექტის მესამე ეტაპი ერთ-ერთი გადამწყვეტი იქნება, როდესაც გამაგრებულ ნაგებობაზე ტაძრის გუმბათი აღიმართება.

ფუძნარის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია XIII საუკუნის პირველ ნახევარშია აგებული და დუშეთის რეგიონში ჩვენამდე მოღწეულ ერთადერთ გუმბათიან ტაძარს წარმოადგენს.

ფუძნარის ტაძრის გადარჩენით დაინტერესებულ საზოგადოებას, რომელიც სოციალურ ქსელებში ავრცელებდა მასალებს, სახელწოდებით „სოს – ფუძნარი ინგრევა“, დღეს შეუძლია, ადგილზე ჩავიდეს და ძეგლის რეაბილიტაციის პროცესიც მოინახულოს და შეაფასოს. სხვადასხვა დროს სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიება გაიმართა, რომლებიც ფუძნარის ტაძრის გადარჩენისთვის დაიგეგმა, მოეწყო როგორც პოეზიის საღამოები, ასევე მუსიკალური საღამოები. ახალგაზრდა პოეტებმა და ხელოვანებმა საზოგადოების ყურადღების მიქცევა სხვადასხვა აქტივობებით გადაწყვიტეს.

– ფუძნარის ღვთისმშობლის ეკლესია მთიანეთის ყველაზე ძველი გუმბათოვანი ნაგებობაა. იგი გამორჩეულია იმით, რომ საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთში გუმბათიანი ტაძრები იშვიათობას წარმოადგენს. ტაძარზე შემორჩენილია წარწერა, რომელშიც რამდენიმე სიტყვა არ იკითხება. მეცნიერთა ერთი ჯგუფის ვარაუდით, წარწერაში მოხსენიებული სიტყვის „ხათუნა“ სახელის ქვეშ ლაშაგიორგის ხარჭად შერაცხული მეუღლე, დავით ულუს დედა შეიძლება იგულისხმებოდეს, ანუ ფუძნარის ღვთისმშობლის ეკლესია მის მიერ შეიძლება იყოს აგებული. ფუძნარის ღვთისმშობლის ეკლესია მდებარეობს მცხეთა-მთიანეთის მხარეში დუშეთის მუნიციპალიტეტშია. ის თარიღდება XIII საუკუნის I ნახევრით. ეკლესიას გარს ევლება ამჟამად ფრაგმენტულად შემორჩენილი ქვის გალავანი. მის ჩრდილო-დასავლეთით საცხოვრებელი ნაგებობების ნაშთებია. ეკლესია „ჩაწერილი ჯვრის“ ტიპისაა, გუმბათქვეშა ბურჯების ერთი წყვილი. შენობის კედლის სიბრტყეები და კამარები წრილი ნატეხი ქვითაა ნაწყობი. საბჯენი თაღები, გუმბათქვეშა ბურჯები, პილასტრები, აფრები და გუმბათის ყელის ნაწილი შირმისაა. XVI-XVII საუკუნეებში სამხრეთის და ჩრდილოეთის მხრიდან ნაგებობას მცირე ეკვდერები მიაშენეს, რომელთაგანაც მხოლოდ ჩრდილოეთისაა შემორჩენილი. ფუძნა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ქართველი და თურქი სპეციალისტების თანამშრომლობა ახალ ფაზაში შედის

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში იშხანთან დაკავშირებით სამუშაო ვიზიტის ანგარიში შედგა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა მერაბ ბოჭოიძემ გამართეს პრესკონფერენცია, სადაც წარმოდგენილი იყო ქართველ სპეციალისტთა მეოთხე ვიზიტის შედეგები ტაო-კლარჯეთში. პრესკონფერენციას ასევე ესწრებოდნენ ხელოვნებათმცოდნე, ტაო-კლარჯეთის ძეგლების მკვლევარი ირინა გივიაშვილი და დელეგაციის წევრები ნიკო ზაზუნიშვილი და ზურაბ ჯიბლაძე.

კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ აღნიშნა, რომ იშხნის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციისთვის ქართველი და თურქი სპეციალისტების თანამშრომლობა ახალ ფაზაში შედის.

თურქი სპეციალისტები სახელმწიფოთა შორის ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმების აუცილებლობაზე კვლავ საუბრობენ, თუმცა დოკუმენტის გაფორმებამდე, ძეგლთა დაცვის სფეროში არსებული კოლეგიალობის გათვალისწინებით, მზად არიან, მიიღონ და გაითვალისწინონ ქართული მხარის რეკომენდაციები.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი ქართველ სპეციალისტებთან ერთად, ტაო-კლარჯეთიდან 28 აგვისტოს გვიან ღამით დაბრუნდა. მერაბ ბოჭოიძე, ერზურუმის ვილაიეთის ხელმძღვანელების გარდა, ადგილზე შეხვდა იშხნის სა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ჯვოსვოხდი ა

შვეულად: 1. სახელდახელოდ შეთხზული ლექსი; 2. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში; 3. ყოველდღიური გაზეთი საფრანგეთში; 4. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 5. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 11. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ეთიოპიელი მარათონელი; 12. ინფექციური დაავადების გამავრცელებელი ჩხირისებრი ბაქტერია; 14. წარწერა საბანკო ჩეკზე, სხვა პირისთვის მისი გადაცემის შესახებ; 16. ღვარად წამოსული დამდნარი თოვლი; 17. არისტოკრატიის წარმომადგენელი რომის იმპერიაში; 19. რაიმეს დამზადების წესი; 21. მამათა მონასტერი; 22. მრავალჯერადი გამოყენების ამერიკული კოსმოსური ხომალდების სერია.

თარაზულად: 6. უძველესი უნივერსიტეტი ინგლისში; 7. ჭაობის ნაპირებთან ბინადარი დიდი ბუ; 8. სქელი ქაღალდი; 9. მიწის თხილი; 10. გეომეტრიული ფიგურა ტოლგვერდა და ირიბკუთხა პარალელოგრამი; 13. მუშაობის ხანგრძლივობა რაიმე დარგში; 15. საერთო სახალხო რეფერენდუმი; 18. ძველებური ქართული ხალხური ქალვაჟის ცეკვა; 20. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი; 21. დაღესტნელთა ქართული სახელწოდება; 23. ქველმოქმედი, მოწყალე, კაცთმოყვარე ადამიანი; 24. რაიონული ცენტრი ლეჩხუმში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



„შუა ქალაქში“ დაიწყურება

ეკა ირემაშვილი

ახალ სატელევიზიო სეზონს ყველა არხი სიახლეებით ხვდება. გამონაკლისი არც ტელეკომპანია „იმედია“. როგორც ცნობილი გახდა, სექტემბრიდან ამ არხის ერთგული მაყურებელი გახმაურებულ ტელესერიალს „შუა ქალაქში“ ველარ იხილავს.

როგორც „ღამის შოუ სტუდიის“ ხელმძღვანელი დათო გოგიჩაიშვილი აცხადებს, ამის მიზეზი არა სერიალის რეიტინგის დაცემა და არა მსახიობების შეცვლაა, არამედ ის სიახლეები, რომელსაც მისი გუნდი ახორციელებს.

ქალაქში უკვე გახმაურდა, რომ ქართულ ტელესივრცეს სულ მალე კიდევ ერთი ახალი გასართობი და იუმორისტული არხი შეემატება. კომედი არხის შემდეგ ეს დათო გოგიჩაიშვილისა და მისი გუნდის არხი იქნება, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, რა ერქმევა ახალ გასართობ არხს.

დათო გოგიჩაიშვილი და მისი გუნდი აქტიურად მუშაობს ახალ პროექტზე, რომელიც სერიალს „შუა ქალაქში“ ჩაანაცვლებს. ჯერჯერობით შემოქმედებით გუნდს ახალი პროექტისთვის სახელიც არ მოუფიქრებია, თუმცა ის უკვე გადაწყვეტილია, რომ ახალ სერიალში შეიცვლება როგორც ისტორიები, ასევე სიტუაციები და პერსონაჟები.

სატელევიზიოენაზე რომ ვთქვათ, „ღამის შოუ სტუდიის“ გუნდს პილოტი უკვე ჩაწერილი აქვს.

ხელოვანები, ვინც წლების განმავლობაში „ღამის შოუ სტუდიასთან“ თანამშრომლობდნენ, ისევ მათთან დარჩებიან, ისინი სხვადასხვა პროექტში დაკავდებიან და გუნდი ერთობლივად იმუშავებს იმაზე, რომ მაქსიმალური სიახლე შესთავაზოს მაყურებელს. არ არის გამორიცხული, სტუდიამ ახალი მსახიობებიც დაიმატოს, რადგან გუნდი ერთობლივად რამდენიმე ახალ პროექტზე მუშაობს. ამის დასტურია ისიც, რომ, ზაფხულის მიუხედავად, სტუდიამ არაერთი შესარჩევი კონკურსი ჩაატარა და სხვადასხვა პროექტისთვის საჭირო მსახიობები შეარჩია.

ჯერჯერობით უცნობია, რა ერქმევა დათო გოგიჩაიშვილისა და „ღამის შოუ სტუდიის“ ახალ გასართობ არხს, თუმცა, ის უკვე გადაწყვეტილია, რომ კომედი არხს კონკურენტი არხი შემოდგომიდან გაუჩნდება. როგორც გუნდის წევრები აღნიშნავენ, ახალი გასართობი არხი ეთერში ოქტომბრიდან გავა.

ბრაზილიური უმეძლობის სერიალი

რიო დე ჟანეიროში მიმდინარე ძიუდოს მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებს მორიგი წარუმატებელი დღე ჰქონდა. მესამე დღეს, „მარაკანაზინიოს“ ტატამზე მედლები 73 კგ წონით კატეგორიაში თამაშდებოდა, საქართველოს სახელით კი ორი ფალავანი ასპარეზობდა – ნუგზარ ტატალაშვილი და ზებედა რეხვიაშვილი.

ორივე მათგანმა პირველი წრე გამოტოვა, შემდეგ კი ორ-ორი ორთაბრძოლის მოგებაც შეძლეს. ტატალაშვილმა ჯერ უნგრელი ატილა უნგვარი დაამარცხა, შემდეგ კი ამერიკელ დელპოპოს სძლია. რეხვიაშვილის პირველი მეტოქე კი დომინიკელი ფაუსტო ბივიეცა იყო, რომლის ძლევის შემდეგ, ქართველმა ფალავანმა რუსი კოძოკოვიც ჩამოიცილა გზიდან.

მერვედფინალური დაპირისპირებები კი ორივესთვის წარუმატებელი გამოდგა, რეხვიაშვილ სლოვენიელ როკ დრაკშიჩთან დამარცხა უშანსოდ, ხოლო ტატალაშვილმა ყაზახი იკიბაიევის წინააღმდეგობა ვერ დაძლია და ორივე მათგანი უსახელოდ დაემშვიდობა მსოფლიო პირველობას.

გუშინ გვიან, მედლები 81 კგ წონით კატეგორიაში გათამაშდება. საქართველოს ნაკრების სახელით ტატამზე ლევან წიკლაური და ავთანდილ ჭრიკიშვილი გავლენ. ორივე მათგანს საკმაოდ კარგი ბადე შეხვდა, განსაკუთრებით ჭრიკიშვილს და იმედია, მედლებს ამჯერად მაინც მოვიპოვებთ.

მ. უ.

ასტროპროგნოზი 30 აგვისტოსთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!
წარმატებული დღეა

ვერძი – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** – არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **ტყუპები** – შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ლომი** – ფული გაქვთ, პრობლემას აგვარებთ. **ქალწული** – ის საქმე აკეთეთ, რომელიც კარგად გამოგდით. **სასწორი** – იფიქრეთ და ისე იმოქმედეთ. **ღრიანკალი** – შეცვალეთ ცხოვრების სტილი, ასე აჯობებს. **მშვილდოსანი** – არ აყვეთ ჭორებს, განაგრძეთ თქვენი საქმე. **თხის რქა** – გზიდან ფულსა და საჩუქარს მიიღებთ. **მერწყული** – თავს კრიტიკულად შეხედეთ, წარმატება მოვა. **თევზები** – საქმე კარგად მიდის, ნუ აჩქარდებით.

გისუხვებთ ბედნიერ დღეს!